ეროვნული თავისუფლების გზით - ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით - ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით | №1(1764) | 2 - 16 მარტი 2001 წ. | ფასი 50 თეთრი

## ერთი გახმაურებული მკვლელობის პოლიტიკური ანატომია




მე-10 გვერდი

## ანტიქართული შაბაში გრძელდება





მე-3 გვერდი

ექსკლუზიური მასალა ნიუ-იორკიდან

## ჩეჩნეთის ომი

ТЕХНОЛОГИЯ ЛЖИ ИЛИ ЛАПША РОССИЯНАМ НА УШИ

მე-8 გვერდი

## ჯემალ გამახარია: პრეზიდენტი თანდათან მიდის იმ დასკვნამდე, რომ პოლიტპატიმრების გათავისუფლება სამართლის შენარჩუნებას არ წაადგება

მე-2 გვერდი

# მზადდება გადატრიალება

## სახალხო ფრონტის განცხადება

შევარდნაძისა და მისი პოლიტიკური გუნდის - ჯერ 1992-95 წლების საპარლამენტო უმრავლესობის. შემდეგ კი „მოქალაქეთა კავშირის" პოლიტიკის დაკვირვებამ ჯერ კიდევ 1993-94 წლებისათვის ეჭვი აღძრა. ხოლო შემდგომ მრავალი ადამიანის უყოყმანო შეხედულებად აქცია ის. რომ ამ პოლიტიკოსთა კურსი მდგომარეობს საქართველოს სახელმწიფოს მიზანმიმართულ ეკონომიკურ. სტრატეგიულ და მორალურ ნგრევაში რუსეთისადმი მისი შემდგომი დაქვემდებარების განზრახვით. საქართველოს სახალხო ფრონტი და მისი გაზეთი „საქართველო" 1996 წლიდან ადგანან და ღიად გამოთქვამენ იმ აზრს. რომ საქართველოში სამოქალაქო ომის ორგანიზება. ცხინვალის ზონისა და აფხაზეთის სისხლიან კონფლიქტში საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხების ორგანიზება და ქართული მოსახლეობის გენოციდის დაშვება. ამ ხდომილებებში რუსეთის ორგანიზატორული და წარმმართველი როლის საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის დამალვა. საქართველოს ჩათრევა „ესენგეში". საქართველოს ფინანსების ცნობიერი დანგრევა. არარაციონალური საგადასახადო სისტემის შემოღება. მრეწველობის. მეცნიერებისა და განათლების ჩაკვლა. ტოტალური კორუფციის სტიმულირება და სხვა დივერსიები. რომლებიც სახელმწიფოს წინასწარ განზრახული ნგრევის გეგმის ცალკეული ელემენტებს წარმოადგენენ. შედარებით მოკლე ხანში გარდუვალად შეიცვლება ამავე მიზნისკენ მიმართული ახალი სტრატეგიით. სახელდობრ. შევარდნაძისა და მისი პოლიტიკური ჯგუფის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების დაუფარავი კომუნისტებისათვის გადაცემის მცდელობით. რისთვისაც ორი ურთიერთ ალტერნატიული მეთოდი შეიძლება იყოს გამოყენებული: I.ეკონომიკური გაჭირვებით გამოწვეული სტიქიური სახალხო გამოსვლების სტიმულირებისა და II.კომუნისტური მიმართულების პარტიათა ხელშეწყობისა მომავალ არჩევნებში მათი ფალსიფიცირებული გამარჯვების ორგანიზების სახით. დღეს უკვე გამოიკვეთა. რომ შევარდნაძემ და მისმა პოლიტიკურმა გუნდმა პირველი გზა აირჩიეს - ისინი საქართველოში ღია კომუნისტურ გადატრიალებას ამზადებენ.

ამ ხიფათის რეალურობას სამი გარემოება მოწმობს.

პირველია მოვლენათა ამგვარი განვითარების ლოგიკური აუცილებლობა. შევარდნაძის. როგორც რუსეთის მარიონეტის. პირველ დავალებას - რომ დამოუკიდებლობის ფრაზეოლოგიის ფონზე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით შექმნას ეკონომიკური კატასტროფა. რათა ხალხს რუსული იმპერიისკენ მისწრაფება ჩააგონოს - გარდუვალად უნდა აზლდეს მეორე დავალება - რუსეთის სტრატეგიულ არეალში საქართველოს მყარად შეყვანა. რაც. საერთაშორისო მდგომარეობის შესაბამისად. შეუძლებელია თვით საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურად გამოთქმული ნების. მამასადამე - საქართველოს სათავეში ღიად პრორუსულ-კომუნისტური ელემენტის მოქცევის გარეშე. ეს გარდუვალობა განპირობებულია. ერთის მხრივ. ამიერკავკასიის. როგორც მსოფლიოს სისტემაში ახალჩართვადი რეგიონის განვითარების ბუნებრივი პერსპექტივების შეუთავსებლობით რუსეთის ჯერჯერობით შეტევითს სწრაფვასთან ამ რეგიონისკენ და მის სამხრეთით მდებარე სივრცით კონტროლში მონაწილეობისკენ. მეორე მხრივ შევარდნაძისა და მისი პოლიტიკური გუნდის განუკვეთელ ბიოგრაფიული და მენტალური კავშირით რუსულ იმპერიასთან და მის ტრადიციულ ადმინისტრაციასთან. მეორე გარემოებაა თვით ფაქტები, რომლებიც სხვაგვარად, თუ არ შევარდანძისა და მისი პოლიტიკური გუნდის თანამონაწილეობით კომუნისტური გადატრიალების დაგეგმვაში, ვერ აიხსნება, მათ შორის. ის, რომ საქართველოში დემონსტრაციულად მიმდინარეობს კომუნისტური რაზმების შექმნა. რასაც მიუხედავად ამ ქმედების უკანონობისა. ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობა არ ჰხვდება. მესამე გარემოებაა საქართველოში დღეს არსებული კომუნისტური აქტივობის თვით იდეოლოგიური მახასიათებლები. სახელდობრ. ის. რომ კომუნისტური პროპაგანდა საქართველოში მთლიანად ემთხვევა პრორუსულს. იმ შემთხვევაში. თუ კომუნისტური ტოტალიტარიზმისადმი სიმპათია იქნებოდა მხოლოდ ბუნებრივი გაღიზიანების შედეგი ე.წ. „ველური კაპიტალიზმით". რასაც ხელისუფლების უუნარობა და კორუმპირებულობა იწვევს. პრორუსული კომუნისტური მოძრაობა არ იქნებოდა ერთადერთი ასეთი მოძრაობა. არამედ იქნებოდა მისი სხვა ფრთაც. სახელდობრ. ისეთი. რომელიც კომუნისტურ იდეოლოგიას და რუსეთისადმი დაქვემდებარებას ერთი მეორეს არ უიგივებს.

საქართველოს სახალხო ფრონტისთვის მოვლენათა ის განვითარება. რომელსაც გეგმავენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ზემოხსენებული შეთქმულების მონაწილენი. მიუღებელია. შევარდნაძისა და მისი ანტისახელმწიფოებრივად მოქმედი გუნდის მოცილება საქართველოს ხელისუფლებისაგან აუცილებელია. მაგრამ არა შეიარაღებული გადატრიალებით და არა ღია კომუნისტების და სხვა რუსული აგენტურის ხელით. რომელნიც დაუფარავად აპირებენ იმას. რასაც შევარდანძე და მისი პოლიტიკური გუნდი შენიღბულად აკეთებენ.

იმ შემთხვევაში. თუ საქართველოში მოხდება ღია კომუნისტური პრორუსული გადატრიალება. რათა გააუქმოს საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთის სასარგებლოდ. სახალხო ფრონტს ერთადერთ პასუხად მიაჩნია წინააღმდეგობის მოძრაობა და ყველა ღონეს იხმარს მისი ორგანიზებისათვის. სახალხო ფრონტს საჭიროდ მიაჩნია შეახსენოს საზოგადოებრიობას. რომ რუსეთის ყველა შესაძლო წინადადება საქართველოსადმი. დათმოს თავისი დამოუკიდებლობა იმის სანაცვლოდ. რომ რუსეთი ხელს აიღებს თავის აგრესიულ მოქმედებაზე აფხაზეთისა და ცხინვალის ზონებში. ყალბია და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით უპერსპექტივოა. რადგან საქართველოში სეპარატისტულ მოძრაობათა სტიმულირებასა და დახმარებაზე ხელის აღება რუსეთისთვის იმას ნიშნავს. რომ იგი კარგავს საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი პლაცდარმის შექმნის საშუალებას და. მაშასადამე. ამიერკავკასიის ეკონომიკური. პოლიტიკური და გეოპოლიტიკური განვითარების ძალისმიერი კონტროლის საშუალებასაც. რაც რადიკალურად ამცირებს მისი გავლენის ხარისხს შავ ზღვაზე და შუა აზიაში.

საქართველოს სახალხო ფრონტი შეახსენებს დასავლეთისა და აღმოსავლეთი სახელმწიფოებს, რომ დემოკრატიისა და მსოფლიოსთან ღია პოლიტიკის ერთადერთი ნამდვილი მომხრე საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მიმართულებათა შორის არის საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის მიმართულება. რომელსაც მოწინააღმდეგენი „ქართულ ნაციონალიზმს" უწოდებენ. თუ იგი დამარცხდა. კავკასიასა და შუა აზიასთან ნაყოფიერი კონტაქტების გზა კიდევ დიდი ხნით გადაიკეტება დასავლეთისათვის და სასოწარკვეთილი ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკურად აქტიური ნაწილი კიდევ დიდი ხნით ჩაებმება რუსეთის პოლიტიკურ პროცესებში ფრიად არასასურველი მიმართულებით. როგორც 1900-იან. 1917 და 1920-იან წლებში იყო ჩაბმული. შევახსენებთ რუსეთის ხელისუფლებას. რომ საქართველოს წინააღმდეგ მისი აგრესიული (შეტევითი) მოქმედების გამართლებისთვის არ გამოდგება არც ის გარემოება. რომ საქართველო არ ეხმარება რუსეთს ჩეჩნეთის წინააღმდეგ ომში. და არც ის. რომ საქართველოში ნატოსთან დაახლოების ძლიერი ტენდენცია არსებობს. ჩეჩენი ხალხი ქართველი ხალხის მარადიული მეზობელი და მოკავშირეა და ქართული სახელმწიფო არასოდეს წავა იმ ისტორიული ფაქტის მიჩქმალვის გზით. რომ ჩეჩნეთის (იჩქერიის) დღევანდელი ტერიტორია ჩეჩენი ხალხის ეთნიკური მიწა-წყალია და არა რუსებისა.(რაც რა თქმა უნდა. არ აუქმებს ბასაევისა და მისი ბანდის ჩვენ მიერ დასჯის აუცილებლობას აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ ომისათვის) რაც შეეხება ნატოსთან დაახლოების ტენდენციას. იგი არსებობს და ვითარდება იმდენად და მხოლოდ იმდენად. რამდენადაც ნატო თავდაცვითი კავშირია და არა შეტევითი. და მასთან სიახლოვე ან. ევენტუალურად. მის წევრად ყოფნა არანაირად არ გულისხმობს საქართველოში რომელიმე სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ბაზირებას და. მით უმეტეს. რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების საშიშროების გაჩენას. ნაყოფიერსა და მრავალმხრივ ურთიერთობებს საქართველოსა და რუსეთს შორის უდიდესი პერსპექტივა აქვს და მათი განვითარება დაიწყება იმ წამიდან. როცა რუსეთი ხელს აიღებს თავის უკანასკნელ ექსკლუზიურ (ან: განსხვავებულ) უფლებაზე საქართველოს ან მის ტერიტორიაზე მდებარე რაიმე ობიექტის მიმართ.

საქართველოს არმიას. მიუხედავად თავისი დაუფინანსებლობით გამოწვეული სისუსტისა. სრული საშუალება აქვს დაძლიოს ნებისმიერი ამბოხება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. რომელშიც არ იქნება გამოყენებული უცხო ქვეყნის ძალები. თუ ამბოხების შემთხვევაში შევარდნაძემ. როგორც პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა. სრულად. დროულად და რაციონალურად არ გამოიყენა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები ამბოხების ალსაკვეთად და ჩასახშობად ან სრულად და დროულად არ გამოიყენა ყველა პოლიტიკური საშუალება უცხო ქვეყნის აგრესიის ოფიციალური დაფიქსირებისა და შეჩერებისათვის. ეს შეფასდება როგორც სახელმწიფოს ღალატი მისი მხრიდან შესაბამისი იურიდიული და პრაქტიკული შედეგებით.

*სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი*

12.02.2001 წელი

# ჯემალ გამახარია: პრეზიდენტი თანდათან მიდის იმ დასკვნამდე, რომ პოლიტპატიმრების გათავისუფლება სავარძლის შენარჩუნებას არ წაადგება

ეროვნული თანხმობის საკითხმა ქართულ საზოგადოებაში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. უკანასკნელ ხანს კი საგრძნობლად შეფერხდა ეს პროცესი და ჯერჯერობით არ შეინიშნება წინგადადგმული ნაბიჯი. ისევ გრძელდება დავა პოლიტპატიმრების გათავისუფლება-არგათავისუფლებაზე.

-ამ პროცესზე მუშაობა დაიწყო დიდი ბრძოლის შედეგად, რასაც ქართული საზოგადოებრიობა აწარმოებდა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, - აღნიშნა პარლამენტარმა ჯემალ გამახარიამ. „დიდი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლაც. ერთ-ერთ პირობად იყო წამოყენებული პოლიტპატიმრების გათავისუფლება, მათი საქმეების გადასინჯვა. ამიტომ ხელისუფლება იძულებული გახდა რაღაც გაეკეთებინა. მას სჭირდებოდა საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამ ნაბიჯის გადადგმა. რა თქმა უნდა, კომისია შეიქმნა და მუშაობდა, მაგრამ მისი შედეგები არადამაკმაყოფილებელია.

ჩვენ გვესმის ეს პროცესი, როგორც თანხმობა ერში. პრეზიდენტისათვის ეროვნული თანხმობა მისი რეჟიმისადმი დამორჩილება-დაქვემდებარებასა და იმ ვითარებისადმი შერიგებას ნიშნავს, რომელიც ამ ხელისუფლებამ შექმნა საქართველოში. მაგრამ სწორედ ის ვითარებაა დღეს უთანხმოების საფუძველი.

აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ ეს პროცესი ფერხდება. დარწმუნებული ვარ, დღეს რომ ნახევარი საქართველოს ზღვაში ჩაძირვის საკითხი დადგეს, შევარდნაძე ამაზეც იტყვის თანხმობას, თუკი ეს წაადგება პრეზიდენტის სავარძლის შენარჩუნებას. ზომავს და წონის იგი, წაადგება თუ არა ტახტის შენარჩუნებას პოლიტპატიმრების გათავისუფლება და თანდათან მიდის იმ დასკვნამდე, რომ არ წაადგება.

*-ბატონო ჯემალ, როგორ მიგაჩნიათ, რა შეუწყობს ხელს პროცესის ბოლომდე მიყვანას?*

-დღეს ეს ტალღა ისეა აგორებული, რომ ხელისუფლება იძულებული გახდება გაათავისუფლოს პოლიტპატიმრების კიდევ ერთი ნაწილი. ამას გააკეთებს პრეზიდენტი და მერე დამსახურებულ პენსიაზეც მოუწევს გასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას გააკეთებს ხალხი. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ ეროვნულ თანხმობას და ჩამოვაყალიბოთ პრინციპები, რომელიც ხელს შეუწყობს პროცესის ბოლომდე მიყვანას. ეს არის: პოლიტპატიმრების უპირობო გათავისუფლება, ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება და დემოკრატიული თავისუფალი არჩევნების ჩატარება. მხოლოდ ეს აღმოფხვრის ეროვნულ უთანხმოებას.

*-ბატონო ჯემალ, პოლიტპატიმრები თვითლიკვიდაციით იმუქრებიან, რაც მორალური თვალსაზრისით გაუმართლებელია. რამდენად შეიძლება თვითლიკვიდაცია ბრძოლის ფორმად ჩაითვალოს?*

-თვითლიკვიდაცია დაუშვებელია და ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ეს არ განხორციელდეს. არის მეორე მხარეც. შიმშილობა ამ შემთხვევაში და ეს პროტესტი, რომელსაც აცხადებენ, არის ბრძოლის ფორმა. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი. ისინი თვლიან, რომ ბრძოლაში იღუპებიან და ამას თვითმკვლელობას არ უწოდებენ. ამით მე მათ არ ვამართლებ და არ მოვუწოდებ, რომ გააგრძელონ ეს აქცია. მე თქვენს კითხვაზე ვპასუხობ და ვამბობ, რომ არავითარი დანაშაული მათ საქციელში არც ადრე, როცა ისინი კანონიერ ხელისუფლებას ემსახურებოდნენ, და არც დღეს, როცა საპატიმროებში ებრძვიან არსებულ ხელისუფლებას, არ არის, არც კანონის თვალსაზრისით და არც მორალის თვალსაზრისით. ისინი სიმართლისათვის იბრძვიან.

*-თუკი მათში სამიში დამნაშავეებიც არიან?*

-დამნაშავე პოლიტპატიმარი არ არსებობს.

*-ცნობილია, რომ ბევრი მათ შორის მკვლელობის ბრალდებითაა დაკავებული.*

-მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები არ არის მართალი. დამნაშავეებზე თუა საუბარი, ეს უპირველესად ხელისუფლებასა და მის მომხრეებს უნდა ეხებოდეს. აბა, ერთი დაპატიმრებული დაასახელონ, რომ მან დახოცა მშვიდობიანი მოსახლეობა, ესროლა კანონიერ ხელისუფლებას. ვინც თავს, კანონსა და კონსტიტუციას იცავდა, დამნაშავე არ არის.

*-რა ბედი ელით ამ ადამიანებს?*

-ეს ადამიანები გათავისუფლდებიან, მაგრამ რა ბედი ელის ამ ხელისუფლებას, ამაზე ვერ გიპასუხებთ. მე მხედველობაში მაქვს ის სიტუაცია, თუ ისინი ბოლომდე არ წავლენ თანხმობაზე.

*-ბატონო ჯემალ, თუკი სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ, ხომ არ აპირებთ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩივილს?*

-აუცილებლად. ეს ასე მოხდება, როდესაც საზოგადოება დარწმუნდება, რომ ამ ხელისუფლებას არ შესწევს ძალა ეროვნული თანხმობის ბოლომდე მიყვანისა და არ სურს პოლიტპატიმრების გათავისუფლება. მაშინ რჩება ერთ-ერთი (არა ერთადერთი) გამოსავალი - ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ვაჩვენებთ ქვეყანას, თუ როგორ ატყუებს ეს ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობას და რა ურცხვად არღვევს ადამიანის უფლებებს.

*-გმადლობთ საუბრისათვის*

*ესაუბრა მარი ჩიტაია*

# SOS! - კვალიფიციური ექსპერტი გაფრთხილებთ!..

დღეს საქართველოში შემოდის პროდუქცია, მათ შორის საკვები, რომლის უსაფრთხოება და ხარისხი ძალზე საეჭვოა. პროდუქტებზე მითითებულია E ნომრები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღეს ქვეყანაში არ არის ნებადართული ემულგატორებისა და საკვები დანამატების სია, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო ამის მიზეზი და კონკრეტულად ისიც, თუ ვინ არის ამ საკითხებზე პასუხისმგებელი.

სამწუხაროდ, ვიცით: საქართველოში ხელი ეწყობა იმპორტერს (უმეტეს შემთხვევაში - „საზურავის" მქონე მაფიოზ-მონოპოლისტს, რომელიც მოსახლეობას იაფი ნედლეულით კვებავს) და იჩაგრება მწარმოებელი. ვინაიდან პრობლემა საყოველთაოა, სიხარულით ვაძლევთ სიტყვას ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლებს. ამჯერად ვესაუბრებით საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსს იაგორ კალანდაძეს

***- ბატონო იაგორ, რამდენად სწორად მიგაჩნიათ ასეთი სახის ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისათვის?***

- ალბათ, ძალიან კარგი იქნება. მაგრამ, რაც მთავარია, ეს არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი. არაზუსტი ინფორმაცია, რადგან არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობა გამოიწვევს კიდევ ერთ დამატებით აჟიოტაჟს.

თანამედროვე კვების მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება საკვები პროდუქტების ხარისხისა და ტექნოლოგიური პროცესების გამაუმჯობესებელი სხვადასხვა საშუალებები. ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი და გამოყენებისათვის მოხერხებული აღმოჩნდა საკვები დანამატები, რის შედეგადაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოყენებული საკვებდანამატების სპექტრმა სწრაფად დაიწყო ზრდა. საკვებდანამატები წარმოადგენენ ბუნებრივი ან ხელოვნური წარმოშობის ნივთიერებებს, რომლებიც მიზანმიმართულად შეჰყავთ პროდუქტებში წარმოების, ტრანსპორტირების ან შენახვის სხვადასხვა ეტაპზე ამ პროდუქტებისათვის განსაკუთრებული თვისებების მისანიჭებლად. მაგალითად, ორგანოლეპტიკური (ფერი, სუნი, გემო) თვისებების გასაუმჯობესებლად, სტაბილურობის ასამაღლებლად და ა.შ.

***- ბატონო იაგორ, იკრძალება თუ არა საკვებდანამატების გამოყენება ბავშვთა კვების პროდუქტებში, არსებობს თუ არა ამ საკითხებზე სპეციალისტთა რეკომენდაციები?***

- საკვებდანამატებს, როგორც წესი, არ განეკუთვნება პროდუქტის კვებითი ღირებულების ასამაღლებელი შენაერთები, როგორიცაა ვიტამინები, მიკროელემენტები და სხვა. საკვებ დანამატებს ასევე არ წარმოადგენენ უცხო დამაბინძურებელი ნივთიერებები (კონტამინანტები), რომლებიც გარემოდან შემთხვევით შეიძლება მოხვდეს პროდუქტში.

დღეისათვის საკვებდანამატების გამოყენების პრობლემებზე მუშაობს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია. ჯანმრთელობის დაცვის (WHO) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის (FAO) მსოფლიო ორგანიზაციების ექსპერტების გაერთიანებული კომიტეტი საკვებდანამატებისა და კონტამინანტების საკითხებზე. ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის რეკომენდაციით საკვებდანამატის გამოყენება დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნება მისი სრული უსაფრთხოება ადამიანის ჯანმრთელობისათვის. საკვებდანამატების გამოყენება იკრძალება, თუკი აუცილებელი ეფექტი შეიძლება მიღწეულ იქნას ტექნოლოგიური მეთოდებით. ასევე იკრძალება მათი გამოყენება ტექნოლოგიური დეფექტებისა და პროდუქტების ხრწნის პროცესის დასაფარად, პროდუქციის კვებითი ღირებულების დაქვეითების შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებში საერთოდ იკრძალება საკვებდანამატების გამოყენება.

***- რა კანონით ხელმძღვანელობს საქართველო საკვებდანამატების ჰიგიენური რეგლამენტაციისას, მხედველობაში მიიღება კი მათი ტოქსიკოლოგიური და ბიოლოგიური გამოკვლევების შედეგები?***

„საკვებდანამატებზე არსებული უარყოფითი შეხედულებების მიუხედავად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საკვებდანამატები ნორმირებული გამოყენების შემთხვევაში განეკუთვნება მინიმალური რისკის ნივთიერებებს.

საკვებდანამატების ჰიგიენური რეგლამენტაციისას მხედველობაში მიიღება მათი ტოქსიკოლოგიური და ბიოლოგიური გამოკვლევების შედეგები, აგრეთვე, სავარაუდო დღეღამური მოხმარება ადამიანის მიერ და მათი სუმარული ზემოქმედება. მხოლოდ ამის შემდეგ დგინდება მისაღები დღეღამური მოხმარება, რომლის 100-ჯერ, ზოგ შემთხვევაში 500-1000-ჯერ შემცირებით დგინდება ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია. საქართველოში საკვებდანამატების გამოყენების საკითხი რეგულირდება სანიტარული წესებითა და ნორმებით № 1923-78 „საკვებდანამატების გამოყენების შესახებ" და შემდგომ გამოცემული დამატებებით, ხოლო 1998 წლის 23 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის № 413/ო ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე კვების დანამატების კალიუმის (924 ა) და კალციუმის (924 ბ) ბრომატების საკვებ ნედლეულსა და პროდუქციაში (ადგილობრივი და იმპორტული) აკრძალვის შესახებ".

***- ბატონო იაგორ, ამ დანამატების გარდა, კიდევ ხომ არსებობს სხვა შემავსებლებიც, მათი გამოყენება ევროსაბჭომ როგორ შეიმუშავა?***

„მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საკვები პროდუქტების წარმოებისას გამოიყენება 500-მდე დასახელების საკვებდანამატი, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ნაირსახეობის, კომბინირებულ დანამატებს, ცალკეულ სურნელოვან ნივთიერებებს და სხვა.

ევროსაბჭომ საკვებდანამატების სპეციფიური სახელწოდებების ალტერნატივად, რომლებიც ხშირად დიდი მოცულობისაა და ასახავს მათ რთულ ქიმიურ სტრუქტურას, შეიმუშავა და ევროგაერთიანების ქვეყნებში აპრობირებულ იქნა საკვებდანამატების ციფრული კოდიფიკაციის რეგიონალური სისტემა ლიტერით „E". ეს სისტემა უმნიშვნელო ცვლილებებით ჩართულია ჯანმრთელობისა და სურსათის, ასევე სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების (WHO/FAO) კოდექსში საკვები პროდუქტებისათვის (Codex alimentarius/Ed.2, V.1), როგორც საკვებდანამატების კოდიფიკაციის საერთაშორისო ციფრული სისტემა (International Numbering System - INS) და რეკომენდირებულია გამოყენებისათვის. ამ სისტემის თანახმად თითოეულ საკვებდანამატს მინიჭებული აქვს ციფრული სამ ან ოთხნიშნა კოდი (ევროპაში თავსართი ლიტერით „E" კოდი ან საიდენფიკაციო ნომერი გამოიყენება ფუნქციონალური კლასის სახელწოდებასთან შეთავსებით, რომელიც ასახავს საკვებდანამატების დაჯგუფებას ტექნოლოგიური ფუნქციების (ქვეკლასები) მიხედვით. მაგალითად: ასკორბინის მჟავა, პროდუქტის ხარისხის მახასიათებელი დოკუმენტებსა და ეტიკეტზე შეიძლება აღნიშნული იყოს, როგორც -ქანგვაწინაღი 300-, იზო-ასკორბინის მჟავა ან ერითოის მჟავა შეიძლება აღნიშნული იყოს, როგორც -ქანგვაწინაღის 315-, სინთეტიკური საღებავი ყვითელი „მზის ჩასვლა"- „საღებავი 110-.

ამჟამად შემუშავებულია და საქართველოს ჯამრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება „საკვებდანამატების გამოყენების წესი". სანიტარული წესების და ნორმები რომელშიც ასახული იქნება თითოეული საკვებდანამატების ჰიგიენური ნორმები.

საქართველოს სტანდარტი აწარმოებს ხარისხის შეფასებას. როგორც მოგეხსენებათ, საქართველო არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა. ინტეგრაცია სასურველია. ამიტომ უნდა გავარჩიოთ, რას ამბობს მწარმოებელი. ჯერჯერობით ჩვენმა ქვეყანამ თავისი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რა მატერიალური ბაზაც არსებობს, შეუძლებელია უკეთესად შეძლოს იგივე ლაბორატორიული კვლევა. ბევრ რამეს კი ვიჩემებთ ქართველები, მაგრამ რეალობას არ უნდა მოვწყდეთ. ჯერ ჩვენ არ შეგვწევს ასეთი მაღალი სტანდარტით კვლევის უნარი. ამ ქვეყნების წარმოების პროცესი და ტექნოლოგია სათავეშივე არ უშვებს რაიმე დარღვევას.

## ვაგრძელებთ E ნიშნების გაშიფრვას ნომრების მიხედვით

*E 170* - კალციუმის კარბონატი, კალციუმის ჰიდროკარბონატი;

ბუნებრივი მცენარეული თეთრი ფერის საღებავი, დამამჟავებელი საშუალება. ცნობილია ცარცის სახელწოდებით.

*E 171* - ტიტანის დიოქსიდი;

ხელოვნური მინერალური თეთრი ფერის საღებავი;

*E 172* - რკინის ოქსიდი, რკინის ჰიდროქსიდი;

ხელოვნური მინერალური ყვითელი, წითელი ან შავი საღებავი.

*E 173* - ალუმინი;

გამოიყენება ტკბილეულის შესახვევ მასალაში და ნამცხვრების მოსართავად, შეიძლება გახდეს თირკმელების დაავადების მიზეზი. ალცჰაიმერის ავადმყოფობით დაავადებულებს მორიდება მართებთ. ალცჰაიმერის ავადმყოფობით დაავადებულთათვის ძალზე საეჭვოა.

*E 174* - ვერცხლი;

გამოიყენება მხოლოდ ტკბილეულის შესახვევ მასალაში, შოკოლადის მოსართავებსა და ლიქიორის ეტიკეტებზე. საკვებთან ერთად ორგანიზმში მოხვედრისას გროვდება ქსოვილებში. რამდენიმე გრამი უკვე იწყებს მოწამვლას თირკმელების საშუალებით, ძალიან ნელა გამოიდევნება ორგანიზმიდან. კარგია, რომ, სიძვირის გამო შეზღუდულად იხმარება. არ გირჩევთ ასეთი პრდუქტის შეძენას, მის მიღებას.

*E 175* - ოქრო;

გამოიყენება კამფეტების, შოკოლადის, ლიქიორების მოსართავებში, საკვებთან ერთად ორგანიზმში მოხვედრისას შესაძლებელია გამოიწვიოს ცვლილებები სისხლის სურათში. სიძვირის გამო შეზღუდულად მოიხმარება.

*E 180* - ლითოლრუბინი BK;

ხელოვნური AZO - საღებავი. დაშვებულია მისი ხმარება მხოლოდ ყველის ქერქში. ალერგიულთათვის სარიკოა. არ გირჩევთ მიღებას.

*E 200* - სორბინის მჟავა;

ხელოვნურად მიღებული კონსერვანტი საკვებ პროდუქტებშიც გვხვდება ბუნებრივი ცხიმოვანი მჟავას სახით. აქვს დამახასიათებელი მსუბუქი მჟავე გემო. საეჭვო არ არის.

*E 202* - კალიუმის სორბატი; სორბინის მჟავა

ხელოვნურად მიღებული კონსერვანტი. სორბინმჟავისა და კალიუმის ნაერთი.

*E 203* - კალციუმის სორბატი; სორბინის მჟავა, სორბინმჟავისა და კალციუმის ნაერთი.

*E 210* - ხელოვნურად მიღებული კონსერვანტი საკვებ პროდუქტებში. ნატურალური სახითაც გვხვდება. ძირითადად თევზეულსა და სალათებს უმატებენ. ასთმიან და ალერგიულ ავადმყოფებში შეიძლება გამოიწვიოს ალერგია. ალერგიულთათვის სარისკოა. არ გირჩევთ მიღებას.

*ქეთი ჩადუნელი*

# ანტიქართული შაბაში გრძელდება

გერმანელი კუდიანები წელიწადში ერთხელ იკრიბებიან ხოლმე ბროკენის მთაზე. უასანთოდ კოცონებს ანთებენ და ცეკვა-თამაშს მართავენ. იგივე ხდება დღეს ქართულ პრესაში და ტელევიზიაში. რომელთაც "ყვითელი" არ ეთქმით მხოლოდ იმის გამო, რომ მათში სხვა, უფრო ნაზი ფერი ჭარბობს. გიორგაძეები და გოგუაძეები, ყალბი "ინტელიგენტები" და ყალბი "მშრომელები", დაბადებით უგონებონი და პროპაგანდით გამოთაყვანებულნი, ძველ ღია კომუნიზმს მონატრებულნი და ახალი ფარული კომუნიტებისგან გაძარცულ-გაძვალტყავებულნი - ყველა ესენი დღეს, მოსკოველი აწ უკვე კარიკატურად ქცეული დირიჟორის ჯოხის აქნევისთანავე აყეფდებიან, აკნავლდებიან, აწრუწუნდებიან, ალნავლდებიან, აკვნესდებიან ხოლმე, ვითომც და ქვეყნის გაჭირვების გულშემატკივარნი. ზოგნი "ძველის" ნოსტალგიას, ზოგნი "არასრულფასოვნების" კომპლექსს, ზოგნი უღიმღამო "ეპიკურეიზმსა" და „ჰედონიზმს" ავრცელებენ გულუბრყვილოთა შორის. ეს ორი თვეა, რატომღაც, ეს კომპანია საეჭვო ალმავლობას განიცდის. ვინც იმ მოშაბაშეებში შედარებით ზორბანი არიან ტანად, გულში მჯიღს ირტყამენ კაპიტალისტებზე გაყიდული საქართველოს სიყვარულით, ხოლო ვინც ზორბა არ არის, არამედ პირიქით, - და ძალიან პირიქითაც - ისინი "რუსთავ-2"-ში აქიაქებენ ქართველ "მიზოებსა" და "შალიკოებს", რომლებიც ძველ დროს, თურმე, მოსკოვში დაიარებოდნენ თავისი სექსუალური საჭიროებების მოსასტუმრებლად და ამით დემოკრატიის მოთხოვნებს არღვევდნენ. ამ ინვალიდების გუნდს ამას წინათ, იმავე "რუსთავ-2"-ში, აწ უკვე უპერსპექტივო რეჟისორი გ. შენგელაიაც შეემატა, რომელმაც ჭკუის სწავლება დაგვიწყო იმაზე, რომ რუსეთი, თურმე, მხოლოდ 11-ე არმია არ არის (თუმცა ის კი ვერ მოიფიქრა, რომ ამ არმიის მემკვიდრე სამხედრო ბაზების გაყვანამდე საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთი ჩვენთვის, მართლაც 11-ე არმიაა და სხვა არაფერი) და მას მისი ქალბატონმა ია ფარულავამაც, რომელმაც კულტურის თემაზე მჯილობა დაგვიწყო, თუმცა მისი კავშირი კულტურასთან, ჯერჯერობით, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სხვა ქართველ ქალებზე ადრე ინება თავის ეროტიულ შესაძლებლობათა დემონსტრირება ობიექტივის წინ. ამ კომპანიაში ზოგი ჭკვიანია და ზოგიც - თვალში საცემად არაჭკვიანი. ჭკვიანია, სამწუხაროდ, ალ. ჭაჭია, რომელმაც თავის პროპაგანდაში ჩვენი ეროვნული ბედის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული წერტილი მონახა - სახელდობრ, შეგვახსენა ის, რაც უმისოდაც კარგად ვიცით: რომ დასავლეთის (უფრო ზუსტი იქნებოდა, მას რომ ეთქვა: შეერთებული შტატების) და, ამგვარად, აგრეთვე ნატოს ძირითადი წარმომადგენელი ჩვენს რეგიონში არის თურქეთი, რომელიც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სტრატეგიული მოწინააღმდეგეა და დღესაც. შესაძლოა, საქართველოს მიმართ თავისი მომაკვდინებელი გეგმები აქვს. მაგრამ ის კი აღარ დასძინა ანგაჟირებულმა პოლიტოლოგმა და ექსპერტმა, რომ რუსეთის იმპერიასთან კიდევ ერთხელ ინტეგრაცია იმის ასრულებაა, რასაც თურქეთი მხოლოდ იმუქრება, და რომ მეორე სახიფათო მოწინააღმდეგის ყოლა არ ნიშნავს პირველის უყოლობას. არც ის თქვა (და, მე მგონი, მისი სტატუსის თანამშრომელი რუსული სამსახურებისა ამას ვერც მოიფიქრებს), რომ რუსეთი და თურქეთი ჩვენი ქვეყნისთვის რეალურად ორი მუქარა კი არ არიან, არამედ ერთი, და რომ მათი უთანხმოება კავკასიაში მხოლოდ მანამდე გრძელდება, ხანამ ეს უთანხმოება ამ ლოკალურ ანუ ადგილობრივ ფარგლებშია მოთავსებული, თორემ გლობალურად, ანუ დედამიწის მასშტაბით, ისინი პოტენციური მოკავშირენი არიან არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ, პირველ ყოვლისა, საქართველოს წინააღმდეგაც, რომელიც ამ რეგიონში დასავლეთის შემოღწევის ერთადერთი კარია. (რადგან რუსეთიც და ისლამური სამყაროც თავისი ე.წ. პოლემიკური მახვილით დასავლეთის ჰეგემონიის წინააღმდეგაა მიმართული). მათი ეს პოტენციური მოკავშირეობა თავს იჩენს მაშინვე, როგორც კი გლობალური დაპირისპირებანი რეალური მოქმედების სახეს მიიღებენ. და ნიშანდობლივია, რომ რუსეთისა და თურქეთის ურთიერთმოკავშირეობის პირველი აქტი (უფრო ზუსტად კი - რუსეთისა და საერთოდ ისლამის მოკავშირეობის პირველი აქტი) იყო რუსეთის 11-ე არმიის და თურქული არმიის ერთ დღეს დაწყებულა შეთანხმებული შემოტევა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე 1921 წელს, რაც ნათლადაა ასახული 11-ე არმიის სარდლის გეკერის ბრძანების ტექსტში...



რაც შეეხება ამავე პოზიციის მქადაგებელთა, რბილად რომ ვთქვათ, არაჭკვიან ნაწილს, მისი კლასიკოსია ვ. გოგუაძე, რომლის ინტერვიუს სათაურით "პრეზიდენტმა პირი უნდა იბრუნოს რუსეთისაკენ" გაზ. "შანსი" გვთავაზობს ა.წ. 13.XII ნომერში. რატომ უნდა იბრუნოს რუსეთის უმისოდაც მარიონეტმა "პრეზიდენტმა" თავისი არცთუ ულაქო პოლიტიკური პირი რუსეთისაკენ? ამისთვის გოგუაძეს ამჯერად ექვსი საბუთი აქვს.

პირველი საბუთი. ევროპა დღეს არისტოკრატების კონტინენტი აღარაა. იგი ჩარჩების ქვეყანაა. მასში სულიერება აღარაა. იგი "გამოწურულ ლიმონს ჰგავს". (რა მეთოდით და რა გზით შეატყო ევროპას "ამოწურვა" გოგუაძემ, რომელმაც, მე მგონი, არც ერთი ევროპული ენა არ იცის, ეს, დაე, მკითხველმა თვითონ გამოიცნოს).

მეორე საბუთი. ამერიკა ჩვენი მტერია. მან "რუსეთის მეშვეობით ჩამოგვართვა" აფხაზეთი და ცხინვალის ზონა (გოგუაძე, როგორც რუსეთის ჭეშმარიტი პატრიოტი, ზმარობს გამოთქმას "სამხრეთ ოსეთი", თუმცა იცის, რომ



ეს გამოთქმა ყოვლად არალეგიტიმურია). იბადება კითხვა: თუ ამერიკა რუსეთის მტერიცაა და ჩვენიც, რატომ გამოაყენებინა რუსეთმა ამერიკას თავისი "ხელი" ჩვენი ტერიტორიების წასართმევად?

მესამე საბუთი. რუსეთი "გვიცავდა" ორი საუკუნის მანძილზე. საკითხავია, ჯერ ერთი: ვის ეკუთვნის, თუ არა რუსეთის ადმინისტრაციას, ასიმილაციის კლასიკური ფორმულა "русская дума в грузинском теле" და ვის ეკუთვნის, თუ არა რუსეთის უმაღლეს ინტელიგენციას, არანაკლებ კლასიკური ფორმულები "Грузия-без грузин!" და „Грузия - это малая империя"? მეორეც, საიდან ასკვნის ვ. გოგუაძე, რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ მომავალშიც იქნება მხოლოდ ასიმილაციის და მხოლოდ საკუთარ სხეულში ინტეგრირების პოლიტიკა და არა ღია თუ ფარული გენოციდისა, როგორც ამას მისი დღევანდელი გეოსტრატეგიული ინტერესები მოითხოვს? თუ გოგუაძემ ეს არ იცის, იგი, უბრალოდ, ჩაუხედავია საქმეში და პოლიტიკურ აზროვნებასთან საქმე არ აქვს რა. თუ იცის, მაგრამ მალავს, მაშინ იგი ისეთივე მოღალატეა ქვეყნისა თეორიაში, როგორიც იყო პრაქტიკაში, როცა, როგორც პარლამენტარმა, ხელი აუწია საქართველოს "ესენგეში" შესვლას.

მეოთხე საბუთი. თურმე, ვინც რუსეთს ზურგს უქცევს, "ავტომატურად ამბობს უარს დაიბრუნოს აფხაზეთი და ოსეთი". გეგონებათ, პუტინმა ჩასჩურჩულა ყურში გოგუაძეს (და მასთან ერთად შ. ნათელაშვილსაც, რომელიც "კავკასიის" ტელევიზიაში ამასვე გვიმტკიცებდა). "თქვენ ოღონდ კარგად მოიქეცით, ბიჭებო, და აფხაზეთის დაბრუნება ჩვენზე იყოსო".

მეხუთე საბუთი. თურმე, რუსეთის "სალი ნაწილი" მიიჩნევს, რომ "საქართველო გადარჩება". რომელია ეს "სალი ნაწილი", გოგუაძე ვერ გვისახელებს, თუნდაც გვისახელებდეს, პროგნოზი არ არის პოზიცია. იმის "ფიქრი", რომ საქართველო გადარჩება, და იმის სურვილი, რომ იგი გადარჩეს, ერთი და იგივე არაა, მით უმეტეს, იგივე არაა, რაც სურვილი, რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოში მეგობრული ან თუნდაც ნეიტრალური იყოს.

და ბოლოს, მეექვსე საბუთი. ბატონო გოგუაძე იმდენად ბრძენია, რომ ერთი წლის წინ უწინასწარმეტყველა ამერიკელ რესპუბლიკელებს პიროსისეული გამარჯვება ა.შ.შ. საპრეზიდენტო არჩევნებში. ამიტომ მას დაეჯერება, რომ საქართველო რუსეთს ფეხქვეშ უნდა გაეგოს. ჩვენი ბრძენის ეს პროგნოზი მარტივად იხსნება. რესპუბლიკელთა გამარჯვება ა.შ.შ. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი ხნის დაგეგმილი და განსაზღვრული ხდომილებაა. მოსკოვის სათანადო ინსტიტუტებმა ეს, რა თქმა უნდა, იციან და ამ პროგნოზს პროგრამის თანახმად უზიარებენ თავის ნომენკლატურასა და აგენტურას მათთვის საინტერესო ქვეყნებში. მაგრამ ისინი არ უზიარებენ თავის აგენტებს იმ ცნობებს, რომლებიც მათ-მათს ქვეყნებს ეხება. მაგალითად, ისინი არასოდეს გაუმხელენ გოგუაძეს, რომ კავკასიიდან თავისი წასვლის აუცილებლობა იციან, რათა არ გაუნელონ მას და მისთანებს იმის ენთუზიაზმი, რომ საქართველო რუსული იმპერიის ერთ-ერთ უსაშინლეს არიერგარდულ ბრძოლაში ჩაითრიონ გარანტირებულად დამარცხებულის მხარეზე, ანუ მომაკვდავი ურჩხულის იმ კუდის ქვეშ მოაყოლონ, რომლის კონვულსიები არაპროგნოზირებადია და სამკვდრო-სასიცოცხლოდ საშიში.



მაგრამ ნათქვამია, ყრმათა პირით ჭეშმარიტება მეტყველებსო, და ზოგჯერ იგივე ხდება ბრიყვთა პირით. უნდა შევნიშნოთ, რომ ბატონ გოგუაძის ამ დემაგოგიას, მიუხედავად მისი უსუსურობისა, ერთი ბარაქიანი მკვებავი წყარო მაინც აქვს. ეს ის გახლავთ, რომ დასავლური ცივილიზაციის ორბიტში საქართველოს ჩართვა დღეს მართლაც იმდენად მახინჯი წესით ხდება, რომ ეჭვს აჩენს: ამ სიმახინჯეში დღევანდელი მმართველი პრორუსული ხროვის ცნობიერი გეგმა ხომ არ დევს, ხალხს დასავლეთი შეაჯავროს და დღეს ჯერ კიდევ აგრესიული რუსეთისადმი სიმპათია აღუძრას? საქართველოში მართლაც შეგნებულად ითრგუნება მრეწველობა, განათლება, სოფლის მეურნეობა, ეროვნული ცნობიერება და ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობა. თავხედურსა და ყოვლად უკანონო სეპარატიზმს საქართველოში მართლაც ხელი ეწყობა არა მხოლოდ რუსეთის მიერ, არამედ სხვათა მიერაც. მოკლედ რომ ვთქვათ: საქართველოში მართლაც მოქმედებენ ე.წ. "გლობალიზაციის" ძალები, რომელთაც ჰსურთ, საქართველო იურიდიულად კი იყოს ქვეყანა, მაგრამ ფაქტობრივად იყოს არა ქვეყანა, არამედ მხოლოდ ტერიტორია, მხოლოდ სივრცე, სადაც დაუბრკოლებლად და ადგილობრივი ერის დაუკითხავად იმოძრავებს ფული, ტრანსპორტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა თუ ჯავშანტექნიკა. შევარდნაძე თავისი ხროვითურთ, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ ემორჩილება ამ ძალებს, რათა ამით ცოტა მაინც მოაწონოს მათ თავი იმ წამგებიან ფონზე, რომელსაც ქმნის მისი ყურმოჭრილი სამსახური რუსეთის აგენტად. (ამ ძალებს რომ ასე თუ ისე ემორჩილება რუსეთის ხელისუფლებაც მთავარ საკითხებში, დღეს ეს ყველამ იცის). მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ, გიორგაძეებისა და გოგუაძეების მსგავსად, საქართველოს ვურჩიოთ და მოვთხოვოთ, ფაქტობრივთან ერთად იურიდიული დამოუკიდებლობაც დაკარგოს და განწირულ იმპერიასთან ერთად ხრამში გადაიჩეხოს. ზემოხსენებული გლობალიზმისთვის წინააღმდეგობის გაწევა ჩვენს ქვეყანას შეუძლია (რა თქმა უნდა, არა დღევანდელი კორუმპირებული ხროვის ხელში), რუსეთის გამანადგურებელი ზეწოლისადმი კი საქართველოს წინააღმდეგობა არ შეეძლება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი სრულფასოვანი სუვერენიტეტის ერთი ნამცეცი მაინც დავუთმეთ და თუნდაც იოტისოდენა იურიდიული უფლება მივეცით ჩვენი ქვეყნის და მისი ტერიტორიის მიმართ. რატომ არის ამდენად სხვადასხვა ჩვენი პერსპექტივები გლობალისტურ ძალებთან ურთიერთობაში ერთის მხრივ და რუსეთთან ურთიერთობაში მეორეს მხრივ? არა იმიტომ, რომ მათ სხვადასხვა მენტალიტეტი ან ჩვენდამი სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ. განსხვავებას მათ შორის სავსებით ობიექტური ფაქტორი განსაზღვრავს: დასავლეთი და, პირველ ყოვლისა, ა.შ.შ. თავის ურთიერთობებს ნაკლებ ძლიერ ქვეყნებთან ამყარებს კომპრომისის საფუძველზე. ეს კომპრომისი შეიძლება თანასწორი იყოს ან უთანასწორო, მაგრამ ორივე შემთხვევაში იგი მაინც კომპრომისია და დასავლელებს არ ეშინიათ, რომ იგი დაირღვევა, რადგან კონკურენტუნარიანნი არიან და იციან, რომ მათზე უკეთეს პირობებს მათ პარტნერს სხვა ვერ შესთავაზებს. რუსეთი კი კონკურენტუანარიანი არაა და ამიტომ იგი იძულებულია (და იძულებული იქნება კიდევ ერთი-ორი საუკუნის მანძილზე მაინც), თავისი პარტნერი - თუ კი მის მიმართ ოდნავი უფლებები მაინც შეიძინა - მიწაზე გაართხას, რათა მას პოტენციურ კონკურენტთან ურთიერთობის ყოველგვარი შესაძლებლობა იმთავითვე აღუკვეთოს.

მაშ დავფიქრდეთ, ბატონებო! უფრო სწორად, ვიფიქროთ ხოლმე მანამდე, სანამ ჩვენს საკუთარ ქვეყანას დამღუპველ რჩევას მივცემდეთ!

*ნოდარ ვერელი*

# რაც პრეზიდენტია, ის მისი წარმომადგენელია

შიდა ქართლი ერთი იმ პრობლემათაგანია, სადაც ყველაზე კარგად ჩანს, რომ შევარდნაძე ორჯონიკიძის პირდაპირი მემკვიდრეა, ხოლო მისი პარტია - ძველი ბოლშევიკების სწორედ იმგვარი ხროვისა, როგორსაც ორჯონიკიძე ეკუთვნოდა. ამ წერილში ამ ჯგუფის ერთი-ორი დამახასიათებელი თვისება უნდა მიმოვიხილოთ.

საქართველოს მთიანეთში ოსური მოსახლეობა აქა-იქ, პრაქტიკულად, XVII-XVIII საუკუნეებიდან არსებობს. მისი ინტენსიური ზრდა დაიწყო 1864 წლიდან, როცა საქართველოში ბატონყმობა გაუქმდა და უყმებოდ დარჩენილმა ქართველმა თავადებმა თავისი მამულების დასამუშავებლად კავკასიონის გადაღმიდან, მეზობელი ოსეთიდან (დღეს რომ "ჩრდილო ოსეთი - ალანია" ეწოდება) სიზნებად ოსების შემოყვანა დაიწყეს. ბუნებრივია, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ეს მოსახლეობა ქართლის ჩრდილო-ცენტრალურ ნაწილში დაგროვდა, მაგრამ მან მალე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიც გააღწია.

სიზნობა საკმაოდ დაბალი სოციალური სტატუსი იყო და ამის ამსახველია ის ფაქტი, რომ 1897 წლის რუსული აღწერით საქართველოში არ არის მითითებული მიწის მესაკუთრე თითქმის არცერთი ოსი, თუმცა ოსური მოსახლეობა ამ დროს უკვე მრავალრიცხოვანია და თითქმის მთლიანად მიწათმოქმედებაშია ჩაბმული. ამით იქმნება უმწვავესი აგრარული დაძაბულობა - ვითარება, როცა არის მიწათმოქმედი და ამ მიწათმოქმედს არა აქვს მიწა. ბუნებრივია, რომ ამ დაძაბულობით ისარგებლა საბჭოთა რუსეთმა და 1919-1920 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ოსების ხელით რამდენჯერმე მოაწყო უმწვავესი სისხლიანი ამბოხება. ეს ამბოხებები თავისი რეალური შინაარსითა და ემოციური მუხტით აგრარული იყო, მაგრამ გაფორმდა როგორც ოსთა ეროვნული ბრძოლა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ აჯანყებებისთვის (რომლებიც ჩაახშო საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ ვ. ჯუღელის მეთაურობით, არმიას ამ ოპერაციაში მონაწილეობა არ მიუღია) საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვლის ანექსიიდან 15 თვის შემდეგ დააჯილდოვა ოსები იმით, რომ 1922 წლის აპრილში მათ საქართველოს მიწაწყალზე ტერიტორიული ავტონომია შეუქმნა და ამ მიწას „სამხრეთ ოსეთი" („სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი") დაარქვა. ოლქის ტერიტორიამ მოიცვა ასალგორის, ჯავის, ცხინვალისა და ზნაურის რაიონები (ამ სახელთა დარქმევა შემდეგ მოხდა) და რაჭა-იმერეთის მცირე ნაწილი. ამ ხელოვნურად შეთითხნილი ერთეულის მოსახლეობაში მეტი იყო ქართველი, ვიდრე ოსი, და მეტი იყო ქართული სოფლები, ვიდრე ოსური. ცხინვალში სულ რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობდა. ოლქის შექმნის მერე მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა მკვეთრად შეიცვალა ჩრდილოეთიდან ოსების შემოდენის შედეგად. 1989 წელს „ოლქში" ცხოვრობდა 65 ათასი ოსი, მთლიანად საქართველოში კი - 165 ათასი. ოლქის ქართველი მოსახლეობა 30 ათასს შეადგენდა. ალსანის-

გაგრძელება მე-6 გვ.

– უცხოური პრესიდან –

## გერმანული გაზეთი საქართველოს შესახებ

*საქართველოს დღევანდელი ტრაგიკული მდგომარეობა უცხოელ პოლიტიკოსთა თვალში სხვადასხვა კუთხით გადატყდება. ვაქვეყნებთ ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლის ბატონ ფიტის შთაბეჭდილებებს.*

### «საქართველო-მწარედ გაღატაკებული მშვენიერი ქვეყანა»

(გაზ. „ნოიე ზოლიდარითეთ", 1 XI 2000)

ღმერთი რომ ქვეყანას ანაწილებდა, შუადღის ტკბილ ძილში წასულ ქართველს, სამწუხაროდ, გვიან გაეღვიძა. გული დასწყდა. ღმერთს რომ მისთვის მიწის ნაგლეჯიც აღარ დარჩენოდა. ღმერთს შეებრალა და ქართველს თავისთვის შენახული მიწა მისცა. ამ მშვენიერ მიწაზე, კავკასიონის სამხრეთით, დღესაც ქართველი ცხოვრობს. ეს არის მიწა, რომელსაც რძე და თაფლი გადმოსდის.

სსრკ-სგან 90-იან წლების დამდეგს განთავისუფლებული ქვეყანა კლიმატურად იმგვარია, რომ იქ ყველა მცენარე ხარობს, რაც კი დედამიწას აღმოუცენებია. ასე, მაგალითად, ქართულმა ჩაიმ წლების მანძილზე ისევე მოიპოვა სახელი, როგორც ღვინოს აქვს, თამბაქოს ან ლიმონებს. არის სუბტროპიკული ჰავის ზონები და კლიმატურად ჩვენი შუამთიანეთისა და ალპების მსგავსი. ისტორიულად საქართველოს ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის გადაკვეთის ადგილი უჭირავს. ამიტომაცაა, რომ ათასწლეულთა მანძილზე იგი მსოფლიოს დიდ ძალათა შემოტევის საგანია. ჩრდილოეთიდან დიდ რუსეთს, სამხრეთიდან კი სპარსეთსა და ოსმალეთს მუდამ დიდი გავლენა ჰქონიათ ხოლმე საქართველოს ბედზე.

მიუხედავად ყველაფრის, ქართველებმა შეძლეს თავისი თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნება. V საუკუნეში მათ საკუთარი საუცხოო ანბანი შეიმუშავეს. მათ შექმნეს ქრისტიანული სახელმწიფო. ამ დროს ეკუთვნის პირველი ქრისტიანულ ტაძრები. მათი არქიტექტურა და სომხური ერთმანეთს ჰგავს. (სომხეთი 301 წელს ქრისტიანულ სახელმწიფო გახდა). აქ მოღვაწეობდნენ მოციქულები თადეოსი და ბართლომე. 11-ე და 12-ე საუკუნეებში ორსავე ქვყანაში კულრუტული აყვავება, „ოქროს ხანა" სუფევდა.

ამ დროს ცხოვრობდა საქართველოს ეროვნული პოეტი რუსთაველი. საქართველოში მას იგივე ადგილი აქვს, რაც პუშკინს რუსეთში, დანტეს იტალიაში ან შილერს გერმანიაში. იყო გავლენა არაბული რენესანსისა, რომელსაც სათავე შუა აზიაში დაედო. იმ კუთხის კულტურაზე დღესაც სამარყანდისა და ბუხარის არქიტექტურული ძეგლები და სხვა ფასეულობები მეტყველებენ. იბნ სინა (ავიცენა) ხომ თავისი დროის ერთ-ერთი გავლენიანი ფილოსოფოსი იყო!

ძველ თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მრავალი ნაგებობა მეტყველებს იმ მრავალგვარ გავლენებზე, რაც ამ ქვეყანას

გაგრძელება მე-4 გვ.

# რაც პრეზიდენტია, ის მისი წარმომადგენელია

მე-3 გვერდიდან.

ნავია. რომ ოლქის შექმნის გადაწყვეტილების მიმღები იყო არა საქართველოს რომელიმე. რაგინდარა მარიონეტული და ბოლშევიკური. სახელმწიფო ორგანო. არამედ „რუსეთის სოც-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების)“ კავბიურო (კავკასიური ბიურო). რომელსაც რეზიდენცია ჩრდილო კავკასიაში ჰქონდა.

ოსების „რევანში“ რუსეთის მიერ საქართველოს განმეორებითი დაპყრობის შემდეგ უსასტიკესი იყო. იგი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მასობრივ ხოცვაში გამოიხატა. მით უმეტეს - 1924 წელს და შემდეგ. როცა კომუნისტების მთელი რეპრესიული აპარატი საქართველოში არა პოლიტიკური. არამედ. პირველ ყოვლისა. ეროვნული ანუ ანტიქართული მიზნებისთვის იყო გამოყენებული. მაშინდელი მონათხრობი გახლავთ: დაიჭერდნენ ქართველს ტყეში. გაბურძგნული ოსი ხეზე აძვრებოდა. ვითომ მოსკოვს ურეკავს. და ჰკითხავდა: "მოსკო. მოსკო! აქა ნაციონალისტი დაიჭირე. გასრიტო თუ გაუშვა?" ჩამოვიდოდა მოწყენილი და იტყოდა: „გეუბნება გასრიტო“ და დასვრეტდნენ.

ცხადია. რომ საქართველოს დემოკრატიულად არჩეული პირველივე ხელისუფლება - 1990 წლის 28 X არჩეული უზენაესი საბჭო ზ. გამსახურდიას თავმჯდომარეობით - ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გაეუქმებინა ეს ყალბი ტერიტორიულ-პოლიტიკური წარმონაქმნი. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამით ამ ერთეულის არსებობაზე თანხმობის გამცხადებელი იქნებოდა. ეს ამ საბჭომ ქმნა კიდეც 1990 წლის 11 დეკემბერს. ამგვარად. შევარდნაძის „პირადი წარმომადგენელი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში“. ირ. მაჭავარიანი ცრუობს. როცა გაზ. „ალიაში“ (4.XII. 2000) წერს. ეს დადგენილება იმის პასუხი იყო. რომ მანამდე 2 თვით ადრე ცხინვალში ოსმა სეპარატისტებმა ავტონომიური ოლქი „რესპუბლიკად“ გამოაცხადესო. ოლქი გაუქმდა იმიტომ. რომ მისი არსებობა უკანონო იყო. სეპარატისტული "დემოკრატიული საბჭოთა რესპუბლიკის" გამოცხადების ფაქტი აქ დამოწმებულია როგორც სეპარატისტული ზრახვის მაჩვენებელი და არა როგორც იურიდიული ფაქტი. (1990 წლის 11.XII კანონმა გააუქმა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და არა "რესპუბლიკა"). ეგევე გარემოება განაპირობებს იმას. რომ ეს ნაბიჯი „ნაადრევი“ კი არ იყო. როგორც ი. მაჭავარიანს. მისივე ცნობით. უთქვამს თვითმარქვია „პრეზიდენტისთვის“ ჩიბიროვისთვის (!) არამედ დროული და აუცილებელი. სამწუხაროდ და სასაცილოდ. ეგევე არაერთხელ განაცხადა მაჭავარიანთან შედარებით განუზომლად უფრო ინფორმირებულმა და სოლიდურმა პირმაც - ა. ასათიანმა. რომელიც 1990 წლის 11 XII საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო.

შევარდნაძემ 1992 წლის 7 მარტს საქართველოს მმართველად დაბრუნების შემდეგ თანმიმდევრულად განაგრძო ორჯონიკიძის ხაზი. როცა. ჯერ ერთი. არსად არ განაცხადა და არ დააფიქსირა ვიღაცის მიერ ცხინვალისკენ პროვოკაციული საარტილერიო სროლის წარმოება. რაც. ამ ლიდა „მთავარსარდლის“ დუმილის პირობებში. ბუნებრივად. ქართველებს დაბრალდა. (ყველაზე უფრო ალბათი ახსნა ამ უცნაური პროვოკაციისა ის გახლდათ. რომ ისროდნენ ლაგოდეხის რუსული სპეც. ნაწილის ვითომდა „ლანდსკნეხტები“. რომელნიც. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი. შევარდნაძის ოპერატიულ დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ); შემდეგ მან. ყოველგვარი სამხედრო საჭიროების გარეშე. მთავარი მოწინააღმდეგე. რუსი. „მშვიდობისმყოფლად“ მოიწვია და ჩრდილოელ ოსებთან ერთად ვითომცდა „კონფლიქტის ზონაში“. ნამდვილად კი - თითქმის ყოფილი ოლქის პერიმეტრზე ჩააყენა. სადაც კონფლიქტი არასოდეს მომხდარა. (იმაზე. ვის რა წილი უდევს ბესო ქუთათელაძის რუსულ ნაწილში შეტყუებაში და იქ 34 ქართველ ბიჭთან ერთად მის მოკვლაში. აქ აღარ ვილაპარაკებ). რაც მთავარია. მან პოლიტიკურად დათმო ქართული სახელმწიფოს პოზიცია და მზადაა იურიდიულადაც დათმოს. თუკი საქართველოს შინაგანმა ვითარებამ ამის საშუალება მისცა. სახელდობრ. მან. ჯერ ერთი. საქართველოს ეს შინაგანი პრობლემა საერთაშორისო სამსჯავროზე გაიტანა. რასაც არანაირი აუცილებლობა არ მოითხოვდა. მეორეც. მან არ გამოიყენა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ლაპარაკში ის აბსოლუტურად შეუვალი არგუმენტები. რომლებიც კმარა. რათა მოიხსნას ყოველგვარი პრეტენზია უკანონო „სამხრეთ ოსეთის“ დაკანონების შესახებ. ეს არგუმენტები შევარდნაძისთვის ცნობილი იყო. რადგან ისინი არაერთხელ გამოქვეყნებულა 48 პარლამენტარის. ცნობილი საზოგადო მოღვაწის ა. ბაქრაძის და ცნობილი მეცნიერის აკად. შ. ნადირაშვილის ხელმოწერით. მაგრამ მან ეს არგუმენტები დამალა. ამ არგუმენტებში მთავარია ორი. პირველი, არ არსებობს უფლებადაცვითი პოლიტიკის პრაქტიკაში (ე.წ. „ჰელსინკის პროცესში“) ისეთი ნორმა. რომელიც ავალდებულებდეს სახელმწიფოს. ტერიტორიული ავტონომია შეუქმნას უმცირესობას. რომელიც ამა თუ იმ რეგიონში ადგილობრივ უმრავლესობად ქცეულა. ხოლო რაკი ასეა. არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არა აქვს უფლება. საქართველოსთვის ახალი ცალკე ნორმა შექმნას. ნორმები იქმნება ერთობლივად - რა თქმა უნდა საქართველოს მონაწილეობით და თანხმობით - და მერეღა მიეყენება ყველა ანალოგიურ პრობლემას. საქართველოს პრობლემათა ჩათვლით. მეორე. თუ წესად შემოვიღებთ. რომ ამა თუ იმ ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსი - მისი კუთვნილება. სახელი. მასზე ამა თუ იმ სუბიექტის იურისდიქციის გავრცელება და სარისხი - დამოკიდებული იყოს ამ ტერიტორიაზე მომხდარ დემოგრაფიულ ცვლილებებზე. ანუ იმაზე. ვინ გამრავლდა ბუნებრივად ან იმიგრაციის შედეგად და ვინ ვერა. ამით შევქმნით ობიექტურ წანამძღვრებს ეთნიკური წმენდისა და გენოციდისათვის მთელ მსოფლიოში. რადგან ერთი ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული წარმატება პოლიტიკურ და იურიდიულ საშიშროებად ექცევა ყველა სხვა ჯგუფებს. ამ არგუმენტებს (სხვასაც რომ თავი დავანებოთ) პასუხი არა აქვს. მაგრამ მათ გამოყენებას. ჯერ ერთი. განათლებაც უნდა (რათა დისკუსია განაგრძოთ). მეორეც. სახელმწიფოს ინტერესთა ერთგულება და. დასასრულ. ის მამაკაცური თვისება. რომელსაც ლიტერატურულად „ძარღვი“ ეწოდება. არალიტერატურულად კი სხვა. ისევ ანატომიის ტერმინოლოგიიდან აღებული სახელი. შევარდნაძეს. როგორც ცნობილია. არც ერთი ამ თვისებათაგანი არა აქვს და ამიტომაა. რომ დღეს საქართველო. ამჯერადაც. უპატრონო და შემოტევის წინაშე დაუცველი გახლავთ.

წამითაც ეჭვი არ მეპარება. რომ ამ საქმეთა მქმნელს - ამ ვითომ პოლიტიკოსს. ვითომ მთავარსარდალს და ვითომ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს - თავის დროზე მაქსიმალურად მკაცრი სამართლებრივი პასუხისმგებლობა ელის. მაგრამ მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო სხვა თემაზე. რომელიც უფრო მნიშვნელოვანი მგონია.

იმ შემოტევის წყარო. რაც დღეს საქართველოს წინააღმდეგ წარმოებს ცხინვალის ზონაში. მხოლოდ რუსეთი არ არის. ეუთოს მისია საქართველოში თავისი დაარსების დღიდანვე (1992წ.) გააფთრებით ებრძვის ქართულ ინტერესს ამ რეგიონში. ამ ბრძოლაში - ზოგი სხვა ზეგანვითარებული დემოკრატიისგან განსხვავებით - განსაკუთრებით აქტიურნი გერმანელი დიპლომატები არიან (ელჩი აიფი და ელჩი ბოდენი). ამ ფაქტის ახსნის სხვადასხვა ჰიპოთეზათა განხილვით მკითხველს არ შევაწუხებ. მოგახსენებთ მხოლოდ. რომ ეს პოლიტიკური და დიპლომატიური შემოტევა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მოგერიებადია. საქართველოს სახელმწიფოს ინტერესთა მხარეზე. როგორც უკვე ითქვა. შეუვალი არგუმენტაცია დგას. რომელიც უძლეველი იარაღია ერთგული და უნარიანი პოლიტიკოსის ხელში. ხოლო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და კანონიერი პარლამენტი საკმარისი იურიდიული ბერკეტია. რათა ეფექტიანად გამოყენებულ იქნეს ეს იარაღი.

საქართველოს „რბილად“ ნგრევის ამ ფრონტს. რომელსაც შიდა ქართლის პრობლემათა „მოგვარება“ ეწოდება. ამ ცოტა ხნის წინ პატარა მოულოდნელობა შეემთხვა. პარლამენტის იქაურმა წევრმა გურამ ვახტანგაშვილმა (თუ არ ვცდები. ეს ის კაცი გახლავთ. ვისაც მე კარგად ვიცნობ) საჯაროდ ამხილა შევარდნაძის პირადი წარმომადგენელი ირ. მაჭავარიანი იმ თანმიმდევრულად მოღალატური პოლიტიკის გატარებაში. რომელსაც საქართველოს მმართველნი დღეს შიდა ქართლში აწარმოებენ. კიდევ უარესი. ბატონი ვახტანგაშვილი. თურმე. იმდენად გაკადნიერდა. რომ მოითხოვა. საზღვარგარეთ მავალ დელეგაციებს. რომლებიც იქ ქართლის ბედზე მოლაპარაკებას აწარმოებენ და ვითომ საქართველოს ინტერესებს იცავენ. გულგრილი და მუნჯი ორფეხებით ნუ დააკომპლექტებთ. შიგ ზრდილობისთვის მაინც ერთი იქაური კაცი გამერიეთ. ვისაც საკითხის მესმის და გული მერჩისო. მაჭავარიანმა უპასუხა „ალიაში“ და ჩვენი წერილის საგანიც ეს. უკადრავად პასუხია. პასუხი გახლავთ.

ჯერ ერთი. პრეზიდენტის რწმუნებულმა არ იცის და. როგორც ჩანს. არც აქვს სურვილი. იცოდეს ფაქტები. თუკი ისინი არ ამაგრებენ საქართველოს მოწინააღმდეგის პოზიციას. რომელსაც ხელისუფლება ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ემხრობა. ასე. მაგალითად. იგი წერს. რომ ე.წ. „ჩრდილო“ ოსეთში ანუ ნამდვილ ოსეთში საქართველოდან ლტოლვილი 30 ათასი ოსი იმყოფება“. ეს ტყუილია. რუსეთის პოლიტიკოსები და რუსული სააგენტოები 1992-93 წლებში 80. 100 და 120 ათასს ვითომ „ლტოლვილს“ უთითებდნენ. მაგრამ ეს ციფრები მითიური იყო. სამთავრობო კომისიამ. რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი იმ დროს. გვქონდა აბსოლუტურად სანდო მონაცემები. რომ ეს რიცხვი. ლტოლვილობის პიკის დროს. იყო 21 ათასი. რაც. თუ ავიღებთ „პლუს-მინუსად“ 2 ათასს (რაც ძალიან დიდი დაშვებაა). 23 ათასს ვერ ასცდება. მას შემდეგ დიდი ნაწილი ამ ხალხისა საქართველოში დაბრუნდა. ამგვარად. დღეს რუსეთის ფედერაციაში ჩვენგან ლტოლვილი თითქმის არ არის. 30 ათასის შეთხზვა საჭიროა იმისთვის. რომ იქიდან აქეთ იმიგრაცია მოხდეს (ლტოლვილთა ნიღბით) და დემოგრაფიული სურათი ოსთა სასარგებლოდ შეიცვალოს.

მაჭავარიანმა არც ის იცის. რომ ბრიყვული წინადადება. რომლითაც იგი მოწინააღმდეგეს მიჰმართავს (ვისი რწმუნებით - არ ვიცი). „თქვენ რესპუბლიკაზე აიღეთ ხელი. ჩვენ კი ავტონომიურ ოლქს აღვადგენთ და ვიყოთ. როგორც ადრე ვიყავითო“ სხვა არა არის რა თუ არ გორბაჩოვის წინადადების განმეორება. რომლითაც მან კონფლიქტის მხარეებს მოგვმართა 1991 წელს. ოსმა სეპარატისტებმა. რა თქმა უნდა. მას წამსვე დაუჯერეს და გააუქმეს თავისი 20 სექტემბრის დადგენილება „რესპუბლიკის“ შექმნის შესახებ. ზ. გამსახურდიამ კი ისე უპასუხა. როგორც საჭირო იყო: მისი წინადადება უგულებელყო. მაგრამ პარტნერს მოსთხოვა. სახელი „ჩრდილო ოსეთი“ შეცვალეთ. რადგან ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესთა ხელყოფააო.

მაჭავარიანმა არაფერი იცის იმისა. რაც ცხინვალის ზონაში 1989-93 წლებში მოხდა (და არც ის. რაც ახლა ხდება) და ამიტომ ჰგონია. მაგალითად. რომ იქ ქართულმა მხარემ ომი წააგო (სინამდვილეში. როგორც უკვე ვთქვით. გახურებული ომის დროს „მთავარსარდალი“ შევარდნაძე რუსეთში გაიქცა და ჯარის. ხალხისა და სახელმწიფოს ზურგს უკან კაპიტულაცია მოახდინა); მას ჰგონია. რომ იქ "იმ დონის ეთნიკური წმენდა არ ყოფილა" (რაც აფხაზეთში) და რომ შიდა ქართლიდან „ქართველები წამოვიდნენ იმიტომ. რომ არსებულ რეჟიმს ვერ შეეგუენ“. სინამდვილეში ზნაურის რაიონი დაიცალა იმიტომ. რომ ქართველების სახლებიანად წვავდნენ. იგი სულ რამდენიმე დღეში დაიცალა. ასევე დაიცალა ცხინვალის ქალაქში მოქცეული სოფ. გუჯაბაური. ხოლო ასევე ცხინვალში მოქცეული სოფ. მამისაანთ უბანი ერთი ღამის განმავლობაში დაიცალა. როცა მისი რბევა-განადგურების მასობრივი ოპერაცია დაიწყო. როგორც ეტყობა. მან ისიც არ იცის. რაც ყველა ლიახველმა და ყველა გორელმა იცის: სახელდობრ. ის. რომ ქართულ სოფელ ხეითთან ხუთი ქართველი ახალგაზრ-

გაგრძელება მე-5 გვ.

– უცხოური პრესიდან –

# გერმანული გაზეთი საქართველოს შესახებ

მე-3 გვერდიდან.

ათასწლეულთა მანძილზე განუცდია. კულტურათა ამ გზაჯვარედინზე სინაგოგაც არის. მიზგითაც და ქრისტიანული ტაძრებიც. ერთიმეორის გვერდზე. რელიგიის თაობაზე აქ არასდროს კონფლიქტი არ მომხდარა. ეკუმენეს ცნება ქართველისთვის არ არის ახალი და უცხო სიტყვა. ეს მისთვის ათასწლოვანი პრაქტიკაა.

საქართველოსთვის არც ის უცხოთმოძულეობაა აქტუალური თემა. რომელსაც ყველანაირად ატრიალებენ სხვა ქვეყნებში საუკუნეთა მანძილზე. აქ ადამიანები სხვა ენისა და რასის გვერდით ცხოვრობენ. სხვებთან სიახლოვის გამო საქართველოში ბავშვები ხშირად ორ. სამ და ოთხენოვანნი იზრდებიან.

### გეოპოლიტიკა და სილატაკე

თბილისის უნივერსიტეტი პირველი დაარსდა ამიერკავკასიაში. აქ განათლებას იღებენ არა მხოლოდ საქართველოს მაცხოვრებელნი. არამედ სომხეთიდან და დღევანდელი აზერბაიჯანიდან მოსულებიც. რუსეთის გავლენით საქართველო თანდათან იქცა აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიული ინფრასტრუქტურის მქონედ. XIX ს-ის დამლევისთვის აქ რკინიგზის ქსელი გაჩნდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველომ სუვერენიტეტი დაიბრუნა. მაგრამ იგი მალევე მოსკოველმა კომუნისტებმა წაართვეს. დამოუკიდებლობის შეუნელებელი სურვილი ამ ქვეყანამ 80-იანი წლების დამლევსღა კვლავ გაიხადა ბრძოლის საგნად. ბევრს ახსოვს. გორბაჩოვმა რომ ტანკები გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ. რომელნიც დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. ამ დროს გერმანია სწორედ რომ „გორბიმანიაში“ იყო ჩაფლული და. უბრალოდ. ვერ შენიშნა ის დახოცილები. რომლებზედაც პასუხისმგებელნი გორბაჩოვი და მისი საგარეო მინისტრი შევარდნაძე იყვნენ.

სსრკ რომ დაიშალა. საქართველოც ნანატრ თავისუფლებას ეღირსა. მაგრამ თავისუფლების და ცხოვრების პირობათა გაუმჯობესების იმედი მალე განქარდა. საქართველო გეოპოლიტიკურ ინტერსთა სათარეშოდ იქცას. დიდი ბრიტანეთი. აშშ. ნატო. თურქეთი და რუსეთი ლამობენ კავკასიაში გავლენის მოპოვებას თუ შენარჩუნებას. ამის ილუსტრაციად თუნდ ნავთობსადენის გარშემო ამტყდარი დავები კმარა.

ადამიანებისთვის ეკონომიკური მდგომარეობა კატასტროფულია. 90-იანი წლების დამლევს აქ 5 მილიონი სული ცხოვრობდა. ახლა 3 თუ იქნება. ოჯახთა დიდი ნაწილი მხოლოდ იმით სულდგმულობს. რომ მისი წევრი უცხოეთშია და იქიდან ფულს გზავნის. დღევანდელმა მმართველმა შევარდნაძემ. რომელმაც სამოქალაქო ომის შედეგად მოპოვებული ძალაუფლება 1999 წლის არჩევნების გაყალბებით განიმტკიცა. ქვეყანა ნაინდუსტრიალ ქვეყანად აქცია. დამოუკიდებლობამდე საქარ-



თველოს. გარდა სოფლის მეურნეობისა. ჰქონდა მანქანათმშენებლობა. ელექტრონიკა. მეტალურგია. კვებისა და სამშენებლო მრეწველობა. ერთი-ორი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გარდა დღეს ეს ყველაფერი განადგურებულია. მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ მკაცრად კონტროლირებული ბიუჯეტი 500 მილიონ დოლარამდე თუ აღწევს - დაახლოებით იმდენს. რამდენსაც ფრანკფურტის აეროპორტი თავის მუშა-მოსამსახურეთა სოციალური საჭიროებებისათვის ხარჯავს. აქ. რა თქმა უნდა. ღარიბთა და ავადმყოფთა შემწეობისთვის აღარაფერი რჩება.

ჯანდაცვაში და პენსიების ზდაში საკუთარი ჯიბით მონაწილეობა. რაც ახლა გერმანიაში იგეგმება. საქართველოში დიდი ხანია განხორციელდა. მხოლოდ იმას მკურნალობენ. ვინც ფული გაიღო. პენსიონერი თვეში დაახლოებით 15 მარკით ცხოვრობს. ეს დღეში ორი ნატეხი პურის ფასია. დენი და გაზიც პრივატიზირებულია. დენის მეურნეობა „ამერიკენ ენერჯი სისტემს“ (აეშ) მიჰყიდეს. რომელმაც უკვე შუა აზიაშიც და სომხეთშიც ზოგი რამ იყიდა. ფირმის შეფი პრინც ფილიპის WWF-ის წარმომადგენელია. ფული რომ მოაქვს. შედეგად საქართველოში წარმოებული დენი აქაურ ოჯახებს ეთიშება და თურქეთში იყიდება. დენის გამოთიშვები ქართველისთვის ნორმალური მოვლენაა. ქსელის თვალყურზე არაფერი ისარჯება. ჩაბნელებულ თბილისში ვერაფერს გაარკვევ. სანამ მშვენიერ მთავარ ქუჩაზე არ გახვალ. რომელიც განათებულია.

ვინაიდან საქართველო გეოპოლიტიკურ ინტერესთა სათამაშო ბურთი გამხდარა. მოსახლეობის ყველა ჯგუფს ჩააგონეს. დამოუკიდებლობისთვის იბრძოლეთო. შედეგად ქვეყანა რამდენიმე ნაწილადაა დაგლეჯილი. დღეს აფხაზეთიდან 300 ათასი და „ოსეთიდან“ 80 ათასი თბილისში ცხოვრობს. სამუშაო და შემოსავალი მათაც არა აქვთ. შინ დაბრუნებას კი საქართველოზე ზემოქმედი ძალები უფერხებენ. გაჭირვების მიუხედავად. ადამიანთა მისწრაფება. რომ ცივილიზაციას კარგი რამ შეჰმატონ. არ გამქრალა. მუშაობენ „აბრეშუმის გზის“ პროექტზეც.

ოპოზიციას შემუშავებული აქვს მკაფიო კონცეფცია იმისა. თუ როგორი იქნება საქართველოსმომავალი მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის კონტექსტში. იციან. რომ 1991 წელს შედგა არჩევანი შავ ჭირსა და ქოლერას შორის - კომპრადორების ხელში მყოფ რუსეთსა და ინგლისურ-ამერიკულ იმპერიას შორის. საქართველოს მდგომარეობა ადამიანთა სასიკეთოდ შეიცვლება მხოლოდ მსოფლიო ამინდთან ერთად. ამ უკანასკნელის იმ მიმართულებით. რომელზედაც ლაპარაკობს ამერიკელი მოღვაწე ლარუში. ამ მიმართულებით გულმოდგინე მუშაობა წარმოებს. ქართველების გამტანი იმედიანობა მათი მრავალათასწლოვანი ისტორიიდან მოდის. მათ იციან. რომ მადლენ ოლბრაიტი წარმავალია. მათი კულტურა კი წარუვალია.

*კარლ-მიხელ ფიტი*

# რაც პრეზიდენტია, ის მისი წარმომადგენელია

მე–4 გვერდიდან.

და ქალი და ვაჟი (ყველაზე უფროსი – 28 წლისა) მსუბუქ მანქანაში ამ რამდენიმე თვის წინ ფორმიანმა ოსურმა „ომონმა" დაცხრილა. და ამიტომ ჰგონია. რომ ჩიბიროვს ქართველების სისხლი არ სცხია. ამ მკვლელობის ორგანიზატორი ცხინვალის შინაგან საქმეთა „მინისტრი" იყო. მაგრამ გორის პროკურატურას არც დამნაშავეთა დაჭერა. არც მათ მიმართ საქმის აღძვრა ძალუძს.

თუმცა გორბაჩოვმა ბათილად აღიარა საქართველოს უზენაესი საბჭოს ზემოხსენებული 1990 წლის 11.XII კანონი. საქართველოს უზნაესმა საბჭომ იგი კვლავ დაადასტურა. გარდა ამისა. 1991 წლის 9.IV – 1991 წლის 11.XII-დან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მას შემდეგ სსრკ-ს ან რუსეთის არცერთ ლიდერს ან ორგანოს არ უცდია ამ ფაქტის კითხვის ქვეშ დაყენება.

ანბანური ჭეშმარიტებების არმცოდნე მოწაფეს ორიანს უწერენ. მაგრამ „პრეზიდენტის წარმომადგენელს" ამ არასაპატიო ნიშნის დამწერი. როგორც ჩანს. არ ჰყავს.

„პრეზიდენტის წარმომადგენელმა" არ იცის არა მხოლოდ გუშინდელი და დღევანდელი უსემი ფაქტები. არამედ იმ საქმის პრინციპებიც კი. რომელსაც დიპლომატია და პოლიტიკური მოლაპარაკება ჰქვია. მას. როგორც ჩანს. მოლაპარაკება ის ჰგონია. რომ ერთი მხარე (ეს. სასელდობრ. მოწინააღმდეგე მხარეა) სისტად იდგეს თავის პოზიციაზე. მეორე კი ცდილობდეს „იგი დააინტერესოს და მისი პოზიცია ჩვენსას დაამთხვიოს". რაც – თუ გავითვალისწინებთ. რომ მოწინააღმდეგეს. მაჭავარიანის აზრით. ომი მოგებული აქვს და ძალა მხოლოდ მის ხელშია (მით უმეტეს. რომ ერთადერთი დიდი სახელმწიფო. რომელსაც საქართველო და ამიერკავკასია აინტერესებს. მაჭავარიანის მოკლე ხედვით. დღეს რუსეთია) – იმას ნიშნავს. რომ მოლაპარაკების აქეთა მხარემ ან ზვეწნით უნდა გამოსტყუოს რაღაც საჩუქარი გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს. ან ამ უკანასკნელს მისივე ინტერესები აუხსნას უკეთ ვიდრე მან თვითონ იცის. ანუ. მარტივად რომ ვთქვათ. იგი ჭკუით მოატყუოს. ასეთი მარტივი ვირეშმაკული დიპლომატია ქვეყნად არც არსებულა ოდესმე და არც არსებობს. ნებისმიერი მხარის მეთოდიც და ამოცანაც მოლაპარაკების პროცესში ის არის. რომ გაითვალისწინოს არა მხოლოდ ის. რაც მას მოწინააღმდეგისგან უნდა. არამედ ისაც. თუ რა უნდა მოწინააღმდეგეს მისგან და. ამგვარად. რითაა ეს უკანასკნელი (თუნდ ძალიან მცირედ) მასზე დამოკიდებული. მაგალითად. ასე: „გინდა. რომ შენზე სანქცია გავცე. როგორც მკვლელობის ორგანიზატორზე? არ გინდა. გინდა. ცალმხრივად განვსაზღვრო ტერიტორიული მოწყობის საკითხი და ამით პირი მოვუკუმო ამ თემაზე ყველას. ვისაც ჩემთან ურთიერთობა უნდა (პრაქტიკულად–მსოფლიოს)? არ გინდა. გინდა. რომ შენ „ბოევიკებზე" ტყეში არ ვინადირო და სასამართლოში არ წავიყვანო? გინდა. მაშ კეთილინებე და შენც გაითვალისწინე ის. რაც მე მინდა. ერთმანეთის ძალაც ვიცით და ერთმანეთის სისუსტეც. ამიტომ მოდი. რეალისტურად მოვრიგდეთ მანამდე. სანამ შენი ზურგი. რუსეთი. აქაურობიდან სამუდამოდ აიბარგებოდეს. თორემ მერე. იცოდე. საუბრის კილო ცოტა სხვა გვექნება". გარდა ამისა: იცოდე. რომ თეორიულად. ისტორიულად. იურიდიულად შენი პოზიცია ნოლია. ამის დამტკიცება ნებისმიერ ინსტანციაში შემიძლია და დაგიმტკიცებ კიდეც. მოლაპარაკების – და არა თითის აწევისა და ინსტრუქციის მოსმენის – ენა (ოღონდ. რა თქმა უნდა. დახვეწილი გამოთქმებითა და თავაზით გამართული) ეს გახლავთ ან ამავე პრინციპის რეალიზაციის რომელიმე სხვა. მეტნაკლებად რბილი თუ სისტი ვარიანტი. ამის ცოდნა მომლაპარაკებლისთვის ფუფუნება კი არაა. არმედ ელემენტარული მოვალეობაა. მის გარეშე ადამიანს არა აქვს უფლება. მოლაპრაკების წარმოება იკისროს.

მაკიაველი ადამიანებს ჭკუის მიხედვით სამ კლასად ყოფს და ამათში პოლიტიკისათვის ვარგისად მხოლოდ პირველ ორს თვლის. პირველს ისინი შეადგენენ. ვინც ყველაფერს – ყოველ შემთხვევაში. მთავარს – თვითონ ხვდებიან. ესენი ძლიერი გონების ადამიანები არიან. მეორეს ისინი შეადგენენ. ვინც საკუთარი ჭკუით ყველაფერს ვერ ხვდებიან. მაგრამ სხვა თუ მიხვდა და უთხრა. ან მიანიშნა მაინც. მის ნათქვამს იგებენ. სახელმწიფო კაცისთვის საკმარისია. ამ მეორე კლასს მაინც ეკუთვნოდეს. ოღონდ იმ პირობით. რომ პირველ მინისტრად პირველი კლასის კაცი ჰყავდეს. მესამენი ისინი არიან. ვინც ვერც თვითონ ხვდება მთავარს და ვერც სხვისგან ასხნის შემდეგ იგებს მას. ამ მესამე კლასის წარმომადგენლები. მაკიაველის აზრით. პოლიტიკაში ვერ ივარგებენ. საქართველოს პრეზიდენტის „წარმომადგენელს" კონფლიქტთა მოგვარების საკითხებში ბუნებამ. როგორც ვხედავთ. არც პირველ კლასში ყოფნა აღირსა და არც მეორეში (რადგან იმის მიხვედრას. თუ რას ნიშნავს მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკება. არც ოქსფორდების და კემბრიჯების დამთავრება სჭირდება არც კემბრიჯის ან სორბინის დიპლომი ჰყოფნის მას არც პროტოკოლის დაზეპირება იძლევა. ეს ბუნებით მოცემული (ამ შემთხვევაში – მოსაცემი. მაგრამ ვერმოცემული) უნარი გახლავთ და ვაი იმ მარწმუნებელს. რომელიც სახელმწიფო საქმეში ამ უნარით აღუჭურველ ვექილს დაიყენებს.

არსებობს ერთი არაფოტოგენიური თვისება ადამიანისა. რომელსაც ყოფაცხოვრებაში „გულუბრყვილობა" ჰქვია. მისი მაგალითია თუნდაც ასეთი მსჯელობა:

„მაშინ (1994 წელს. ნ.ნ.) სახელმწიფო აპარატის უფროსის მოადგილე ვიყავი. ჩამოსული იყო უცხოელი სტუმარი. რომელსაც ცხინვალის რეგიონი აინტერესებდა. და აპარატის უფროსმა დამავალა მისი იქ ჩაყვანა.. სტუმარი საკმაოდ მაღალი დონის იყო. შევხვდით ოსურ მხარეს. ვისაუბრეთ. გაიშალა სუფრა. დავინახე. რომ ოსური მხარის ხელმძღვანელობის განწყობა სრულებით განსხვავებული და ნაკლებ კონფრონტაციული იყო. ვიდრე აფხაზებისა. ძაშის ლუდვიგ ჩიბიროვმა მთხოვა. სახელმწიფოს მეთაურისთვის მისი პოზიცია გადამეცა". რომელიც. თურმე. მოიცავდა ასეთ პოზიციასაც: „ჩიბიროვი უკმაყოფილო იყო იმით. რომ უარი ვთქვით ტერმინზე „სამხრეთ ოსეთი" (ამ ტერმინზე უარი თქვა გამსახურდიას ხელისუფლებამ. მაგრამ არა შევარდნაძისამ. ნ. ნ.). „რაც შეეხება სტატუსს. თუკი გამსახურდიას პოლიტიკას გმობთ. კარგი იქნება. თუ გადასინჯავთ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებო".

დიპლომატი მაჭავარიანი ვერ ხვდება. რომ ოსური მხარის მიერ „სუფრის გაშლა" მნიშვნელოვანი უცხოელი სტუმრისთვის და მასზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის დასწრება. ჯერ ერთი. იმას ნიშნავს. რომ მას ამ ხელისუფლების მიერ ეპატია ის დანაშაული კანონისა და კონსტიტუციის წინაშე. რომლის წყალობითაც იგი დღეს მხარის სტატუსით სარგებლობს. მეორეც. ამით იმ „მნიშვნელოვანი უცხოელის" წინაშე იმის დემონსტრირება მოხდა. რომ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა – ოსი სეპარატისტების შეიარაღებული დგომა საქართველოს მიწაზე და მათი დგომის ტერიტორიაზე ქართული იურისდიქციის ვერგავრცელება – ისეთი ვითარებაა. რომელიც არ უშლის ხელს ოფიციალურ პირთა არაფორმალურ ურთიერთობას და ჭიქების შესლას. ანუ მისაღებია ორივე მხარისათვის. ამ შეხვედრით ჩიბიროვმა. რომელსაც. მაჭავარიანის თქმით. „სისხლი არ დაუღვრია". მაგრამ იმ სისხლის დაღვრით მოპოვებულ ტახტზე ზის. პირწმინდად მოიგო იმ დღის ინფორმაციული მატჩი პრეზიდენტის პირად მოხელესთან. აქ აღარ ვლაპარაკობ ამ ეპიზოდის მორალურ. მაგრამ არა მხოლოდ მორალურ მხარეზე. როცა სახელმწიფოს წარმომადგენელი მოჯანყესთან უჩივის ამავე სახელმწიფოს ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკას (იგულისხმება. ცხადია. პოლიტიკა ცხინვალის ვითარებასთან მიმართებაში) ანუ ამთავითვე თამასუქს აძლევს. უცხო არბიტრის თვალწინ. „ჩვენ ვართ

დასასრული მე–7 გვ.

# რუსეთი „ეკონომისტის" თვალით

ჩვენ არაერთხელ მივაწოდეთ მკითხველს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სანდო ჟურნალის „The Economist" აზრი პოლიტიკისა და ეკონომიკის საკვანძო საკითხებზე. დღეს ვთავაზობთ მკითხველს ამ უაღრესად ზომიერი და თავდაჭერილი ორგანოს შემაჯამებელი წერილის შინაარსის გადმოცემას. რომელიც დღევანდელი რუსეთის მდგომარეობის და პოლიტიკის ანალიზს შეიცავს.

ეს სპეცწერილი სათაურით „დემოკრატია რუსეთში"(25/XI-1/XII 2000წ.) იწყება ალტერნატიული კითხვის დასმით: გახარებულნი უნდა ვიყოთ იმ პროგრესის გამო. რასაც რუსეთში დემოკრატიამ მიაღწია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. თუ. პირიქით. დეპრესიაში უნდა ჩაგვაგდოს მის მონაპოვართა სიმცირემ? პასუხი. ჟურნალის აზრით. დამოკიდებულია იმაზე. თუ საკითხს რა კუთხით შევხედავთ. საბჭოთა დროსთან შედარებით რუსეთი. რა თქმა უნდა. უფრო თავისუფალია. დასავლური სტანდარტებით თუ მივუდგებით. მან დიდს ვერაფერს მიაღწია და მდგომარეობა გაუარესებისკენ უფრო მიდის. ვიდრე უკეთესობისკენ.

დავიწყოთ ქებით: „70 წლის ერთპარტიული მმართველობის. იზოლაციის. რეპრესიებისა და მასობრივი მკვლელობის შემოტევათა შემდეგ დღეს რუსეთს მართავენ არა კომუნისტური იდეოლოგები. არამედ ისეთი ადამიანები. ვინც დემოკრატიას აღიარებენ... ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია აირჩიოს სამუშაოსა და საცხოვრებლის ადგილი. იაროს საზღვარგარეთ. შეხვდეს უცხოელებს. ეცადოს გამდიდრებას ისე. რომ არ დასჯიან. თავისუფლად შეასრულოს კულტი. შექმნას პოლიტიკური პარტიები და მარტომ ან სხვებთან ერთად დაიჩივლოს იმ მწვავე პრობლემების გამო. რაც ქვეყანაში აუარებელია. ზოგს ისიც კი შეუძლია. რომ შვილებს კერძო სკოლაში ასწავლოს.

მაგრამ ყოველივე ამის შედარება საბჭოთა ეპოქასთან ვერ იძლევა მთავარი კითხვის პასუხს: საით მიდის რუსული დემოკრატია ახლა? მისი დღევანდელი დაავადებანი – დარტყმის ქვეშ დაყენებული მასმედია. წინასწარგანსაზღვრული არჩევნები. ზემძლავრი უშიშროების სამსახური. ქსენოფობია (უცხოელთა სიძულვილი). ოპოზიციის დევნა და რასიზმი (სხვაზეც რომ არაფერი ვთქვათ) – მხოლოდ დროებითი გადასრებია თუ რაღაცა აალისა და საზიზღრისაკენ დაცურების ნიშანია?"

როგორია. მაგალითად. რუსეთის არჩევნები? თავისუფალია და მრავალპარტიულია. ასე რომ ძნელია იმის უარყოფა. რომ ამ ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული პუტინი ის კაცია. ვინც რუსების უმრავლესობას უნდა. იგი მემკვიდრედ დაასახელა მისმა წინამორბედმა. მაგრამ ასევე დასახელდნენ ჯონ მეიჯორიც და ალ გორიც. უფრო შემაშფოთებელი ისაა. რომ ყველაზე მძლავრი ინფორმაციის საშუალებები – სახელმწიფოს კონტროლში მყოფი ტელესადგურები – მიკერძოებულნი იყვნენ მის სასარგებლოდ. ასევე ამ ბოლო ადგილობრივ არჩევნებში კრემლმა გამოიყენა სასამართლოები. საგადასახადო პოლიცია და მუქარა თავისი ოპონენტების წინააღმდეგ. რომლებიც. ალბათ. იმავე მეთოდებს მიმართავდნენ. საშუალება რომ ჰქონდეთ.

პუტინს ჩეჩნეთის ომმაც უშველა. ზოგ რუს ჟურნალისტსა და პოლიტიკოსს ეჭვი აქვს. რომ ხელისუფალთ ხელი ურევიათ იმ იდუმალ აფეთქებებში. რაც 1999 წელს შემოდგომაზე მოხდა და რაც ჩეჩნეთის ომის თვალსაჩინო გამართლებად გამოდგა. ამ კითხვის არც დადებითი. არც უარყოფითი პასუხისთვის მყარი მტკიცებულება არ არსებობს. ბატონი პუტინი თვით ამ ეჭვსაც კი „ამორალურს" უწოდებს." მაგრამ მედიას მიერ ამ ომის გაზვიადებულმა სატვამ როგორც სამართლიანი თავდაცვისა და ბრძოლისა საერთაშორისო ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ. უდავოდ ხელი შეუწყო პოპულარობის სწრაფ მოპოვებაში პუტინს. რომელიც იმ დროს ერთი უცნობი ახალდანიშნული პრემიერ-მინისტრი იყო და სხვა არაფერი.

მოსკოვურმა „მოსკაუ ტაიმსმა" ამას წინათ დაბეჭდა გრძელი გამოკვლევა მარტის საპრეზიდენტო არჩევნებზე მომხდარი თაღლითობების შესახებ. არ არის საეჭველი. რომ პუტინი თავის სხვა უპირატესობებით უამისოდაც დაამარცხებდა თავის უღიმღამო კომუნისტ მეტოქეს საბოლოო ჯამში. მაგრამ პირველსავე რაუნდში გამარჯვება მას არარსებულმა ამომრჩევლებმა. გაყალბებამ და სხვა ცუღლუტობებმა მოუტანა. გაზეთის ცნობით. ამომრჩეველთა სიებში სულ რაღაც 3 თვის მანძილზე საიდანღაც გაჩნდა 1.3 მილიონი უცნობი ამომრჩეველი. და ძნელი დასაჯერებელია. რომ ჩეჩნეთმა ასე აქტიურად დაუჭირა მხარი ბატონ პუტინს.

„მოსკაუ ტაიმსს" არ უპასუხეს. არც სხვა რომელიმე ახალი ამბების



აშშ-ს და რუსეთის კოსმონავტები ერთმანეთს ხელს ართმევენ, მაგრამ...

ორგანიზაციამ გააგრძელა ეს თემა. მცირერიცხოვანმა მკითხველმა. ვინც ეს გაიგო. ირონიულად აიჩეჩა მხრები. არც ერთმა ოფიციალურმა პირმა თავი არ შეიწუხა ამ ცნობის დეტალთა უარსაყოფად. შეადარეთ ეს ფლორიდაში მომხდარ ამბავს (ლაპარაკია ბუშის და გორის საარჩევნო ბრძოლაზე. რედ.) და დაინახავთ. რომ დემოკრატიის საგანია არა მხოლოდ საარჩევნო ბრძოლა. არამედ ის. თუ როგორ ხდება გაფუჭებული საქმის გასწორება. ჯანსაღ სისტემაში პოლიტიკოსები. სასამართლოები. ჟურნალისტები. დამოუკიდებელი მოხელეები და პროფკავშირები ძლიერნი არიან და ურთიერთ გადაჯაჭვულნი: გაზეთის მიერ ატეხილი სკანდალი პარლამენტამდე მივა და დაარწმუნებს პროკურატურას. რომ იმოქმედოს. იგი საზოგადოებრივ აზრს აიძულებს. კითხვები დასვას. და საბოლოოდ გამოიწვევს ან დამრღვევის გადადგომას. ან ახალი კანონის შემოღებას.

რუსეთში ყველა ეს ინსტიტუტები სუსტია. ისინი ისეთი მოდარაჯე ძაღლებია. რომელთაც უკეთეს შემთხვევაში ყეფა შეუძლიათ. მაგრამ არა კბენა. შედეგი ისაა. რომ ადამიანის უფლებათა დარღვევა ადვილია. რუსეთი ხელს აწერს ყველა ინტერნაციონალურ ნორმებს. მაგრამ პრაქტიკაში საქმე სხვაგვარადაა.

ჩასწობილი პრესა რუსეთში ყოველმხრივ თავისუფალი ჩანს. ძნელი არაა უებსაიტის გახსნა ან პატარა გაზეთის დაარსება. რაც წარმოუდგენელი იყო 10 წლის წინ. მაგრამ რაც უფრო გააკრიტიკებთ ხელისუფლებას. მით უფრო გაგიჭირდებათ ცხოვრება. პროვინციაში დაეხმარებიან თქვენ კონკურენტებს: ან პირდაპირ. ან იაფი ქაღალდის და ოფისის მიცემით. შეიძლება მოხელეები აღარ დაელაპარაკონ თქვენს ჟურნალისტებს. თქვენ მოგიწევთ მუდმივი შემაწუხებელი სტუმრობა საგადასახადო. ჰიგიენის. სახანძრო და შრომის ინსპექტორთა მხრიდან. შეიძლება საქმე აღგიძრან დეფამაციის (ცილისწამების) გამო და გამართლების მცირე შანსი გექნებათ. შეიძლება ძალიან გაგიჭირდეთ თქვენი გაზეთის რეკლამირება და გავრცელება. ეროვნულ დონეზე კრემლი მეტნაკლებად ითმენს დამოუკიდებელ ჟურნალ-გაზეთებს (რომლებიც. როგორც წესი. იყიდება არა უმეტეს რამდენიმე ათეულ ათასისა 140 მილიონიან ქვეყანაში). მაგრამ მას არ უყვარს ეროვნული მასშტაბის ტელეარხები. რომელთაც ვერ აკონტროლებს. (ჟურნალი იმოწმებს „ორი ტუზის" – ბერეზოვსკისა და გუსინსკის მაგალითს). ხოლო სხვა „ტუზები". რომელთაც ასეთივე „საეჭვო ბიოგრაფიები" აქვთ. მაგრამ კრემლთან კარგ ურთიერთობაში არიან. ხელშეუშლელად აკეთებენ თავის საქმეს).

„ძალიან მნიშვნელოვანია. რომ არ გავაზვიადოთ ყოველივე ამის უშუალო ეფექტი. გუსინსკის ტელესადგური ისევ მუშაობს და ისევ კონკურენტებისაზე უკეთესად. ყოფილი სსრკ-ს დანარჩენ ნაწილში საქმე ბევრად უარესადაა. რუს ხელისუფალთა მტრული დამოკიდებულება თავისუფალი და ქმედითი პრესის იდეისადმი ჩრდილიღაა იმ დევნისა. რაც „სამიზდატის" გამომცემლებს ხვდებოდათ სსრკ-ს დროს. რუსული მედიას მესაკუთრეებს ვერ შეადარებთ წარსულის იმ გმირ დისიდენტებს. რომლებიც თავის გამოსვლებს ტელეარხებში იყენებდნენ ულმობელი პოლიტიკური ბრძოლისთვის. რუსული ჟურნალიზმი ხშირად ისეთი სენსაციონალისტურია. რომ ვერ გაამართლებთ. და კორუმპირებული".

მაგრამ რაც უფრო ძალას იკრებს პუტინი,. მით უფრო იზრდება მედიაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების ალბათობა. სახელმწიფო ეთამაშება კანონპროექტს. რომელიც შეზღუდავს რუსეთში უცხოელთა საკუთრებაში მყოფი მედიას მოქმედებას: რუსულენოვანი როიტერისას. ახალი ამბების სააგენტოსას. ან რადიო „თავისუფლებისას". რომელსაც აშშ მთავრობა აფინანსებს. ჯანსაღ დემოკრატიებში ბევრი ჟურნალისტი კარიერას იმით იკეთებს. რომ ხელისუფლებას საქმეს უჭირებს. რუსეთში. პირიქით. ამ გზით შეიძლება დასაქმების გზა გადაიკეტოთ. გუსინსკის არაერთმა ჟურნალისტმა სასწრაფოდ მოძებნა სხვა სამუშაო. როცა გუსინსკის პრობლემები შეექმნა.

ყოველივე ამაში ხელისუფლებას რამდენიმე მოტივი ამოქმედებს: თან მიაჩნიათ. რომ ეს დროებით საჭიროა. თან შეპყრობილნი არიან ეროვნული უშიშროების იდეით. კრიტიკოსს ხშირად ხატავენ საბოტაჟის ჩამდენად. უცხოელი მეგობრების მყოლ კაცს – ჯაშუშად. ელცინი ახშობდა ქსენოფობურ რეფლექსებს. პუტინის ხელში მათი აღდგენა დაიწყო.

„ფე-ეს-ბეს" შეფი რომ იყო. პუტინმა ჩლუნგი სიჯიუტით გაყარა გარემოს დამცველი ჯგუფები. რომლებიც უცხოეთის მიერ სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების ფრონტებად იქნა აღიარებული. იგი საჯაროდ სინანულს გამოთქვამდა. რომ უცხოელებთან „ნებადაურთველი" კონტაქტები არსებობს. უცხოელი მკლევრისთვის სარისკო გახდა რუსეთში ისეთი სფეროს შესება. რომელიც „ჯაშუშებზე მონადირეებს" შეიძლება საიდუმლოს შემცველად მიიჩნიოს. ამის მაგალითები ამ ბოლო ხანებში გვაქვს სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობათა. იარაღის ექსპორტისა და შეიარაღებული ძალების მიერ გარემოს დაბინძურების სფეროში. (ჟურნალს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი და აღნიშნავს. რომ ამ მოვლენის მასშტაბი ჯერჯერობით დიდი არ არის).

მეორეხარისხოვანი ქსენოფობიის ამ ახალ სიოს გვერდით რასიზმიც ახლავს. თუმცა პუტინმა ისაუზმა საბჭოთა დროინდელი:

ებრაელი „ოტკაზნიკების" ხელმძღვანელ შარანსკისთან. ანტისემიტიზმს რუსეთში ძალიან ლმობიერი საყვედური ჰხვდება ხოლმე. სექტემბერში დაარბიეს ებრაული სკოლა რიაზანში. მაგრამ პოლიციამ თითქ-

დასასრული მე–13 გვ.

# არა გული გითქმოდეს

## ანუ „ნომენკლატურული პრივატიზაცია“

დღეს უკვე ყველამ იცის, რომ საქართველოში სახელმწიფოს მშენებლობის ეკონომიკურ საფუძველთა ჩაყრის საქმე ხელოვნურად ჩაშლილია. არსებული ეკონომიკური მაჩვენებლები, კატასტროფულად მზარდი საგარეო ვალები და ცარიელი ხაზინა ეჭვს ბადებს, რომ მსოფლიოს მიერ აღიარებულმა მოდელმა - მოქალაქეთა სოციალურ დაცვაზე ორიენტირებულმა საბაზრო ეკონომიკამ - დღევანდელი „კაპიტალიზმის მშენებლის“ხელში შეიძლება კომუნიზმის ბედი გაიზიაროს და საპნის ბუშტივით გასკდეს. მოსახლეობა შეგუებულია იმას, რომ რეფორმებისა და სხვადასხვა ექსპერიმენტების ინიციატორების დაპირებებს იძლევიან, მაგრამ შედეგებზე პასუხისმგებლობას არ იღებენ. სხვისი მოწყალების შემყურე ვალაუვალი სახელმწიფო წელში ვერ იმართება. პირიქით: იგი უფრო და უფრო ღატაკდება და გაჭირვების ტვირთი დაუცველ მოქალაქეზე გადადის.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოცენტის ბატონი ავთ. კაზნიაშვილის მიერ „საქართველოს“ რედაქციას მოწოდებული აქვს დეტალურად გაანალიზებული მასალა იმ ისევ და ისევ კატასტროფული შედეგების შესახებ, რაც ჩვენი ქვეყნის ძირისა და სიმდიდრის - მიწის - განიავების პოლიტიკას მოსდევს. მის გამოქვეყნებამდე მკითხველს წინასწარ მივაწოდებთ პრივატიზაციის სხვა დარგების - საცხოვრებელი ბინებისა და საწარმოების გაკერძოების მოკლე ანალიზს, რათა საერთო სურათი ნათელი იყოს, ხოლო ამ პოლიტიკაში ჩადებული საბოლოო განზრახვა - უფრო გასაგები.

მიმაჩნია, რომ საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ბედის გადაწყვეტა ხელისუფლების მხრიდან უმრავლეს შემთხვევებში ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მხარეების გაუთვალისწინებლად, ხშირად საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირებით და არც თუ იშვიათად - სერიოზული განსჯის გარეშე, ნაჩქარევად ხდებოდა, რამაც დღემდე განხორციელებულ ღონისძიებებს „კამპანიური“ სახე შესძინა და პრივატიზების პროცესის მანკიერი ფორმებით ჩატარებას შეუწყო ხელი.

მაგ. რესპუბლიკაში საცხოვრებელი სახლების (ბინების) მასობრივი პრივატიზაციის დაწყებამდე (უსასყიდლოდ გადაცემამდე) უნდა შესწავლილიყო მოსახლეობის საბინაო პირობები და დაზუსტებულიყო აღრიცხვაზე მყოფთა სიები. უნდა მომხდარიყო საბინაო ფონდის (არა მარტო სახელმწიფოს) ინვენტარიზაცია და აღრიცხვა. საცხოვრებლების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა ცალკეული ტიპების მიხედვით. შემუშავებული უნდა ყოფილიყო საკუთრებაში გადაცემის და შემდგომში მათი გასხვისების ზუსტი მექანიზმი (დადგენილიყო უსასყიდლოდ და სასყიდლით გადასაცემი ნორმები, კოეფიციენტები ბინების ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟები). ყველა შემთხვევაში უნდა შემუშავებულიყო მკაფიო სახელმწიფო კონცეფცია - შესაბამისი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა როგორც სახელმწიფოს, ასევე მოსახლეობის ინტერესები. მაქსიმალურად იქნებოდა დაცული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. შეძლებისდაგვარად იქნებოდა გათვალისწინებული სავარაუდო უარყოფითი შედეგები და გამოსწორდებოდა კომუნისტური მმართველობის წლებში ამ სფეროში დაშვებული დარღვევები.

მართალია, პრივატიზაცია დროში გაიწელებოდა, მაგრამ მის ეტაპობრივად ჩატარებაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. მითუმეტეს, თუ საკუთრების უფლებას თავიდანვე ვაღიარებდით და გასაყიდად გამიზნულ ბინებს რიგგარეშე გავუკეთებდით პრივატიზაციას, ხოლო პრივატიზაციის მსვლელობაში გარდაცვლილ მოქალაქეთა ბინებს მათ კანონიერ მემკვიდრეებს დავუმტკიცებდით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გაუთვალისწინებლად პრივატიზაციამ ამ სფეროში ფაქტიურად წმინდა იდეოლოგიური ღონისძიების ხასიათი შეიძინა. საერთო სახალხო საკუთრების საბინაო ფონდის უსასყიდლო გადაცემამ ერთიანად მოშალა სახელმწიფო საბინაო პოლიტიკა და ათეული წლების განმავლობაში ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფი ათეულობით ათასი ოჯახი საერთო საკუთრებიდან თავისი კუთვნილი წილისა და ყოველგვარი სამომავლო პერსპექტივის გარეშე დატოვა.

ამ, ჩემი აზრით, დაგვიანებით დაწყებული და გაუმართლებლად ნაჩქარევად ჩატარებული პოპულისტური კამპანიის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უსასყიდლოდ ერგოთ ძირითადად გარეუბნების ე.წ. „ტიპიური“ პროექტებით აშენებული სახლების იაფფასიანი ბინები, რომლებიც მათში მცხოვრები ოჯახების წევრებსა და მათ წინაპრებს სახელმწიფოზე თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში პრაქტიკულად უფასოდ მუშაობის შედეგად, ფაქტობრივად ჯანმრთელობის ფასად ჰქონდათ სახელმწიფოსაგან გამოსყიდული. მოქალაქეთა არც თუ მცირე ნაწილს წილად ხვდა ამორტიზირებული ან ავარიული სახლების ბინები, რომელთა შენახვისა და რემონტის სახსრები, ბუნებრივია, მათში მცხოვრებ ოჯახებს არც ადრე გააჩნდათ. თუ ძველი უბნების ან ახალი უბნების დაზიანებული კორპუსების მცხოვრებლების ძირითად კონტიგენტს თვალს გადავავლებთ, ცხადი შეიქმნება, რომ საკუთარი ძალებით ისინი ვერც უახლოეს მომავალში შეძლებენ აუცილებელი სამუშაოების შესრულებას (მაგ. საძირკვლის ან მზიდი კონსტრუქციების გამაგრებას, სახურავის შეცვლას და სხვა).

რამდენადაც ქვემოთ მიწის საკითხს გვინდა შევეხოთ, ამჯერად მკითხველის ყურადღება პრივატიზირებული ბინების ახალი მესაკუთრეების იმ უმცირესობაზე მინდა გავამახვილო, რომელთაც ე.წ. „არატიპიური“, ხშირ შემთხვევებში რიგგარეშე, ადრე მოქმედი წესებისა და ნორმების დარღვევებით მიღებული, „პრესტიჟული“ უბნების საკმაოდ ძვირადღირებული საცხოვრებლები ერგოთ - ზოგიერთ მათგანს, შესაძლებელია, არა ერთი და ორიც.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „დემოკრატიისა“ და „ხალხზე ზრუნვის“ შედარებით ძველი და „ადამიანის უფლებებისა“ და „საკუთრების დაცვის“ ახალი ლოზუნგების ფრიალით წარმართულ კამპანიაში ხელისუფლების წარმომადგენლები, ალბათ, ძირითადად თავიანთ უფლებებსა და დიდი ხანია საკუთრებად მიჩნეულ სახელმწიფო ბინებს გულისხმობდნენ, რადგან „სიჩქარეში“ მხედველობიდან გამორჩათ, რომ მესაკუთრეები 1917 წლის ოქტომბრის აჯანყებამდეც და მის შემდგომაც არსებობდნენ. ამგვარი „პრივატიზაციის“ შედეგად კი ლენინურ-სტალინური რეჟიმების მიერ რეპრესირებულ პირთა-ადრინდელ მესაკუთრეთა და მათ კანონიერ მემკვიდრეთა - საცხოვრებელი ბინები (რიგ შემთხვევებში მცხოვრებთა გამოძევების შემდეგ ბინებში დარჩენილი ავეჯითურთ) დაუკანონდათ იმ „პარტაქტივისტებსა“ და ჩეკისტებს, რომლებიც თავადვე თხზავდნენ ფანტასტიკურ ბრალდებებს და ინტელიგენციას საკუთარი ბინებიდან აძევებდნენ.

ბუნებრივია, ამგვარი საყოველთაო პრივატიზაცია დედაქალაქის ძირძველი მოსახლეობის დიდ ნაწილსაც შეეხო, რომელსაც ბედმა ძველი უბნების ამორტიზებული ბინები ან კიდევ უარესი - კომუნალური საბინაო ფონდის არაიზოლირებული, საერთო სათავსოებიანი, რიგ შემთხვევებში შემინული ტიხრებით გამოყოფილი ოთახები არგუნა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ე.წ. „საცხოვრებლების“ გასხვისების უფლების რეალიზაციამ პირობაგაუარესებულ სხვა დამქირავებლებს, რომლებსაც ახალი მესაკუთრეებისაგან შესყიდვის საშუალება არ აღმოაჩნდათ, მოულოდნელად თავსდატეხილი პრობლემებიც ხელისუფლებამ სრულიად უსასყიდლოდ „დაუსაკუთრა“.

შედარებისათვის მინდა შევნიშნო, რომ რუსეთის ფედერაციის შესაბამისი კანონით კომუნალური ბინების ოთახები ამოღებული იქნა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან, ხოლო ქ. მოსკოვში ასეთი ოთახის პრივატიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ კომუნალური ბინის სხვა დამქირავებლების თანხმობით.

იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ნაწილობრივ სასყიდლიანმა გადაცემამ (დადგენილი ნორმის ფარგლებში უფასოდ, მის ზემოთ - გარკვეული საზღაურით) რუსეთში შესაძლებელი გახადა სახელმწიფო ბინათმშენებლობის გაგრძელება და აღრიცხვაზე მდგარი ოჯახების ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილება.

ის, რომ მთლიანობაში ბინათმშენებლობის საკითხის მოგვარება თუ არა, ცალკეული უბინაო ოჯახების დაკმაყოფილება საქართველოშიც იყო შესაძლებელი, ნათლად ჩანს თუნდაც პრესაში ბინების გაყიდვის თაობაზე გამოქვეყნებული განცხადებების ანალიზით. მაგ. ორ ან სამოთახიანი ბინის ფასი ქალაქის სხვადასხვა უბანში 5-10 ათასიდან 50-100 ათას დოლარამდე მერყეობს. ამდენად, თუნდაც მხოლოდ ბინების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მეშვეობით სახელმწიფოს საშუალება ექნებოდა ქალაქის „პრესტიჟულ“ უბანში პრივატიზებული ბინის გაყიდვიდან ამოღებული სახელმწიფო ბაჟის (10%) ხარჯზე აღრიცხვაზე მდგომი ერთი ოჯახის დაკმაყოფილება მაინც.

ამდენად, თუკი ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოს მმართველ აპარატს - ე.წ. „პარტოკრატიასა“ და „ნომენკლატურას“ საკუთრების გადანაწილებისას სამართლიანობის პრინციპების დარღვევებში ვადანაშაულებდით, ახალმა „დემოკრატიულმა“ ხელისუფლებამ უძრავი ქონებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - საცხოვრებელი სახლი (ბინა) - სწორედ იმ „კომუნისტური ელიტის“ მიერ განაწილებული სახით დააკანონა. ბუნებრივია, მაშინდელი „უზენაესი“ განმკარგველ-გამნაწილებელი თავის გარემოცვაზეც იფიქრებდა და სამეგობრო წრის გარდა „პრესტიჟულ“ უბნებში მეზობლებად სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობილ (ყოველ შემთხვევაში, არამტრულად განწყობილს მაინც) წარმომადგენლებსაც ჩაისახლებდა. მართალია, ბოლო ათწლეულების მსხვილი პარტიული მუშაკები და სამეურნეო ხელმძღვანელები დღე და ღამეს „ქვეყნისა და ხალხის ინტერესებში“ ასწორებდნენ, მაგრამ სახელდახელო წვეულებებზე რიგით მოქალაქეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს ნაკლებად იწვევდნენ და მათ ცქერას უფრო სამთავრობო ტრიბუნებიდან, პრეზიდიუმებიდან და „პერსონალური“ სახელმწიფო ავტომობილებიდან ამჯობინებდნენ.

საბინაო ამხანაგობებისა და კოოპერატივების დაკომპლექტებაც ძირითადად პარტიულ ცონტროლს დაქვემდებარებული აღმასრულებელი ხელისუფლების ნებით ხდებოდა. ამდენად, მხედველობიდან ვერც იმ მოქალაქეებს გამოვტოვებთ, ვინც პრესტიჟულ უბნებში ბინების აშენებას ე.წ. „მარცხენა“ შემოსავლების ნაწილის „სანებართვო“ ორგანოებში დატოვების გზით ან უკვე აშენებული კოოპერატიული თუ სახელმწიფო ბინების შეძენას უკანონო შემოსავლებითა და სხვა საშუალებებით ახერხებდა. ბუნებრივია, ამ პირთაც პრივატიზაციის გზით სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ხარჯზე შეძენილი „არატიპიური ბინების“ მესაკუთრეებთან გავათანაბრებ და მთლიანობაში, ძველ ტერმინოლოგიას თუ ვიხმარ, ყველა მათგანს მოქალაქეთა მცირერიცხოვან, მაგრამ „გაბატონებულ კლასად“ მოვიხსენიებ.

რადგან მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებზე ჩამოვაგდეთ საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ ამ ბოლო განვლილ „კაპიტალისტურ“ „ხუთწლედში“ ჯერ კიდევ კომუნისტების მიერ დასახული პროგრამის „თითოეულ საბჭოთა ოჯახს ცალკე ბინა ან სახლი 2000 წლისათვის“ ყოველგვარი კაპიტალდაბანდებების გარეშე, თანაც ვადამდე, ეროვნული მასშტაბით განხორციელების მეტად „ეფექტურ“ გზას მიაგნო: თუ საქართველოს შობადობამ ასეთი ტემპებით იკლო (ალბათ განახევრდა), სიკვდილიანობამ კი იმატა, შესაბამისად შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ქართველების ბუნებრივი მატება. თუ ამასთან ქვეყნიდან ემიგრირებულთა რიცხვსაც გავითვალისწინებთ (მილიონამდე მოქალაქე), მაშინ სამწუხარო დასკვნების გაკეთება მოგვიწევს: რომ სახელმწიფო პოლიტიკისა თუ გატარებული „რეფორმების“ შედეგად ალბათ საუკუნის ბოლომდეც თითოეულ ქართულ ოჯახზე ან მოქალაქეზეც კი შესაძლოა რამოდენიმე ბინა და სახლიც მოდიოდეს... ბუნებრივია მათში უკვე ძირითადად არაქართველები შესახლდებიან.

თითქმის იმავე პერიოდში და ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მსგავსი წესებით, ანუ ფაქტიურად „უწესოდ“, ყოველგვარი მკაფიო მექანიზმისა და კონტროლის გარეშე განხორციელდა ე.წ. „მიწის რეფორმა“ (არსებული ნაკვეთების შევსება - დადგენილ ოდენობამდე და ახალი ნაკვეთების გადაცემა სარგებლობაში), რომელშიც თავიდანვე ჩადებული ხარვეზების გამო დღემდე ბოლომდე ვერ გარკვეულა ვერც მიწის გამცემი და ვერც ამღები („საკუთრებაში“ თუ „სარგებლობაში“ გადაეცათ). ხშირ შემთხვევებში სამოსახლოებად დაიჭრა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ადრე იჯარით გაცემული (ვადა რომ არ გასულა) უხმოსავლიანი ფართობები არც თუ იშვიათად საუკეთესო ნაკვეთებს გარკვეული საზღაურის ფასად დაეპატრონნენ შედარებით შეძლებული მოქალაქეები რომელთაც არც სოფელთან და არც მიწასთან აღარაფერი აკავშირებდათ და არც მიწის დამუშავების სურვილი და უნარი გააჩნდათ, ხოლო სოფლის მკვიდრ მოსახლეობას, ნამდვილ სოფლის მეურნეებს, რომლებმაც ახალი „დემოკრატი“ გამანაწილებლების „პატივისცემა“ ვერ შეძლეს, ძირითადად მოუსავლიანი ხრიოკები ერგოთ. ადგილი ჰქონდა სახელმწიფო მიწების დატაცების ფაქტებსაც. 1992 წლის გაზაფხულზე წამოწყებული ეს კამპანია დღემდე არ დასრულებულა და მისი რეალიზაციისას წამოჭრილი პრობლემები მუდმივი დავის საგნად არის გადაქცეული, რამაც რიგ შემთხვევაში ტრაგიკული შედეგების დადგომა გამოიწვია. (ბაკურ გულუას განცხადებით, მაშინდელი „რეფორმის“ შედეგად მიწის ნაკვეთების რაოდენობა 198 ათასიდან 4 მილიონამდე გაიზარდა და 920 ათას ოჯახზე განაწილდა).

*ავთ. კაზნიაშვილი*

— უცხოური პრესიდან —

# —თურქეთი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ იყურება—

თურქეთის ახალმა პრეზიდენტმა სეზერმა რომ გასულ შემოდგომაზე ნიუ-იორკში, გაეროს შეკრებაზე ყოფნისას თავის უზბეკისტანელ კოლეგას ქარიმოვს შეხვედრა სთხოვა, მან უარი მიიღო. მაგრამ ორი საათის მანძილზე, თურქებმა რომ დაარწმუნეს, თურქეთის მიწაწყალზე უზბეკეთის დისიდენტთა ყოფნას აღარ მოვითმენთო, ამპარტავანმა უზბეკმა მმართველმა გუნება შეიცვალა და შეთანხმებაც დადო, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს ძალთა ბალანსი შუა აზიაში. უფრო მეტიც, ვინაიდან რამდენიმე მაღალი თანამდებობის თურქი შეაფიქრა იმ ამბავმა, რომ შესაძლებელია შეიქმნას ევროკავშირის შეიარაღებული ძალები, რომელშიც თურქეთი არ იქნება მთელი მასშტაბით ჩართული, ამან გააცოცხლა ძველი ზრახვა, რომ მეგობრები აღმოსავლეთში ეძებონ.

მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშალა, თურქეთი დღეს პირველად გზავნის იარაღს თურქულენოვან ქვეყანაში კასპიის გადაღმა და მისი არმიის გაწვრთნას სთავაზობს. ქარიმოვმა, რომელსაც მუსლიმანი ექსტრემისტების ამბოხება ემუქრება, უარი თქვა რუსეთის მიერ შეთავაზებულ სამხედრო დახმარებაზე. ახლა ეს სიცარიელე შეიძლება თურქეთმა შეავსოს. შეერთებული შტატები, რომელსაც ამას წინათ ხელი მოეცარა მის მცდელობაში, რომ შეეჩერებინა რუსული და ირანული გავლენის ზრდა კავკასიასა და შუა აზიაში, გახარებულია ამ ამბით.

თურქებმა არ დააყოვნეს და 2 თვითმფრინავის ტვირთი იარაღი და საჭურველი გაგზავნეს უზბეკისტანში. ხოლო სეზერი, მიუხედავად დიდი სურვილისა, რომ ევროკავშირში შევიდეს, თურქეთის ბედს კიდევ უფრო შორს ისვრის აღმოსავლეთისაკენ. მას შემდეგ, რაც სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი მოაწერა უზბეკისტანთან, მან იგივე მოახდინა (ოქტომბერში.) ყირგიზსტანთან თავისი სწრაფი სტუმრობისას შუა აზიაში, რომელშიც მან ყაზახსტანი და თურქმენეთიც მოინახულა.

სეზერის ვიზიტი იყო ახალი მანევრი თურქეთის პოსტ-საბჭოთა ეთნიკური ბიძაშვილების გულთა და გონებათა მისაზიდად. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ბევრი თურქი იმედოვნებდა, რომ თურქეთი გახდებოდა ადრიატიკიდან ჩინეთამდე გადაჭიმული თურქულ ენებზე მოლაპარაკე სამყაროს ლიდერი. მაგრამ ეს არ მოხდა. რუსეთმა შეინარჩუნა თავისი გავლენა თავისი იმპერიის ბევრ ძველ ნაწილში. თურქეთს არ შეუკრავს რაიმე სტრატეგიული კავშირები აღმოსავლეთისაკენ.

მართალია, ათასობით თურქი საქმოსანი თავის ბიზნესებს ქმნის შუა აზიის რესპუბლიკებში, მაგრამ ყველაზე დიდი პროექტი - შუა აზიიდან და აზერბაიჯანიდან თურქეთის გავლით ნავთობ და გაზსადენების გაყვანისა დასავლეთისკენ - ჯერ მხოლოდ იდეაა და ამერიკა მიზეზიანობს ჯერ კიდევ მისი დაფინანსების თაობაზე. ყველა შემთხვევაში, ბოლო დრომდე შუა აზიის ლიდერები ეჭვით უყურებდნენ თურქებს. გარდა ამისა, თურქეთის მკაცრად საერო პოლიტიკის მიუხედავად, არაერთ აზიელ ლიდერს ეგონა, რომ თურქები აგულიანებენ ისლამისტ ჯგუფებს მათ ძირგამოსათხრელად.

ბატონ ქარიმოვს ერთხელ უთქვამს „კონკრეტული მტკიცებულება“ მაქვს, რომ ჩემ წინააღმდეგ შეთქმულება თურქეთშია გამოჩეკილიო.“ ამიტომაც თურქეთში მყოფ ასობით უზბეკ სტუდენტს შინ დაბრუნება უბრძანა იმ მოტივით, რომ თურქეთში მათ ისლამისტი რადიკალები „ტვინს უტრიალებდნენ“. უზბეკეთში მან დახურა მცირერიცხოვანი თურქული სკოლები, რომელსაც „ფეტულლაჰჩილარ“-ებად წოდებული მუსლიმური ძმობა განაგებდა. მისი რისხვა იმით იყო გაღვივებული, რომ თურქეთმა თავშესაფარი მისცა მის მთავარ ოპონენტს მოჰამედ სალიჰს. შესაძლოა, მისი ნერვების დამშვიდებას ხელი შეუწყო საკუთარი ისლამისტების წინააღმდეგ გაშლილმა კამპანიამაც, რომელიც გავლენიანი გენერლების ინიციატივით მოეწყო.

თურქეთის სტრატეგიის ამ შემოტრიალებას ორი კითხვა ახლავს. პირველი: რას ფიქრობენ რუსები? მათ მრავალჯერ დაუდანაშაულებიათ თურქები, რომ ჩეჩენ მეამბოხეებს აიარაღებენ და უქსევენ. მაგრამ არის მათ შორის დაახლოების ნიშნებიც. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა კასიანოვმა ხელი მოაწერა „ანტიტერორისტულ“ შეთანხმებას თურქებთან, რომელშიც პირობა დაიდო, რომ თურქეთი აღარ მიიღებს სამკურნალოდ დაჭრილ ჩეჩნებს. შესაძლებელია ამ ისტორიულმა მეტოქეებმა - რუსეთმა და თურქეთმა - საერთო ინტერესი ნახონ იმაში, რომ ისლამურ ფუნდამენტალისტებს გზა არ მისცენ.

მეორე კითხვა: რამდენად ბრძნულია თურქეთის მხრიდან შუა აზიელ დიქტატორთა დახმარება, რომლებიც დიდად არც საკუთარ ხალხებს უყვართ? ერთმა გამოჩენილმა ფელეტონისტმა პროისლამურ თურქულ გაზეთში გაფრთხილება გამოთქვა, რომ „თურქეთი შორს ვერ წავა იმ დიქტატორთა მხარდაჭერით, რომლებიც თავს პრეზიდენტებად ინიშნავენ მთელი სიცოცხლის ვადით, ან იმის მხარდაჭერით, რომ ყველა თავისუფლებები დაითრგუნოს რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის საბაბით“. იგი არ ტყუის. („The Economist“).

რედქტორისაგან. რუსეთის და თურქეთის ალიანსის პირველი შემთხვევა ისტორიაში იყო ერთობლივი და ერთ დღეს დაწყებული შემოტევა საქართველოზე 1921 წლის თებერვალში. რუსეთის და ისლამური სამყაროს ალიანსის პირველი შემთხვევა იყო რუსეთის დახმარება ირანის შაჰ აღა-მაჰმად-ხანისადმი მისი ლაშქრობისას საქართველოზე 1795 წელს.

# რაც პრეზიდენტია, ის მისი წარმომადგენელია

მე-5 გვერდიდან.

თქვენთან დამნაშავენი"ან. სულ ცოტა. „ჩვენც ვართ თქვენთან დამნაშავენი". და არა „თქვენ ხართ დამნაშავენი ჩვენს წინაშე. კანონის წინაშე და ღმერთის წინაშეო".

კიდევ ერთ ეპიზოდს მოვიყვან (მრავლიდან). იგი „დამნაშავეთა" დაკავებასა და დასჯას ეხება. ფაქტია. რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ყოველგვარი შარის მოდებით სდევნის 1989 წლიდან მომხდარი ომების მონაწილეებს (რადგან ეროვნული სულისკვეთების მქონე მეომრისა ეშინია). ხოლო ოსი სეპარატისტები. რომელთაც ქართული მოსახლეობის სისხლი დაღვარეს. დაუსჯელად დადიან უნიფორმით. მათი უკანასკნელი დანაშაული. ჯერჯერობით. სეითთან ხუთი ადამიანის დაცხრილვაა. წეღან რომ ვახსენეთ. მასზე მაჭავარიანი – სიტყვა-სიტყვით – ასე მსჯელობს:

"რაც შეეხება დამნაშავეების დასჯას. ჩიბიროვს ვუპასუხე – რა თქმა უნდა. დანაშაული ორივე მხრიდან ხდებოდა და სისხლის სამართლის დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ჩვენი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე სისხლის სამართლის დამნაშავეებს დავსჯით. მაგრამ ვინ უნდა დასაჯოს ის ხალხი. რომელიც ან დე ფაქტო ოსური მხარის კონტროლქვეშ არის. ანდა სხვა სახელმწიფოშია წასული? ისინი ხომ ჩვენს იურისდიქციაში არ არიან? სხვათა შორის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ამაზეა დამოკიდებული. მოსახლეობის ნდობის აღდგენა და ამიტომ. მოგვიანებით. 1996 წლის მოსკოვის მემორანდუმში ჩაიწერა: ორივე მხარე უცხადებს სრულ ამნისტიას იმას. ვინც იბრძოდა. გარდა მათი. ვისაც ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ვფიქრობ. დღეს. პირველ რიგში. ქართველებს. როგორც საქართველოში სტატისტიკურად დომინანტ ერს. უნდა გვაწყობდეს. რომ ასეთი დამნაშავეები დავსაჯოთ. მიუხედავად მათი ეროვნებისა."

„ისტორიულ მაგალითს მოვიყვან – საკავშირო და შემდეგ რუსეთის სპეც-სამსახურების ერთ-ერთი დიდი პროვოკაცია იყო 1989 წელს აფხაზეთში. სოხუმში. ივლისის მოვლენების შეფასება. როცა მათ ეთნოკონფლიქტი უწოდეს. აქ მარტივი რამ უნდა მომხდარიყო: დაიღუპა 17 კაცი? რა მნიშვნელობა აქვს. ვინ ვინ მოკლა – ქართველმა აფხაზი თუ პირიქით. მკვლელები უნდა დასჯილიყვნენ. როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი. ეს მაშინაც განვაცხადე. მაგრამ ვინ მომისმინა? იმ პერიოდისთვის წამყვანი ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთა იყო".

კორესპონდენტი: „რატომ? შესაძლებელია. მაშინ მართლაც აგვეცილებინა მოგვიანებით ამის საფუძველზე განვითარებული მძიმე შედეგები..."

„– იმიტომ. რომ. გაიხსენეთ. ვინ იყო ხელისუფლებაში და როგორი იყო საზოგადოების დამოკიდებულება. ჩვენ ხომ ისევ ისეთივე საბჭოური მენტალიტეტი გვაქვს. როგორიც მაშინ. როცა ჩვენი საზოგადოება ეთნიკური ნიშნით იყო დაქუცმაცებული. სხვათა შორის. ზოგიერთს დღესაც სურს. ამგვარი სიტუაციის გაგრძელება. პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეროვნების აღნიშვნა."

გამოდის. რომ საქართველოს სახელმწიფომ უნდა „დასაჯოს" მხოლოდ ქართველები. რადგანაც ისინი მის ხელთ არიან. ოსები კი დაუსჯელნი უნდა დატოვოს. რადგან იქ. სადაც ისინი იმყოფებიან. საქართველოს იურისდიქცია არ არის. „პირადი წარმომადგენელი" ურიგდება ამ მდგომარეობას (და ჩიბიროვთან სუფრაზე ჯდება მანამდე. სანამ იგი ერთ მკვლელს მაინც დაიჭერდეს ან. მით უმეტეს. საქართველოს ოფიციალურ დამსჯელ ორგანოებს გადმოსცემდეს). ამ „ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის" გადაწყვეტას კი. რომელზედაც. თურმე. „ნდობაა" დამოკიდებული. იგი ხედავს „1996 წლის მოსკოვის მემორანდუმში". სადაც ჩაიწერა. რომ ამნისტირებულ უნდა იქნეს" „მხარეთა მიერ" ყველა ის. ვინც იბრძოდა. ანუ „ამნისტირება" უნდა მოხდეს ერთნაირად იმათი. ვინც კანონიერი მდგომარეობის დასარღვევად იბრძოდა. და იმათი. ვინც კანონიერი მდგომარეობის დასაცავად იბრძოდა. და ამნისტირების სუბიექტნი ანუ დანაშაულის შემნდობნი უნდა იყონ. ისევ თანასწორად. კანონიერი ხელისუფლება და თვითმარქვიები. ეს „ამნისტირება" ეხება იმათ. ვისაც „მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაული არა აქვს ჩადენილი". (ამგვარად. ისინი. ვისაც აქვს. თუ ოსები არიან და ქართველები ხოცეს. ხელშეუხებელნი რჩებიან. ხოლო თუ ქართველები არიან. „ისჯებიან"). მაგრამ აქ კიდევ კითხვა დგება: რა სჭირთ „საამნისტიო" იმათ. ვინც კანონიერ მდგომარეობას იცავდა და ამავე დროს „მშვიდობიანი" მოსახლეობის მიმართ "სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია?" საყურადღებოა. რომ ყველა ამ დათმობებს „პრეზიდენტი" და მისი „პირადი წარმომადგენელი" მუქთად აკეთებენ: ისნი თმობენ ყოველივეს ისე. რომ სამაგიეროდ საქართველოს ინტერესთა სასარგებლოდ არავისგან არაფერში ერთ მისხალ დათმობასაც არ იღებენ!

იმას. რასაც ყოფაცხოვრებაში „გულუბრყვილობა" ჰქვია (ან. თუ გნებავთ. უფრო პირდაპირ ვთქვათ „ჰარიფობა" ჰქვია). პროფესიულ მუშაობაში – მით უმეტეს. ისეთ სერიოზულ მუშაობაში. როგორიც პოლიტიკა გახლავთ – სხვა კვალიფიკაცია ეძლევა. აქ ეს სიტყვები აღარ კმარა. ისევე როგორც ამ უწყინარ სიტყვებს ვერ აკმარებთ ქირურგს. რომელმაც თავისი უმეცრებით პაციენტს ავადმყოფი თირკმლის მაგიერ საღი ამოაჭრა. იქ ამ ქმედებას "დანაშაული". "უნებური დანაშაული" ან. სულ ცოტა. "დანაშაულებრივი უმეცრება" ჰქვია. და. აი. სახ-



ეზეა მარიონეტი პრეზიდენტისა და მისი ამ უმეცრულ დანაშაულთა თუ დანაშაულებრივ უმეცრებათა შედეგები იმ პოზიციათა სახით. რომლითაც საქართველოს ვაი-ხელისუფლება დღეს დგას ჩვენი ქვეყნის ულმობელი მტრის წინაშე მის მიერვე მეტიჩრულად მოწვეული მსოფლიო არბიტრების თვალწინ: რუსები და ოსები (სამხრეთელნიც და ჩრდილოელნიც) მოლაპარაკებათა „მხარეებად" ფიგურირებენ და ოსი სეპარატისტები პოლიტიკური სუბიექტის რანგში განისილებიან. ამას კი. თავისთავად. მოსდევს ის დღეს უკვე ნათლად გამოკვეთილი სიფათი. რომ ამ „სუბიექტმა" შეიძლება რუსეთის ტერიტორიასთან საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის „მიერთება" ითხოვოს. აგრეთვე. ის. რომ რუსეთი და მის შემადგენლობაში შემავალი „ჩრდილოეთი" ოსეთი აღიარებულ დაინტერესებულ ერთეულებად ფიგურირებენ იმ ქვეყნის შინაგან საქმეებში. რომლის მიმართ მათ არავითარი უფლებები არ გააჩნიათ. საქართველოსთვის ეს შინაგანი პრობლემა ინტერნაციონილიზებულია (ისევე როგორც აფხაზეთში) და მსოფლიო ორგანიზაციებს. მათ შორის – ეუთოს (რომელიც „გვირჩევს". „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" შექმენით და სათანადო დოკუმენტები სადეპოზიციოდ ჩვენ. ეუთოს მიგვეცითო) უფლება ეძლევა ამ საქმეში ხელის რევისა საკუთარი მოპრიანებისებრ (იმის ნაცვლად. რომ ეუთოს წარედგინოს ამომწურავი დასაბუთება იმისა. რომ მისი „რეკომენდაციები" წინააღმდეგობაშია სიმართლესთანაც. სამართალთანაც. ზნეობრივ ნორმებთანაც და მსოფლიოს ინტერესებთანაც). მკვლელები (თუ მოკლული ქართველია). დაუსჯელნი არიან და ქართველი მოსახლეობა – გამოძევებული. მაგრამ ამ ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რადგან ეს. ზოგადად. უკვე ცნობილი ჭეშმარიტებები გახლავთ).

საკითხავია: ნუთუ „მსოფლიო პოლიტიკაში" მძღოლის ყალბი მოწმობით აღჭურვილმა საქართველოს დღევანდელმა „მესაჭემ" თავის „პირად წარმომადგენლად" უფრო ნიჭიერი და უფრო რისხიანი პიროვნება ვერ ნახა. ვიდრე მის მიერ არჩეული მაჭავარიანია? ალბათ. ნახავდა (თუმცა მისი პარტია – „მოქალაქეთა კავშირია". იგივე „მონკავშირი" – კადრებით არ ბრწყინავს). მაგრამ. როგორც ჩანს. მისთვის კანდიდატის ყველა სხვა მახასიათებელზე უფრო მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური და. განსაკუთრებით. ზნეობრივი ფერი (ე.წ. „მასტი"). რომელშიც მაჭავარიანის ბადალს არც თუ ადვილად იპოვით წერაკითხვის მცოდნეთა და მით უმეტეს. დამტვრეული ინგლისურის მცოდნეთა შორის. ყველა როდი იკადრებს (რაც უნდ ზოოლოგიური სიძულვილი სჭირდეს ზ. გამსახურდიასი) უცხო ძალით "გამარჯვებულ" მტერთან აგინოს თავისი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი. რომელსაც ცხინვალის პრობლემასთან მიმართებაში სარვეზს ვერ დაუსახელებს ანტიქართული პროპაგანდისტული მანქანის მიერ მოგონილის გარდა. არც ისეთი კაცის თუ არაკაცის ნახვაა ადვილი. რომელიც ვერ ხვდებოდეს (ჭკუით თუ არა. გუმანით მაინც). რომ დანაშაულებრივი დავალების შესრულება დანაშაულია და რომ მას პასუხისგება მოსდევს. აი. ეს ზნეობრივი და პოლიტიკური "ფერი" – ეს აბსოლუტურად თავხედური ანტიეროვნულობის ფერი – საქართველოს დღევანდელი მმართველისთვის ყველაზე დამახასიათებელი და იმავდროულად ყველაზე საყვარელი ფერია და ამიტომაა მისი სასაცილო საგარეო და საშინაო პოლიტიკის გამტარებელი გუნდი ესოდენ ერთსული და მონოლითური.

საკვირველია. მაგრამ ფაქტია. რომ ხსენებული ინტერვიუ... თავმოყვარეობის თემასაც ეხება. თურმე. ნუ იტყვით. ამ საქმეთა მოქმედს. რაც აქ დავასახელეთ. თავმოყვარეობაც ჰქონია და მავანთან და მავანთან ამ უკანასკნელის დაცვაც განუზრახავს! ილუზიაა. ბატონებო! ვგულისხმობ: ბატონი პრეზიდენტის გუნდის წევრებო. რომელნიც ზოგი თანამდებობით. ზოგი – გრანტით. ზოგიც – საბჭოთა უმიშროების ძველი ინსტრუქციით დღეს საქართველოს ნგრევის პოლიტიკას ატარებთ და გგონიათ. რომ განვითარების ზოგადი ტენდენციის ფარვატერში მიცურავთ. რომელსაც (ამ ზოგად ტენდენციას). თქვენი მოკლე ჭკუით. საქართველო განწირული ჰყავს. თქვენ თავმოყვარეობა ვერ გექნებათ და. რომც გქონდეთ. მისი დამცველი არა ხართ. ამ საკითხზე ექსპერიმენტის ჩატარების შეთავაზება არ გჭირდებათ. რადგან რეალობა თვითონ ექსპერიმენტია. ცდაა და მოვლენათა ბუნებრივი განვითარებითვე თქვენ ამ ცდას ვერ ასცდებით.

პიროვნებები არ მაინტერესებს. მაგრამ „პირადი წარმომადგენლის" ერთ პირად თვისებას. ბოდიშის მოხდით. მაინც უნდა შევეხო (რატომ – ამას ქვემოთ მოგახსენებთ). იგი წერს. პატიოსანი კაცი ვარ და თვეში 165 ლარის ხელფასით ვცხოვრობო. შევანიშნავ: იმ კვალიფიკაციის კაცს. როგორადაც „პირადი წარმომადგენელი" თავს ავლენს. თვეში 165 ლარად სამუშაოდ არავინ იყიდის (შედარებისთვის მოგახსენებთ: თქვენი მონამორჩილი მეცნიერებათა დოქტორი და განყოფილების გამგეა მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. მაგრამ. დაქვითვების შემდეგ. თვეში 57 ლარი აქვს). ამგვარი დონის კაცს ამ ხელფასით იყიდიან მხოლოდ იმ ბინძური საქმისათვის. რომელსაც იგი (როგორც მისი ინტერვიუდან ჩანს) ეწევა. ნუ დაგვავიწყდება. რომ "პრეზიდენტის" უახლოესი გუნდის ესოდენ წარუმატებელ "დიპლომატებს" სხვა მცირედი ანაზღაურებაც აქვთ: ვთქვათ სახელმწიფოს ხარჯზე მისვლა-მოსვლა ევროპის ქალაქებში. სადაც მათი მოღვაწეობა ტრაგიკულად განწირულია იავარსაყოფად ყოველთვის. როცა კი ისინი საქართველოს ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას მოინდომებენ.

კითხვა დგას (და მეც ამ უკანასკნელ თემას მხოლოდ ამ კითხვის გამო ვეხები): რატომაა. რომ პარლამენტარების. მინისტრების და სხვა მაღალი მოხელეების არარსებულ ნამუსს შევარდნაძე მილიარდებად ყიდულობს (რომელსაც მათ. ჯამში. მოსაპარავად აძლევს.) მაჭავარიანებისას კი 165 ლარად? პასუხი. სამწუხაროდ. მარტივია: იმიტომ. რომ პირველნი. მისი სროვის ორგანული შემადგენელი ნაწილი. ძირითადად. ძველი კომუნისტები არიან. მათ არამი ლუკმის ჭამის დიდი „კულტურა" და დიდი მადა მოსდევთ და. რაც მთავარია. პრეზიდენტის "საბჭოეთისმიერი" ძმანი არიან. მეორენი კი – უცხონი. ისინი. მიუხედავად ერთობლივი კარიერისტული ინტერესებისა. მაინც სხვადასხვა კლასი არიან და პირველთა მიერ მეორეთა "გულით შეყვარება" შეუძლებელია.

*ბ. ნათაძე*

# ახალი ძალა მოდის

ამ ნიშნულებზე დაყრდნობით ენთუზიასტთა ჯგუფმა შექმნა სრულიად ახალი ტიპის, საქართველოს მთაგორიანი პირობებისათვის, ქართული ჯარისათვის იდეალურად მოსარგები მობილური იარაღის რამდენიმე ნიმუში, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ჯავშანი, ტანკსაწინააღმდეგო, შვეულმფრენებისა თუ საზღვაო მცურავი საშუალებების გასანადგურებელი სნაიპერული იარაღი, რომელთაც ჯერჯერობით ანალოგი არ გააჩნდათ. გურამ თევზაძემდე ეს ყველაფერი გაბნეულ-დაქსასული იყო, მრავალი მათგანი მხოლოდ იდეის, ან ჩანასახის დონეზე თუ იყო. სასოცარია, ამ ერთმა კაცმა, მხოლოდ მიზანმი-

*გაგრძელება მე-11 გვ.*

მე-10 გვერდიდან.

მართული. ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ამდენი ხალხი როგორ აამუშავა. მათ ცხოვრებას ხტიმული მისცა. გამარჯვების იმედი ჩაუსახა... რისთვისაც არც საკუთარი ბინის დაგირავება და არც მანქანის გაყიდვა არ დანანებია.

"ქართული ჯარის თანადგომის საზოგადოება" ეს პრაქტიკულად ქართული ხულიერების. ქართული ინტელექტის გადამრჩენი კიდევ ერთი წყარო შეიქმნა.

"საზოგადოების" ინტერესს შეადგენდა როგორც ფუტუროლოგიური პროექტები XXI საუკუნის კვლევითი ცენტრების შექმნისა. ასევე რეალური საზრუნავი სოიოს თუ სორცის წარმოებისა. ჯარის გამოსაკვებად. ჯარისკაცის ტანსაცმელი თუ თეთრეული. საპონი თუ თანამედროვე კავშირის საშუალებათა შექმნა. ასევე. ჯარის სულიერი თუ ფიზიკური წვრთნის ნიუანსების კვლევა. მათი დანერგვა და თანამიმდევრული შრომა ჯარის გარშემო არაჯანსაღი აურის შესაცვლელად. ამავდროულად ქართულ ჯარში ალმავლობის პროცესი დაიწყო. მინისტრმა ჯარიდან დაითხოვა კორუმპირებული. სხელგატეხილი. მკვეთრად ანტიქართულ პოზიციებზე მდგარი ოფიცრები. შეიცვალა ჯარის მართვის სისტემა. შეიქმნა სპეცდანიშნულების ნაწილები. რომელთაც დღეს უკვე სელეწიფებათ საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის რეალური სამხედრო ოპერაციების წარმატებით ჩატარება.

საქართველოს მტრებმა ძმები თევზაძეების ღვაწლი ქართული ჯარის აღმშენებლობაში ყველაზე რეალურად შეაფასეს და დაიწყო ღია თუ ფარული ომი.

უპრინციპო მასმედია უსარმაზარ თანხებს იღებდა ჯიბეში. ოღონდ ძმებზე რაიმე საქილიკო. უარყოფითი დაეწერათ. რაშიც მათ ენთუზიაზმით ეხმარებოდა მინისტრის მიერ განთავისუფლებული კორუმპირებული და რუსეთუმე ოფიცრობა. აგორდა ათასი ჭორი ძმების ავკაცობაზე. გაუმაძღრობაზე. ნადიბაიძისა და რუსეთის მმართველობის მონატრების ნოსტალგიური წერილების მთელი სერიები. ამ ყველაფერს ხელს უწყობდა სამხედრო ბიუჯეტის მეტად საეჭვო დაუფინანსებლობა ნადიბაიძის დროსთან შედარებით. რაც ჩვენი ქვეყნის სიღატაკის ფონზეც კი გასაკვირი შეიქმნა...

გურამ თევზაძის განცხადებიდან: "გთხოვთ. საინფორმაციო ეთერით გაავრცელოთ ჩემი განცხადება. რომელიც მიმართულია იმ გაზეთების რედაქტორებისა და ჟურნალისტებისადმი. რომელნიც. მიუხედავად ჩვენი ოჯახის არაერთგზის განცხადების. განმარტების და თხოვნისა. მეტი კორექტულობა გამოეჩინათ საქართველოს თავდაცვის მინისტრის და მისი ოჯახის წევრების მისამართით გამოთქმულ ეჭვებსა და ბრალდებებზე. თავი შეეკავებინათ არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებისაგან. მაპროფილირებული არაორაზროვანი სათაურების და სრულიად დაუზუსტებელი ციფრობრივი მონაცემების გამოქვეყნებისაგან. - კიდევ უფრო გაააღვივებს ეს კამპანია."

მიუხედავად იმისა. რომ გათვითცნობიერებული მკითხველისათვის ადვილად გასარჩევია ამ იაფფასიანი. ზოგჯერ კომიკურამდე დასული ქვეტექსტების პათოსი. პრესა აღწევს თავის მიზანს - უარყოფითი წარმოდგენა შექმნას თავდაცვის სისტემაში მიმდინარე გარდაქმნებისა და მისი ხელმძღვანელის მიმართ. მსგავს "საქმიანობას". - არარსებული სკანდალის აგორების პრეტენზიას - დაუფარავად ნიშნის მოგებით. სრულიად ღიად ამჟღავნებენ. ყველაზე საინტერესო კი ისაა. რომ რუსეთისა და საქართველოს "თავისუფალი" მედია ამ სკანდალით ერთდროულად ინტერესდება.

აღნიშნულის მიმართულებით გარჯილ ყველა "მოღვაწეს". რომელნიც უნებლიეთ (შესაძლოა. ნებითაც) ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ. მხურს კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვთხოვო: დაკვირვებით. რამდენჯერმე გადაიკითხონ საკუთარი "ნალვაწი" და ერთი წინადადება დაუმატონ მას - "დაწერილზე ვაგებ პასუხს!!!"

"ეგრე არაა. თაყაო". "უსამართლობის ატანა მოთმინებით" - იყო გურამ თევზაძის წერილების სათაურები გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" აპრილ-მაისის თვეებში.

გაზეთ „ალია" № 191-ში XII გამოქვეყნებულ წერილში კი "ბინძურ კამპანია-მეორე რაუნდი"-ში წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი ფრაზა: რომ „ერთი რამ ცხადია - მესამე რაუნდი არ იქნება. ერთ-ერთი მხარე ნოკაუტში აღმოჩნდება!"...

დღევანდელი ჩვენი საზოგადოება ადვილად იგუებს დაბალი დონის ადამიანებს. მოსწონს საშუალო დონეზე ოდნავ ამაღლებულიც. ოღონდ. სულ მცირედით!.. და თუ ვინმე გამოჩნდა მართლაც გამორჩეული. მის წინააღმდეგ თავისდაუნებურად ირაზმებიან თითქმის ყველანი "-ცუდას რად უნდა მტერობა. კარგია მუდამ მტრიანი!.." - პრინციპით.

გამორჩეულისა შურთ. მათგან ყველაზე ნაკლებად მატერიალურად გამორჩეულს მტრობენ. პირიქით. ხშირად ცდილობენ მასთან დაახლოებას. ხან მეგობრობას სთავაზობენ. ხან სამსახურს... სიყვარულსაც. თანაც ყველა მისი გამოვლინებით: სამშობლოსთან. დედასთან. ბავშვთან. ახლობელთან. ქალთან თუ საერთოდ ბუნებასთან მიმართებით. შურთ და სარავთ გამორჩეულის თუნდაც გვერდით ყოფნა. არსებობაც კი. და ყველანაირად ცდილობენ დააკნინონ. სახელი გაუტეხონ. ყველა საკუთარი სიბილწე და უკეთურობა დასწამონ სიკეთით გამორჩეულს. დაამდაბლონ. თავისნაირი გასადონ... და თუ ეს მოასერხეს. მერე აღარ გასწირავენ. თუნდაც წაქცეულს უკვე სიამოვნებით დაეხმარებიან. ხელსაც გაუმართავენ. თავისთან მიიღებენ. ოღონდ ჯერ წააქცევენ და მერე... მაგრამ თუ სხვა ვერაფერი მოუხერხეს - მოკლავენ!.. მოკლავენ და მერე გრანდიოზულ. ამაღლებულ დაკრძალვას მოუწყობენ...





გურამ თევზაძემ "გამორჩეულობის" სიტკბო-სიმწარის თასი ბოლომდე შესვა. არც დიდება დაჭკლებია და არც მტრული სარმა თუ გველური. ზურგსუკანა სისინი... და არც ის. რომ მისსავე შექმნილ "თანადგომის" საზოგადოებაში მისი სახელით მრავალი "თანამდგომი" ხელს ითბობდა. ფულს ჯიბეში იდებდა. უკეთურობას კი თევზაძეების „გაუმაძღრობას" აბრალებდა.

თანამდგომი - ეს ძალზე ძლიერად ნათქვამი სიტყვაა. თავად გურამ თევზაძე იყო თანამდგომი. რეალური საქმის გამკეთებელი. ამასთანავე მეოცნებე და მაფიქრალი. ძირითადი გამწევი ძალა - ლოკომოტივი... ამიტომაც. ხშირად მის მიერ შექმნილ საზოგადოებაშიც კი თავად იყო მიუსაფარი. დაუცველი. მარტოსული...

"საზოგადოებაში" კი მუდმივად რაღაცეები კეთდებოდა. რაც მის კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. მის ზურგსუკან ვიღაცეები ქულებს იწერდნენ. ხანაც ფულს იდებდნენ ჯიბეში... ერთხელ შემთხვევით გაიგო: კარგი. მართლაც და ღირებული პროექტის ვითომცდა თევზაძეებთან "ლობირებისათვის" მის ორ "თანამდგომს" პროექტის ავტორისაგან ფული აეღოთ. გურამ თევზაძემ ქრთამი დააბრუნებინა და ახსნა-განმარტება დააწერინა უკეთურთ და შემდეგ თავად სთხოვა კონტროლის პალატას ძირის-ძირობამდე გამოეკვლიათ "საზოგადოების" ყველა ოპერაცია...

## გუშინ ადრე იყო, ხვალ გვიან იქნება..!!

შესაძლოა. ტერაქტი მაინც არ შემდგარიყო. აფეთქებამდე ორი კვირით ადრე ქართულ პარლამენტს "დისკრედიტირებული" თავდაცვის მინისტრი სელახლა რომ არ აერჩია სახელმწიფოსათვის ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე. დავით თევზაძის არარჩევით და მის ადგილზე "პრორუსული" ჩინოვნიკის მისვლით ისევ მკვეთრად შეიცვლებოდა საქართველოს სამხედრო ორიენტაცია. რუსეთი საოცრად დაგვიტკბებოდა. ეკონომიკურ მარწუხებს მოგვხსნიდა და ისევ გულში ჩაგვიკრავდა. ლამის სამუდამოდ დაკარგულ "უძღებ" შვილს.

რასაკვირველია. მინისტრის გადარჩევა მოასწავებდა ყველა თევზაძისეული პროექტის გაყინვას და მათ შემდგომ განადგურებას და უპირველეს ყოვლისა ჯარის შეიარაღების ისევ "როსვოორუჟენიეზე" დაქვემდებარებას და ქართული იარაღის შექმნაზე ფიქრის დასამარებას. მითუმეტეს. გურამ თევზაძე ძალზე ახლოს იყო მისული ქართული სახელმწიფოსათვის ამ მეტად მტკივნეულ და დღემდე გადაუჭრელ პრობლემასთან. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველოს პრეზიდენტმა და ქართულმა პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი თევზაზისეულ გარდაქმნებს და პრეზიდენტის მიერ მკვეთრად გამოხატულ დასავლურ ორიენტაციის გამტარებელ მინისტრს მწვანე გზა გაუხსნა.

მკვლელობის მანქანა ამუშავდა...

მკვლელობის წინა დღეების ქრონიკაც რუსეთის აგრესიის ძლიერი მუხტის მატარებელი გახლდათ.

გავიხსენოთ 2000 წლის მაისის ბოლო დღეები.

1. თავდასხმა ქართულ მრევლზე და პატრიარქზე სოფელ ფოკასთან.

2. აყვანილი იყვნენ მძევლები კოდორის ხეობის სოფელ ლატასთან. რათა მსოფლიოში საქართველოსთვის არასტაბილური ქვეყნის იმიჯი შეექმნათ.

და პირდაპირი აგრესია საქართველოს მიმართ.

3. მაისის ბოლოს მკვეთრად დაიძაბა ისედაც მწვავე საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. რაც გამოიწვია რუსეთის პრეზიდენტის. პუტინის ოდიოზურმა განაცხადმა იმის შესახებ. რომ აფხაზეთის და "სამხრეთ-ოსეთის" მოსახლეობა. ისინი. ვისაც საბჭოთა პასპორტები ექნებათ. იმოძრავებენ რუსეთში ყოველგვარი სავიზო რეჟიმის გარეშე. როგორც რუსეთის სრულუფლებიანი მოქალაქენი. ეს განცხადება ხომ სხვა არაფერია. თუ არა საქართველოს ამ ტერიტორიების რუსეთთან დე-ფაქტო შეერთება.

რატომღაც. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მიერ ანექსირებულ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა რუსეთის მოსახლეობად ცნობას "Не вижу" გაუკეთა.

პუტინის ამ განცხადებამ საქართველოს მიერ "წართმეული" რუსეთის "ისტორიული მიწების" რუსეთის იმპერიაში დაბრუნების საზეიმო ცერემონიალი საეჭვოდ სწრაფად მოგვიახლოვა.

აქვე მინდა დავსძინო. რომ საქართველო და მისი საგარეო საქმეთა სამინისტრო "მიჩუმათების" ტრადიციული ქვეყანაა. გავიხსენოთ თუნდაც სომხეთის პრეზიდენტის კოჩარიანის განცხადება იმის შესახებ. რომ საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა აფხაზეთში "აქტიური ნეიტრალიტეტი" უნდა დაიცვან. (?). რა უფლებით მოძღვრავდა სხვა ქვეყნის პრეზიდენტი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. არ დაეცვათ სამშობლო?.. ეს ხომ ქვეყნის ღალატისაკენ მოწოდებაა?!. არავითარი ოფიციალური განაცხადი ამ უმსგავსობაზე არ გაკეთებულა. ჩვენ საგარეო უწყებათა ასეთმა "მიჩუმათების" პოლიტიკამ საშუალება მისცა რუსეთს. აფხაზეთში არა მარტო აფხაზების. სომხურ-რუსული სეპარატიზმიც გაეღვივებინა და იმის მაგიერად. რომ ჩვენ შეგვექმნა ინტერვენტებთან მებრძოლი საქართველოში მცხოვრები ბერძნების. ესტონელების. რუსების. სომხების. აზერბაიჯანელთა ცალკეული ბატალიონები. რომლებიც სამშობლოს დაცვისას კიდევ უფრო მეტად შედუღაბდებოდნენ ქართველებთან. ჩვენმა ბედოვლათობამ საშუალება მისცა რუსეთს შეექმნა საქართველოზე თავის დროზე შეყვარებული კაცის - მარშალ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი. რომელიც ყველაზე დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა ქართველების მიმართ.

4. ამავე დროს რუსეთმა გამოაცხადა. რომ დაბომბავს გნებავთ ავღანეთს. გნებავთ საქართველოს. პანკისის თუ მატილის ხეობას. სადაც რუსეთის ინტერესებს საფრთხე დაემუქრება. მართალია. ამ სიტყვების გამოქვეყნებამდე დიდი ხნით ადრე რუსეთმა გამოუცხადებელი ომი აწარმოა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. მართალია. 1992-93 წლებში ძალზედ ინტენსიურად გვბომბავდნენ. მაგრამ მსგავსი განცხადება მას არც მაშინ გაუკეთებია. ასეთი განაცხადი სხვა სახელმწიფოსათვის სათმარი მდგომარეობის შექმნის ტოლფასი გახდებოდა. მაგრამ არა საქართველოსთვის...

5. იმ დღეებში მკვეთრი განცხადებებით გამოვიდა რუსეთის გაზის კომპანია "იტერაც". რომელიც "საქგაზის" ოფიციალურ შესყიდვას აპირებს. რაც არაოფიციალურად უკვე დიდი ხანია დანაწევრებული და შესყიდული აქვს რუსეთის ფულით გაქსეუბული ქართველების ხელით. აქვე ისიც სათქმელია. რომ მრავალი ვითომც და ეროვნული კომპანიის ლამაზი ფირნიშის იქიდან რუსეთის ფული და იმპერიული ინტერესები იმზირება. აქ გასათვალისწინებელია და ჩვენთვის სამაგალითოა ბალტიისპირა ქვეყნების მაგალითი. როდესაც რუსეთი მათაც დაემუქრა გაზის შეწყვეტით. თუ ეს ქვეყანები პროდასავლურ კურსს არ უარყოფდნენ. ამ ქვეყნებმა მაშინვე უარი სთქვეს რუსეთის გაზზე. მათ ჩვენზე მეტად სციოდათ იქ. ჩრდილოეთში. მაგრამ სახელმწიფოებრივი აზროვნება აღმოაჩნდათ ძლიერი.

საქართველოს მსგავსად ბალტიისპირელი პრემიერ-მინისტრები რუსეთს არ გაგებიან ფეხქვეშ. არ უთხოვიათ. არ დაუმდაბლებიათ თავი. არც მოსახლეობა გამოსულა ქუჩის მიტ- [illegible] საეჭვო აქციებით გაზის შეწყვეტის წინააღმდეგი. დამოუკიდებლობას ეს ქვეყნები ეროვნული ღირსებით შეეგებნენ... თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყნის მონოპოლისტი რუსეთის მიერ "საქგაზის" შესყიდვას. და საერთოდ. რუსულ-ეკონომიკური პოლიტიკის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სატელეფონო კომპანია "იტტ". რომელმაც ჩილეში სალვადორ ალიენდეს მთავრობის გადატრიალება მოახდინა და ქვეყნის სათავეში პინოჩეტი მოიყვანა.

ცნობილია. რომ "იტტ" ჩილეში სამხედრო გადატრილების წინა დღეებში სატვირთო ავტომანქანების მძღოლებს ორჯერ მეტ ფულს უხდიდა. თუ ისინი რეისში არ წავიდოდნენ და სახლში იჯდებოდნენ. ამით ქვეყანაში ტვირთბრუნვა შეწყვიტა. ჩილეში ეკონომიკურმა კრიზისმა და ქაოსმა დაისადგურა. რაც წიინაპრობა შეიქმნა სამხედრო გადატრიალებისათვის...

სელფასების. პენსიების გაუცემლობით. სამომხმარებლო ბაზარზე ფასების სელოვნური ზრდით. ბენზინზე. კვების პროდუქტებზე ფასმომატებაზე .მოსალოდნელ ეკონომიკურ კრახზე დასაბუთებული პროგნოზების გავრცელებით ეროვნული ნიჰილიზმის დამკვიდრებით. მასმედიაში "რუსული წესრიგის". რუსეთის პატრონაჟის ნოსტალგიის გაღვივებით საქართველოში ლეგალურად თუ ფარულად მოქმედი ანტიეროვნული ძალები ქვეყანას დესტაბილიზაციისაკენ და საბოლოო ჯამში დამოუკიდებლობის დაკარგვისაკენ მიაქანებენ.

6. როგორც ცნობილია. მოსკოვში დააკავეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე გატანილი რამდენიმე ქართული იარაღის ნიმუში. უნდა ვიფიქროთ. რომ სამხედრო ტვირთის მოსკოვში "შემთხვევით" მოხვედრა გამორიცხულია. მავანმა და მავანმა ევროპის აეროპორტებში ალბათ უუსარმაზარესი თანხა ჩაიჯიბეს. რომ ეს ტვირთი მოსკოვში. რუსეთში ჩაფრენილიყო. ეს ოპერაციის დამკვეთებს არ გაუჭირდებოდათ. რადგან თუკი რომელიმე სახელმწიფო ორგანოების ფული ტრიალებს მსოფლიოში. უპირველესად ეს რუსეთი და მისი საყრდენი კგბ-ა. რომელიც შეიძლება ვითომცდა თავისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტებსაც აფინანსებდეს საქართველოში და წარმართავდეს მათ მოღვაწეობას საფრანგეთიდან. გერმანიიდან. ინგლისიდან თუ ამერიკიდან. რომელთა დასავლური ფასადის უკან რუსეთი იმპერიის მხასვრალი სელი იმალება.

"Рософоружение" ეს კომპანია ცალკე სახელმწიფოა რუსეთის იმპერიაში და მას ზემოთ თქმული ოპერაცია. ჩვენი სამხედრო ბარგის მითვისებისა. თავადაც შეეძლო წარემართა. "Рософоружение"-ს. მსოფლიოს ექსპერტების თქმით. ასეულმილიონობით იარაღი აქვთ გაყიდული. სელყუმბარიდან თუ ავტომატიდან დაწყებული და სარაკეტო კომპლექსებით დამთავრებული.

დღესდღეობით "Рософоружение" მსოფლიოში ყველა კონფლიქტში იღებს მონაწილეობას როგორც იარაღის ძირითადი მიმწოდებელნი.

"Рософоружение"-მ საქართველოს პირწმინდად მოუგო ყველა ომი. ჩეჩნეთის ორივე ომი მოიგო. მოიგო სასტიკი ომები ვიეტნამში და კამბოჯაში. სამხრეთ ამერიკაში. კუბაში თუ აფრიკაში. "კურსკის" დაღუპვა "Рософоружение"-ს უკვე რიგითი მარცხია. თუმცა. აქ გასაკვირი და შემაძრწუნებელი უფრო ისაა. თუ როგორი სისასტიკითა და დაუნდობლობით გასწირა რუსეთმა საკუთარი ქვეყნის 130 მოქალაქე. და. შესაძლოა. გადარჩენილებიც. რომლებიც. როგორც ცნობილია ჩაძირული გემიდან კაკუნით იტყობინებოდნენ ადგილსამყოფელს. - მოაკვდინა კიდეც. რადგან მაშველები სხვა ქვეყნებიდან წყალქვეშა ნავს იქამდე არ გააკარა. სანამ არ დარწმუნდა ეკიპაჟის სრულ განადგურებაში. ამიტომაც. რატომ უნდა გვიკვირდეს რუსი პოლიტიკოსებისა და სამხედროების სისასტიკე ჩვენს მიმართ. როდესაც რუსეთი თავის მოქალაქეებსა და დამცავებს ასეთი სისასტიკით სოცავს?!...

რუსულმა სამხედრო დოქტრინამ [illegible] ვნელოვანესი ბრძოლები და თავად ომიც ავღანეთში. წააგო შვიდდღიანი ომი ისრაელთან და ამერიკულ იარაღთან. პირწმინდად წააგო ორივე ომი ერაყსა და კუვეიტში.

დღეისათვის რუსეთი სრულ კონტროლს ფლობს საქართველოს სამხედრო ძალებზე. ზუსტად იცის. რა სახის და რამდენი იარაღი გვაქვს და რამდენ დღეს გვეყოფა ტყვია-წამალი. მხოლოდ "Рософоружение"-ს კლანჭებიდან თავის დაღწევით ჩვენ შეგვეძლება რეალური დამოუკიდებლობისაკენ გადავდგათ ნაბიჯი.

აფხაზეთში. რუსეთის ინტერვენტებთან რიგით მებრძოლს. მათემატიკოსს. ანალიტიკოსს გურამ თევზაძეს შესანიშნავად ესმოდა. რომ ომის წაგების ერთ-ერთი ძირითადი მასაზიათებელი კიდევ ის იყო. რომ რუსეთი აბსოლუტურად ზუსტ ინფორმაციას ფლობდა ჩვენი შეიარაღების სარისხსა და რაოდენობაზე. რადგანაც. რასაც ამ ომში სროლა ან აფეთქება შეეძლო. რუსეთის ნაწარმი და მისი ბაზებიდან დაბალანსირებულად მოწოდებული მკაცრად კონტროლირებადი ტყვია-წამალი და იარაღი გახლდათ. ეს სისტემა დასარღვევი იყო.

როგორც ცნობილია. ეროვნული დროშების ქარაქუცა მაფრიალეებსა და რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ ულტრა-რადიკალური. შეუსრულებადი. პროვოკაციული ლოზუნგების მაყვირალებს თავად რუსეთი აფინანსებს. სხვაა. ჩვენი ქვეყნის რუსეთის მარწუხებიდან თავდასხნითი რეალური გზების გამკაფველნი. მათ დაუნდობელი სისასტიკით ანადგურებენ.

თავის დროზე ნიკუშა კეკელიძეს ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობისაკენ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა არ აცალეს და არარუსული იარაღის საქართველოში შემოტანის მარტო მცდელობისათვის ააფეთქეს.

გურამ თევზაძემ მეცნიერმა. პატრიოტმა. სპორტსმენმა ეს ნიშნული გაცილებით შორს გადასწია. რადგანაც ძალზედ ახლოს მივიდა ქართულ სახელმწიფოსათვის იმ მეტად მტკივნეულ და დღემდე გადაუჭრელ პრობლემასთან. რომელსაც ქართული იარაღის შექმნა ჰქვია.

ვინ იქნება შემდეგი?..

*მიზო მორჩილაძე*

მე-9 გვერდიდან.

# ТЕХНОЛОГИЯ ЛЖИ ИЛИ ЛАПША РОССИЯНАМ НА УШИ

А по всей Чечне - бесчисленные блок-посты и КПП, и проверки, проверки! И каждый знает: в любую минуту вот так просто, ни за что могут арестовать. Не успеешь оглянуться - "фильтрационный пункт"! А там!..

Совершенно ясно, что зловещий "фильтр" Чернокозово, которым чеченцы, наверное, пугают детей, - не изолированный объект, созданный по прихоти злого дяди. Это элемент целостной, хорошо продуманной системы, так называемой "фильтрации задержанных"

Что же это за ,,фильтрация" такая, зловещим покрывалом нависшая над маленьким, оказавшимся лицом к лицу с геноцидом, народом? Официально этот процесс имеет целью путем дознания "отфильтровать" лиц, принимавших участие в военных действиях против федералов, от тех, кто в этих действиях участия не принимал. На первый взгляд, казалось бы, все -законно. Но это только на первый взгляд.

Больше года Россия вела в Чечне полномасштабную военную кампанию с применением всех (слава Богу, кроме ядерных!) современных средств вооружения. Военные действия призвали на поля сражений почти 150 тыс. солдат с обеих сторон, согнали с насиженных мест четверть миллиона мирных жителей, обездолили тысячи российских и сотни тысяч чеченских семей Война! Уместно ещё вспомнить "Договор о мире и принципах мирных взаимоотношений" заключенный между двумя республиками три года назад. Его подписал Ельцин, заявивший на весь мир "о прекращении 4-х векового военного противостояния России и Чечни" и о том, что "отныне все вопросы будут решаться только за столом переговоров политическим путем" Вся логика событий указывает на то, что захваченные федералами во время военных действий или сдавшиеся в плен боевики, а также лица подозреваемые в принадлежности к ним, являются по сути дела военнопленными, подпадающими под Женевскую конвенцию. По международным нормам нельзя скрывать от международной общественности их имена, содержать их вместе с уголовнилками, держать в бетонных ямах, морить голодом, избивать, подвергать пыткам или расстреливать без суда .

Однако российские власти, голословно назвав военные действия в Чечне "антитеррористической операцией", отказывают вышеперечисленной категории лиц в статусе военнопленных. Людям, поднявшимся на защиту своего народа, уготовлен другой статус, статус уголовников, подпадающих под одну из тяжелейших статей УК РФ - "участие в незаконных бандформированиях".

Однако и уголовник в нашей стране по Конституции не бесправен. Он имеет право на ордер на арест, на предъявление в установленный законом срок обвинения, на общение во время следствия с адвокатом.. Он также имеет право на то, чтобы на допросах его не жгли сигаретами или раскаленным железным прутом; не пытали элктрическим током, не угрожали напрочь отрезать половой член, для убедительности угрозы демонстративно надрезая его у основания... Именно такое, и не только такое происходит сегодня в фильрационных лагерях в Чечне и прилежащих к ней областях. Если какой-то части узников фильтралагерей (например, захваченным с поличным на поле боя или при установке фугаса) и было предъявлено обвинение и даже выписан (пусть задним числом) ордер на арест, то огромное их количество сидит без всяких на то юридических обоснований. Они просто посажаны и все! Отданы в полную власть своим палачам-садистам! Что касается адвокатов, то пока неизвестно ни одного случая допуска адвоката в фильтрационный пункт ("Экспресс-Хроника", (апр., 2000 г, с.), "Интернаты от российской армии"; Правозащитный Центр "Мемориал" (москоа), "Обращение к Членам Парламентской Ассамблеи Совета Европы", сент. 2000 г., В. Попков, благотворительная организация ''Гражданское содейситвие"(Москва) и Н. Эстемирова, Приемная Правозащитного Центра "Мемориал" в Назрани (Ингушетия), "Несколько интервью с участниками чеченской трагедии. Свидетельства очевидцев" -материал был распространён среди членов ПАСЕ, Страсбург, сент. 2000 г.).

Если учесть, что в "фильтрационных пунктах" избивают и пытают с потерей здоровья практически всех, а также то, что известны случаи тайных групповых бессудных расстрелов заключённых, можно с уверенностью сформулиовать и осуществляемую на практике, официально, разумется, не объявленную задачу "фильтрации": уничтожить или превратить в инвалидов как можно большее количества чеченских мужчин (в каждом из них российские власти видят потенциального боевика). Т.е. доделать то, что не удалось сделать за время военных действий. Все это легко вписывется в схему геноцида, причём осуществляемого в рамках государственной политики. По данным газеты ,,Коммерсант-ле Монд" (15 февр. 2000 г.),"Москва планирует пропусить через "фильтрационные пункты" 150 тыс. чеченцев"

Помимо расположенных в военных частях и на блок-постах временных мест содержания задержанных (чаще всего это просто глубокие иногда забетонированные ямы), "фильтрация" сегодня осуществляется; в Чернокозово, Грозном, Гудермесе, Ханкале, Урус-Мартане (здание бывшей школы, ироническое название "интернат"), Ачхой-Мартане, Аргуне, в селении Толстой-Юрт (подземный бункер). Горагорске, Горячеводске, в селе Соны (Шатойский район), на станциях Кади-Юрт и Червленая-Узловая (специально оборудованные вагоны - "вагонзэки"), в перемещающейся колёсной тюрьме (Грозный - Гудермес - Червлёная-Узловая - Кади-Юрт), в Моздоке, Ставрополе, Пятигорске и др. И везде практикуются жестокие, садистские пытки, и везде существует практика откупа, и есть даже система расценок: за выход на свободу, за сохранение жизни, за сохранение здоровья...

Ну а те, чьи родственники не могут их выкупить, но кого, однако, по какой-то причине не расстреляют, не забьют, не запытают до смерти, кому посчастливится дойти до суда, те, получив по своей статье максиальный (если устоял против вербовки в стукачи) срок, отправятся на зону, в надежде, всё-таки когда-нибудь вернуться домой. А на зоне их поджидают, озлобленные неволей, одураченные, как большинство россиян, уголовники, убеждённые в том, что дома в Москве подняли на воздух чеченцы и взрыв на Пушкинской площади организовали тоже они, Да еще и кум будет на чеченцев-зэков уголовников науськивать, у него наверняка инструкция.,

Политику Кремля по отношению к пленным чеченцам осуществляют армия, МВД, ФСБ и Министерство Юстиции... Президент В. Путии (можно не сомневаться) во всех деталях осведомлён о том, как эта политика претворяется в жизнь. Генеральная и Военная прокуратуры Российской Федерации - главные гаранты соблюдения в стране законности - молчаливо потворствуют всему этому

*Владимир Крыловский*
*Нью-Йорк.*
*Тел. (718) 256-8024*

*დასასრული მე-13 გვ.*

# მარნეულის საკონსერვო ქარხანა სხვა დიდი „გიგანტების" ბედს იზიარებს

ჩვენს გაზეთში არაერთი წერილი მივუძღვენით იმ სისტემის მუშაობას და მისი რეზერვების გამოყენებას ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად, რომელსაც ცეკავშირი ეწოდება და რომელსაც ახლო წარსულში, კომუნისტების რეჟიმის დროს „სახელმწიფო სახელმწიფოში" უწოდებდნენ მაშინდელი სახალხო მეურნეობისათვის მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო.

სამწუხაროდ, ისევე, როგორც ყველა დარგი ჩვენი ეკონომიკისა, ცეკავშირსაც მძიმე მდგომარეობა შეექმნა და უნდა ითქვას, ეს არა მხოლოდ ამჟამინდელი მისი მმართველების ბრალი, არამედ იმ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგიცაა, რომელიც ჩანასახშივე კლავს ყოველგვარ ინიციატივას, საქმის კეთების სურვილს.

ქვეყანაში რომ საწარმოთა უმრავლესობა გაჩერებულია, ეს არაა ახალი ამბავი. უბედურება ისაა, რომ ჯერ-ჯერობით არც პერსპექტივა ჩანს იმისა, რომ წლობით გაჩერებული, ნახევრად გაძარცული, განადგურებული ფაბრიკა-ქარხნები ამოქმედდეს, მუშახელი დასაქმდეს და ეროვნულმა პროდუქციამ დაიკავოს ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზარი.

დღეს მარნეულის ქარხნის მაგალითზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ გადამამუშავებელი, მრეწველობის პრობლემებზე მთლიანად, რესპუბლიკაში, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს გადაწყვეტას და რომლის ამუშავებაზეც ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება, და რაც არ არის მარტო ცეკავშირის პრობლემა, იგულისხმება ქვეყნის გლობალური ინტერესები სამომავლოდ. მთავარი აქცენტი კი უნდა გაკეთდეს ეროვნული პროდუქციის გადამუშავებაზე და ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზის დაცვაზე.

თუ ამას ყველაფერს მხარი არ დაუჭირა მთავრობამ, პარლამენტმა, კანონმა, გადასახადების, ფინანსთა, ეკონომიკის სამინისტროებმა, მაშინ შესაძლებელია ერთი დასკვნის გაკეთება - მავანს და მავანს არ აწყობს რესპუბლიკაში საკუთარი პროდუქციის გამოშვება და ეკონომიკის გაძლიერება ეროვნული პროდუქციის ხარჯზე.

ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს მარნეულის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარესთან, ბატონ ვახტანგ ბარლიანთან რომელთანაც საუბარმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ პრობლემები ამ დარგში უამრავია, მაგრამ თუ ხელისუფლების მიდგომა შეიცვალა, შეიძლება საქმე გამოსწორდეს.

*- ბატონო ვახტანგ, განუკითხაობამ, გამეფებულმა ქაოსმა და ანარქიამ ცეკავშირის, ანუ ქართული კოოპერაციული მოძრაობის წლობით ნაგროვები ქონება ძლიერ დააზარალა, უმეტესი შენობა-ნაგებობა გაიძარცვა, დაიმსხვრა და განადგურდა ტექნიკა, რამაც გარკვეულ პერიოდში აღნიშნული დარგის სრული გაჩერება გამოიწვია. ამ მხრივ არც მარნეულია გამონაკლისი. რა მდგომარეობაა მარნეულის რაიონში?*

- გეთანხმებით, მარნეულის რაიონი არ არის გამონაკლისი. ცეკავშირის კუთვნილი შენობა-ნაგებობები მართლაც სავალალო მდგომარეობაშია. ალბათ, ამ შემთხვევაში უმჯობესია ის შენობები, რაც გვჭირდება, დავიტოვოთ, დანარჩენი გავყიდოთ. ვინაიდან დაკეტილი ნაგებობა ვერავითარ მოგებას ვერ გვაძლევს და დღითიდღე ნადგურდება. მყიდველი არ არის. დანგრეული შენობა არავის არ უნდა...

*- საბაზრო ეკონომიკამ და აქედან გამომდინარე მომძლავრებულმა კერძო სექტორმა, კერძო ფირმებმა თუ საწარმოებმა ინიციატივა აიღეს ხელში, რამაც ჩრდილში მოაქცია ადრინდელი მსხვილი საწარმოები. რა მდგომარეობაშია ისეთი გიგანტი როგორიც მარნეულის საკონსერვო ქარხანაა?*

- მარნეულის საკონსერვო ქარხნის პრობლემა ის საკითხია, რომელიც მთლიანობაში უნდა იქნას განხილული. ეს გიგანტი, რომელსაც წლიურად 35 000 ტონა პროდუქცია უნდა გადაემუშავებინა და რომლის საერთო ფართი 16 000 $м^2$-ია, გაჩერებულია და აუცილებლად უნდა გაიყიდოს. მაგრამ მისი გაყიდვა საეჭვოა. ვინაიდან არავის სჭირდება გიგანტი, რომელიც, მოგება რომ ნახოს, სრული თუ არა, 80%-ით მაინც უნდა დაიტვირთოს, დღეს უფრო მოსახერხებელი გახდა მცირე საწარმოები. მარნეულის ქარხანა სხვა დიდი საწარმოების ბედს იზიარებს.

*- როგორც ამბობენ, გაიყიდა მარნეულის სავაჭრო ცენტრი და კოოპუნივერმაღი. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს.*

- მარნეულის სავაჭრო ცენტრი და კოოპუნივერმაღი შეტანილი იყო გასაყიდ ობიექტთა სიაში. მაგრამ ვინაიდან მისი საბალანსო ღირებულება ძალიან დიდია, 120 000 ლარი, ხოლო საბაზრო ღირებულება 98 000 ლარი, ამ თანხის გადამხდელი მარნეულის რაიონში არ მოინახება...

*- ე.ი. ეს ობიექტი ოფიციალურად შეტანილი გაქვთ გასაყიდ ობიექტთა სიაში, მაგრამ არ გაყიდულა, ვინაიდან მყიდველი არ არის.*

- დიახ. ასევე შეტანილი გვაქვს გასაყიდ ობიექტთა სიაში ჯანდარის კოოპუნივერმაღი, რომლის საბალანსო ღირებულება 72 000 ლარია, საბაზრო კი 65 000 ლარი. ობიექტი მთლიანად არის დანგრეული, განადგურებული, რამდენჯერმე აუქციონზეც გავიტანეთ. იქნებ როგორმე ვინმეს ეყიდა და პატრონი გამოსჩენოდა. მაგრამ ამაოდ. ახლა ცეკავშირში დაყენებული გვაქვს საკითხი, რომ ეს ობიექტი ჩამოიწეროს.

*- ჩამოწერაში რას გულისხმობთ?*

- ეს შენობა, ჩვენი აზრით, დღესდღეობით გამოუყენებელია, არც არანაირი პერსპექტივა არ არსებობს, ვიხდით ქონების და მიწის გადასახადს, ჩამოწერაში ვგულისხმობ შენობის დაშლას და მასალებს, რაც გამოსაყენებელია, ავიღებთ შემოსავალში და შემოვიტანთ სალაროში. ეს არის დაახლოებით 4-5 ათასი სამშენებლო ბლოკი, აგური, შიფერი...

*- არის საუბარი იმაზეც, რომ მარნეულის რაიკოოპერატივს ერიცხება 229578 ლარი დავალიანება. რა დავალიანებაზეა საუბარი?*

- ეს ფქვილის დავალიანებაა. საწყისი თანხა ნაკლები იყო, მაგრამ შემდეგ დაერიცხა საჯარიმო სანქციები და გაზდა ეს რაოდენობა. ცეკავშირს რომ ედავებიან ფქვილის თანხები მიითვისა, გაანიავა, არ არის მართალი, მარნეულის მაგალითზე მოგახსენებთ: 1996 წ. შემოტანილი იყო დაახლოებით 160 000 ლარის ღირებულების ფქვილი, რომელიც განაწილდა როგორც კერძო პირებზე, ასევე ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებზე. მარნეულის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივს ფქვილი, რა თქმა უნდა, არ დაბრუნებია არც ნატურით და არც თანხით. ეს საქმე გადაეცა სასამართლოს. სასამართლოს წესით მარნეულის ყოფილი სოფლის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარეს აკოშ კარაევს დაეკისრა ამ თანხის გადახდა. ეს ყველაფერი ხდებოდა ჩემს მოსვლამდე. ჩემი მოსვლის შემდგომაც რამდენჯერმე მივმართეთ სასამართლოს, აღმასრულებელს, მაგრამ მოპასუხე ამბობს, არ მაქვს და რით გადავიხადოო. არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, რომ გაუყიდონ სახლი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სახლი მისი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად არ ეკუთვნის.

*- ასევე საუბარია იმაზეც, რომ გაიყიდა 9 ობიექტი ნარჩენ ღირებულებაზე დაბალ ფასში, რომლის საერთო თანხამ შეადგინა 27 572 ლარი.*

- ერთი რამ შემიძლია გითხრათ, ერთპიროვნულად რამე გადაწყვეტილების მიღების და რომელიმე ობიექტის გაყიდვის უფლება არავის არა აქვს, გარდა მარნეულის სამომხმარებლო კოოპერატივისა. ჩვენთან არის სოფლის სამომხმარებლო კოოპერატივები. გაყიდვა ხდება ასე: მაგალითისთვის, დავუშვათ, სოფლის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარეს თუ უნდა რომელიმე ობიექტის გაყიდვა, რომელიც უმოქმედოა და არარენტაბელური, განცხადებით შემოდის, ჩვენ ადგილზე ვამოწმებთ, რამდენად შეეფარდება სინამდვილეს და თუ დადასტურდა, შემდგომ შუამდგომლობას ვაკეთებთ ცეკავშირთან. ასე, რომ ეს არც თუ ისე იოლი პროცედურაა. შორიდან რომ გეჩვენებათ.

*ესაუბრა იზოლდა ცირდავა*

P.S. ცეკავშირის თავმჯდომარემ ბატონმა გოგი ქათამაძემ სწორად შენიშნა: „ცეკავშირზე დღეს, რატომღაც წარსულში ლაპარაკობენ... ამ დროს, თუ ხელის შეწყობა იქნება, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს არის საუკეთესო ოაზისი...

**...და ცამდე მართალი იყო აჭარის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარეც „გარედან ზორუმი იოლია"-ო, რომ ბრძანა.**

# რუსეთი „ეკონომისტის“ თვალით

მე-5 გვერდიდან.

მის ხელი არ განძრია. კურსკის ახალარჩეულმა გუბერნატორმა მიხაილოვმა თქვა, ჩემს ბრძოლას „ებრაული ხრწნილების“ წინააღმდეგ პრეზიდენტი მხარს უჭერსო. კრემლმა დატუქსა იგი, მაგრამ მხოლოდ „სისულელისთვის“, ხოლო პუტინის წარმომადგენელმა თქვა, ეს მიხაილოვის „იდეოლოგიური პოზიცია არ არისო“.

ებრაელებს რუსეთში სრული რელიგიური თავისუფლება აქვთ, მაგრამ სხვა რელიგიებს, განსაკუთრებით – უცხოსახელიანებს არა. „ხსნის არმია“ ყოველ ზამთარს 6000 მშიერს კვებავს რუსეთში, მაგრამ ათობით ათასი დოლარი დაახარჯვინეს სასამართლო დავებში რეგისტრაციის თაობაზე. ვატიკანი კი პრობლემებს აწყდება თავისი სამღვდელოებისათვის ვიზების მიღებაში.

ეთნიკურ უმცირესობებს, რომლებსაც ებრაელებივით ფართო მხარდაჭერა არა აქვს უცხოეთიდან, ხშირად ძალიან უჭირთ. ოფიციალურ რიტორიკაში „ისლამისტი“ და „ტერორისტი“ ლამის სინონიმებია. არარუსებისთვის თავისი ენისა და კულტურის შენარჩუნების მცდელობას ყოველთვის შეიძლება „სეპარატიზმი“ ეწოდოს. ჩეჩნეთის ომი რომ დაიწყო, მოსკოვში ათასობით ჩეჩენს ხელი მოუსვეს და ქალაქიდან გაყარეს. ყველა მუქკანიანს პოლიცია პრობლემებს უქმნის დოკუმენტების ზედმეტი სინჯვით, დაკავებით ან უარესითაც კი.

ჩეჩნეთის ომი, რომელიც აგერ 15 თვეა განახლდა და ბოლო არ უჩანს, ჩრდილავს რუსეთის დემოკრატიის ყველა სხვა პრობლემებს. „რათქმა უნდა, დემოკრატიებიც აწარმოებენ ომებს, ზოგჯერ ძალიან სისხლიანსაც კი. ვისაც უნდა, ხაზი გაუსვას რუსეთის უნიკალობას ამ მიმართულებით. არ უნდა დაივიწყოს არც გეოგრაფიული (თურქები და ქურთები) და ისტორიული (საფრანგეთი და ალჟირი) ანალოგიები და არც ადამიანთა გატაცების ინდუსტრია ჩეჩნეთში. მიუხედავად ყოველივე ამისა, ის, თუ როგორ აწარმოებს რუსეთი ომს, განსაკუთრებით – როგორ ეპყრობა ტყვეებსა და ლტოლვილებს, აღმაშფოთებელია და არაპროდუქტიული. „ჰიუმენ რაითს უოჩის“ გრძელი მოხსენება გვიხატავს ჩეჩენი დაკავებულების, მათ შორის – ქალების, ახალგაზრდებისა და მოხუცებულების წამებას. ბევრი ჩეჩენი დაპატიმრებულია მხოლოდ გამოსასყიდი თანხის გამოძალვის მიზნით. „ინტერნეშენელ ემნისტი“-ს წარმომადგენელი ალექს ანდერსონი ამბობს, ჩეჩენ პატიმრებთან მისასვლელი რომ არსებობდეს, პოლიტპატიმართა მრავალათასიან სიას მივიღებდით“.

„პრობლემა, რომელიც ყოველივე ამას საფუძვლად უდევს, ისაა, რომ რუსეთს არ გადაუწყვეტია – და, ნამდვილად არც კი დაფიქრებულა ჯერ იმაზე, – როგორი ქვეყანა უნდა, რომ იყოს. რუსეთის ფედერაცია, არსებითად, რუსული იმპერიაა, რომელშიც მცირე რაოდენობით არარუსებიც, მეორე ხარისხის მოქალაქეები ცხოვრობენ? თუ, პირიქით, იგი შეიძლება გახდეს მრავალეროვანი (მრავალნაციონალური) ქვეყანა, სადაც, უბრალოდ, ისე მოხდა, რომ რუსული ენა და კულტურა მთავარი ენა და კულტურაა, მაგრამ ყველა დანარჩენნი, რომელნიც მოსახლეობის მეექვსედს შეადგენენ – თათრები, ყალმუხები და სხვანი – შეიძლება ასევე შინ მყოფად გრძნობდნენ თავს და ისეთივე პატივცემულნი იყონ, როგორც ესპანური მოდგმის მოქალაქენი არიან აშშ-ში და შვედური უმცირესობა – ფინეთში? საკითხის ეს გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, უკეთესია, თუმცა არაერთმა ლიბერალურმა და განვითარებულმა დემოკრატიამ, აშშ-ს ჩათვლით, დიდად იჩქარა სხვადასხვა მოდგმათა ადამიანების ასიმილირება.

ასეა თუ ისე, რუსების უმრავლესობას, რომელიც შეჩვეულია, თავისი თავი უპრობლემოდ პირველ ხალხად ჩათვალოს საბჭოთა კავშირში, ძალიან უჭირს სერიოზულად მოეკიდოს ეთნიკურ უმცირესობებს.

რუსეთის პოლიტიკური სისტემის მეორე დიდი მინუსი, რომელიც აგრეთვე ჩეჩნეთის ომმა გამოაჩინა, არის სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლის სისუსტე. თუმცა არჩეულ დუმას სხვა კომიტეტებითურთ და მედიას აქვთ რაღაცა საშუალება, ასე თუ ისე თვალყური ადევნონ დარღვევებს, არმია მაინც მრავალი მხრივ თავისთავის კანონმდებლად რჩება. კორუფცია აქ ყოვლის წამლეკავია.

ეს მდგომარეობა შეიძლება ცოტა გამოასწოროს რეფორმების თამამმა გეგმებმა, რომელიც პუტინმა გამოთქვა ნოემბრის დასაწყისში. მაგრამ აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, რეფორმები მომდინარეობს მხოლოდ ხელისუფალთა ვიწრო წრის ნებიდან და არა ხალხის მასობრივი ნებიდან, რომელმაც პოლიტიკური სისტემის არსში გამოიარა. პუტინის მთავარი გულისტკივილი არმიაზე ის არის, რომ იგი ხარჯიანი და უეფექტოა, და არა ის, რომ იგი გულმხეცი და უკანონოა.

მთავრობის რეფორმაც ამის მსგავსი მაგალითია. აქაც მოსაწონია, თავისთავად, ის, რომ რეფორმა მოხდეს. რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო რაღაცის გაკეთება იმ კორუმპირებულ და არაკომპეტენტურ ადამიანთა მიმართ, რომლებიც დღეს რუსეთის პროვინციას მართავენ. ბატონ პუტინის პასუხი ამ პრობლემაზე ისაა, რომ ხელისუფლების აღებისთანავე დანიშნა თავისი 7 წარმომადგენელი და თითოს თორმეტიოდე რეგიონის მეთვალყურეობა დაავალა. ამათში ხუთს სამხედრო ან უშიშროების ფონი აქვს ამათ თვალი უნდა ეჭიროთ გუბერნატორებზე, განსაკუთრებით – მაშინ, როცა მათ ფედერალური კანონებისგან განსხვავებული კანონები აქვთ შემოღებული. ეს 7 წარმომადგენელი ძალიან კარგია ადგილობრივი ტირანების მოსათოკად, მაგრამ არავითარ ინტერესს არ იჩენენ, რომ მათ სანაცვლოდ უფრო დემოკრატიული რამ შემოიტანონ ხალხთან კავშირი არა აქვთ, მედიას არ ასალისებენ. ადგილობრივ ტირანთა დათრგუნვა შერჩევითია. მაგ., მოსკოვში ამდენხანს არსებობს ანტიკონსტიტუციური წესი, რომ იქ ცხოვრების უფლებას ნებართვა სჭირდება. ეს უდიდესი უსამართლობის და მექრთამეობის წყაროა. ეს შესაძლოა სასარგებლო იყოს წესრიგისა და ბიზნესისთვის, მაგრამ რუსეთის რეგიონთა დემოკრატიას ხელს ვერ შეუწყობს.

### ცოტა შეკავება, ცოტა ბალანსი

რუსეთში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ყველა პრობლემები სამ რამეზე დაიყვანება: საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და სამოსამართლო ხელისუფლებაზე (სხვა არც არსებობს, რეალ). არც ერთი არ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა. კანონებს აჩქარებით იღებენ. პარლამენტს არც უნდა და არც ძალუძს მაღალ მოხელეებს ანგარიში მოსთხოვოს. თანამდებობის პირები ლახავენ ადამიანის უფლებებს (ან თავისით, ან ზევიდან ბრძანებით). ზანტად და არაორგანიზებულად მუშაობენ. სასამართლოები თითქმის ვერ ასრულებენ თავისუფლებისა და წესრიგის დამცველის ფუნქციას.

რუსი პარლამენტარები თავის ფუნქციას დიდწილად იმაში ხედავენ, რომ ხმა მისცენ, როცა ეტყვიან (ან გადაუხდიან), და არა იმაში, რომ ამომრჩეველთა სატკივარს მოუარონ. პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის პატიოსანი სახელმწიფო ადმინისტრაციის და კანონის მმართველობის შექმნა მხოლოდ იმათ შეძლეს, ვისაც იგი 1945 წლამდე ჰყავდა. რუსი ბიუროკრატები გონივრულად მოქმედებენ: პატიოსნებისა და შედეგიანობის საზღაური ხომ მცირეა, ისევე როგორც სასჯელი მექრთამეობასა და სიზარმაცისთვის.

მოსამართლეები მოუმზადებლები არიან და დიდი გარეშე ზეწოლა აქვთ. მათ ცუდად უხდიან. თითქმის ყველა კრიმინალურ საქმეზე განაჩენი პატიმრობაა. ნაფიცთა სასამართლო მხოლოდ 89 რეგიონშია.

საქმის გასწორების პერსპექტივა ძალიან ნაკლები ჩანს. ძალაუფლების კონცენტრაციამ გასული წლის მანძილზე ვითარება უფრო დაამძიმა. ჟურნალი იმოწმებს რუსი უფლებადამცველი ალექსეევას სიტყვებს „ჩვენ გვინდოდა ძლიერი სახელმწიფო, რათა ბიუროკრატები იძულებულნი ყოფილიყვნენ კანონს დაემორჩილონ. მაგრამ პუტინი სახელმწიფოს ძლიერებას ბიუროკრატიის ძლიერებაში ხედავს“.

ყოველივე ეს მხოლოდ რუსეთის მმართველთა ბრალი კი არაა, არამედ საზოგადოების განწყობისა და ქცევისაც. ჯერ ერთი, რუსები თვითონ ფიქრობენ, რომ მათი კანონები ცუდია და სინდისი არ ქენჯნით მათ დარღვევაზე. მეორეც, მათ ნაკლები ნდობა აქვთ ჩივილის ფორმალური გზებისა. იმავე უფლებადამცველის სიტყვით, პრობლემები რომ უჩნდებათ, ისინი ქრთამს, პირად კავშირებს და ძალას მიჰმართავენ“, და არა სამართალს.

„ტოტალიტარიზმის ათწლეულებისა და ავტოკრატიის საუკუნეების შემდეგ უგნურება იქნება, რუსეთში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების სოკოებივით ამოცენებას რომ მოველოდეთ. ბევრია ისეთი ქვეყნები, სადაც არასასიამოვნო სიმკაცრით ეპყრობიან „მიმწოლ“ უცხოელებს და ეთნიკურ უმცირესობებს, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც გონივრულად სტაბილური და კომპეტენტური მთავრობები ჰყავთ, რომლებიც აცხრებენ, რომ წლიდან წლამდე მდგომარეობა გაიუმჯობესონ. ბევრი რუსი ამასვე ისურვებდა. შესაძლოა, პუტინსაც ეს უნდა. თუ მან ეს გააკეთა, ბევრი უცხო ქვეყანა შვებით ამოისუნთქებს“.

რუსეთის დღევანდელი ეკონომიკური სტაბილობა საზივათოდ ემყარება ნავთობის მაღალ ფასებს მეურნეობის დიდი ნაწილი ჯერაც დანგრეულია [illegible] და [illegible] ჩატარებული რეფორმის შემდეგ. „ბევრი რუსი ფიქრობს, რომ, შემდგომი უკუსვლის შემთხვევაში, მთავრობამ შეიძლება განიზრახოს „მობილიზაციური ეკონომიკის“ შემოღება, ანუ დაგეგმვის და კონტროლის გაზრდა. თუ ეს მოხდა, პოლიტიკური თავისუფლებებიც დაზარალდება და ეკონომიკურიც“.

გარდა ამისა, კრიტიკის ჩახშობას მოაქვს ცუდი პოლიტიკის განგრძობა და გულგატეხილობა. მწვანეთა დათრგუნვა, ნაცვლად მათი სიტყვის მოსმენისა, შანსს არ უტოვებს რუსეთს, რომ თავისი გაწიოკებული გარემო გაატყიანოს. პროფკავშირებისათვის ხელშეშლა იმას გამოიწვევს, რომ ინდუსტრიაში სამუშაო ადგილებიც ცუდ მდგომარეობაში დარჩება. ეთნიკური უმცირესობები, რომელთაც ენისა და კულტურის სიკვდილი ემუქრებათ, ბომბებს მიჰმართავენ.

### ავტორიტარიზმის ცდუნებანი

მძიმე ხელით მოქმედების ჩვევები უვითარდებათ ხოლმე მმართველებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ ქვეყანაში ბიუროკრატია ძალიან არაკომპეტენტურია. პუტინი, საერთოდ, ერიდება იმას, რომ ავტორიტარული გამოჩნდეს. იგი ერიდება საზღვარგარეთ თავისი სახის წახდენას. ზოგ კონკრეტულ საკითხზე, როგორც, მაგალითად, ჩეჩნეთზე იგი თავხედურად ცდილობს აისხლიტოს კრიტიკა საზღვარგარეთიდან, ნაცვლად იმისა, რომ თავისი მკაცრი ხელქვეითები მოთოკოს. მაგრამ იგი ამჟღავნებს იმის ნიშნებს, რომ მუშაობაში რაღაცას სწავლობს, და თუ ავტორიტარული ინსტინქტები აქვს კიდეც, გამოცდილებამ შეიძლება მათი გაკონტროლება შეაძლებინოს.

ჯამში, რუსეთის შესახებ საფუძველი არსებობს ოპტიმიზმისთვისაც და პესიმიზმისთვისაც. როცა საქმე საქმეზე მიდგება – მაგალითად, ზოგადეროვნული განსაცდელის შემთხვევაში, – მაშინ რუსული დემოკრტიის გარანტად დგომა ბოლო ათი წლის მონაპოვრებს დაეკისრება. იგივე რუსი ნადისიდენტარის სიტყვით, „საზოგადოებას შეუძლია თავისთავის დაცვა“.

# ТЕХНОЛОГИЯ ЛЖИ ИЛИ ЛАПША РОССИЯНАМ НА УШИ

მე-12 გვერდიდან.

### ДОЛЖНЫ ЛИ ПРАВОЗАЩИТНИКИ ЗАЩИЩАТЬ ПРАВА ЧЕЛОВЕКА?

Роясь на днях в газетных подшивках, я наткнулся на коротенькое, но очень содержательное интервью с известным инакомыслящим советских времён, одним из основателей Московской Хельсинкской группы Юрием Орловым ("Новая газета", № 23, 27-30 июля 2000г.) Интервью это как-то прошло мимо меня, а сегодня, прочтя его, я удивился, что за прошедшие несколько месяцев ни одно издание, насколько мне известно, не выступило ни с какими контраргументами. Суть высказываний Ю. Орлова с водится к тому, что российские правозащитники не. должны заниматься вопросами прав человека вЧечне.

Неловко как-то оппонировать заслуженному, признанному во всем мире борцу за права человека И всё же...

Призывая выработать чёткую правозащитную позицию по отношению к освободительным движениям, Ю. Орлов, явно имея в виду Чечню, сказал: "Уверен, что, если и жертвы и репрессивный режим нарушают права человека, мы не должны принимать ничью сторону в политической борьбе..."

Возражу. "Нарушение репрессивным режимом прав человека" - часто не что иное, как государственный терроризм. Это когда человека записывают (нередко априори, без какого-либо расследования) в преступники, и на него без всяких правил и условий обрушивается вся мощь государственного карательного аппарата - спецслужбы, правоохранительные органы, прокуратура, иногда даже (как в случае с Чечнёй) - армия! А ведь государство обязано с каждым, даже если он и в прямь оказался бандитом, обращаться по закону и только по закону, на то оно и гарант Конституции! И следить за этим - дело именно правозащитников, защищающих человека не по принципу "хороший - плохой", а потому, что нарушаются его человеческие права. Сегодня, когда жертвой государственного произвола стал целый народ, это особенно актуально.

Ю. Орлов считает, что дело правозащитников - собирать материал о нарушении прав человека и передавать его в ОБСЕ, "а не останавливать войны". Насчёт сбора материала кто же спорит? А вот войны... Убеждён, что правозащитники должны делать всё возможное, чтобы остановить любую войну, если сквозь дым её пожарищ и лживую болтовню политиков проступает страшная харя геноцида.

Дальше - больше. На вопрос "всё ли от них зависящее сделали российские правозащитники, чтобы предотвратить массовые нарушения прав человека в Чечне", Ю. Орлов отвечает: "Сейчас в России совсем другой этап правозащитного движения... Нужно, чтобы правозащитники работали на местах, защищая прежде всего социильцобиовые права людей - зарплаты, пенсии, пособия..."

Прочтя такое, оторопел. Не могу представить себе, чтобы кто-то из известных мне правозащитников, пробивая пенсию обездоленной бабуле, остался бы равнодушным к судьбе гибнущих под российскими бомбами чеченских женщин и детей, к гуманитарной катастрофе четверти миллиона чеченских беженцев, к пыткам в российских фильтрационных пунктах, к намерению российских военных (кстати, неосуществлённому благодаря именно правозащитникам) подвергнуть проверке на лояльность мужчин от 19 (!) до 60 лет.

Но и это оказалось ещё не всё. Ю, Орлов считает, что "главная проблема в России с точки зрения прав человека" это не Чечня, а то "как далеко откатится наша политическая система от демократии" и, как приговор: "Чечня - вообще не правозащитная проблема, а политическая. Поэтому мы (правозащитники - В.К.) не должны этим заниматься".

При всём глубоком увожении к Ю. Орлову, не могу согласиться и этим (прямо "наповал") постулатом. Вопрос о независимости Чечни, - действительно проблема политическая. Все же неприглядные деяния российских военных на чеченской земле, перечислить которые в этой статье невозможно, - компетенция не только международного суда в Гааге, но и правозащитников. Достаточно вспомнить одну горькую фразу Аслана Масхадова, сказанную им как-то в интервью; "Скоро не останется ни одней чеченской женщины, способной рожать...".

Что касается "отката нашей политической системы от демократии", то спору нет, этот вопрос действительно широко включает в себя также и правозащитный элемент. Но сегодня именно проблема Чечни обуславливает степень такого отката на ближайшее будущее.

Агрессия в Чечне дала толчок широкому изощрённому манипулированию общественным сознанием. Россиян впервые за постсоветский период как бы переместили в дезинформационное поле, где они сразу, сами того не заметив, утратили свободу, ибо оболваненный народ уже не свободен. Общество погрузилось в атмосферу подозрительности, насилия, страха; резко обесценилась человеческая жизнь. Как результат всего этого, к власти пришли далёкие от демократических идеалов представители спецслужб; стало возможным без всякой оглядки на интересы граждан начать государственное переустройство, несомненно отдаляющее страну от демократии; как продолжение этой линии, президент заговорил об изменении Конституции, и многим уже понято, что это могут быть за изменения; "не мытьём, так катанием" идёт мощное наступление на независимые средства массовой информации; вновь оказались востребованными методы Генпрокуратуры, бывшие у ней на вооружении во времена Вышинского; спецслужбы официально устанавливают тотальный контроль за всеми видами телефонных переговоров и перепиской граждан. Процесс, утряты демократических завоеваний, начавшийся с первыми "точечными" ракетными ударами по Чечне, неумолимо набирает обороты.

Я утверждаю, что сегодня "главная проблема в России с точки зрения прав человека", в том числе и в сфере "отката политической системы от демократии" именно Чечня со всеми вытекающими отсюда для правозащитников выводами.

*Владимир Крыловский*
*Нью-Йорк*
*(718) 256-8024*

მწვავე თემა

# პოლიტიკური ანთროპოლოგია

## ანუ «არასრულფასოვანთა საზოგადოება»?

დამთავრდა XX საუკუნე. მსოფლიო ჩართულია ინტეგრაციის პროცესში – ზოგი ეკონომიკურში, ზოგი პოლიტიკურში“ ერთადერთია რუსეთი, თავისი სატელიტებითურთ, უკან რომ მისჩანჩალებს პროგრესს – ისეთ შორ მანძილზე, რომ ვერც კი გაარკვევ, რომელი საუკუნის დონეზე იმყოფება...

თუ სსრკ-ს დაშლა გარეგნულად რევოლუციას ჰგავდა, არსებითად იგი აღმოჩნდა კონვულსიური მცდელობა დროის მოტყუებისა და ცივილიზაციის ლოკომოტივის ერთი ნახტომით დაწევისა. ამჯერადაც, ისე როგორც ეს არაერთხელ მომხდარა რუსეთში, კეთილი ზრახვა ჯოჯოხეთის გზა გამოდგა.

საბოლოო ანგარიშით მოსკოვის მიერ ეთნიკურ და სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებში ჩათრეულ საქართველოს, დიდი ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, – ამ შუასაუკუნეებრივი აღალის არიერგარდში ყოფნამ მოუწია. არსებული სტაბილობა სასაფლაოსას გვაგონებს. ეკონომიკურ ქაოსში ჩავარდნილი, სადაც მცირედთა ზღვისებური გამდიდრება უმრავლესობის კატასტროფულ გაღატაკებას ემყარება, იგი განუკითხაობის, გამათხოვრებისა და ხრწნის გრძელ ხანაში შევიდა.

მაგრამ, როგორც გინდათ ისე იმსჯელოთ, ძირითადმა „რევოლუციურმა“ ხდომილებებმა უკვე ჩაიარა. იმპერიის ნახევარდაშლა დამთავრდა. ერთ მუჭა მშიერ სახწარმონაქმნებს რუსეთის პერიფერიაზე ერთი წყვეტება აქვთ ატეხილი ყოფილ მეტროპოლიასა და დასავლეთს შორის, მათხოვრობენ კრედიტებს, ინვესტიციებსა და მფარველობას.

გადააგდეს რა ბოლშევიზმის ძველმანები, მათ განაცხადეს გამოსვლა „დემოკრატიული“, ყოველ შემთხვევაში – არა „გეგმური“ განვითარების გზაზე. მასიობრივი პოლიტიკური აქტივობის პერიოდი დამთავრდა, ჩემის აზრით, დრო დადგა, უკან მივიხედოთ და მომხდარის გააზრება ვცადოთ.

თუ კითხვებს დავსვამთ, თანმიმდევრობით, ბოლო წლების ცვლილებათა არსის შესახებ, მათ ერთ ძირეულ თავისებურებას დავინახავთ: თუმცა ეს იყო ნამდვილი რევოლუცია იდეოლოგიისა და პოლიტიკური ინსტიტუტების სფეროში, ამ ცვლილებებმა მაინც შედარებით მშვიდობიანად და, რაც მთავარია, ხელისუფლების მქონე ელიტის მინიმალური ცვლილებებით ჩაიარა.

ახლავე შევნიშნავ: ე.წ. ერთამორისი კონფლიქტები იმდენად სსრკ-ს დაშლის შედეგი არ იყო, რამდენადაც, ჯერ ერთი, ეთნიკური ელიტების ურთიერთკონფლიქტისა, რომელთაც საკუთრების გემრიელი ლუკმის გაყოფა ენდათ, მეორეც – რუსეთის გლობალური გეოპოლიტიკისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა იმპერიის შენარჩუნება. მაგრამ ეს კონფლიქტები არანაირად არ იყო რევოლუციური, ანუ ეს არ იყო კონფლიქტები ხალხსა და ელიტას შორის. ამ ცვლილებებში საყურადღებოა ის უცნაურობაც, რომ მათ მშვიდობიან ხასიათს სრულებით არ შეესაბამებოდა მათი სიმბოლური და ინსტიტუციური გაქანება. პარტნომენკლატურამ ფაქტობრივად არანაირი წინააღმდეგობა არ გაწია. მეტიც: საქართველოში პარტაქტივმა პირდაპირ შეუწყო ხელი ძალაუფლების გადაცემას უცნაური ამალგამისათვის, რომელიც დისიდენტთა ნაწილს, ნახევრად კრიმინალებს და სუკის მუშაკებს მოიცავდა.

და თუ რუსეთში 1991 წლის პუტჩისას გამოვლინდა ძველი მმართველი ელიტის სრული არსურვილი, რომ ძველი წესწყობილება აღედგინათ, რამაც ძველი რეჟიმის ყველაზე საკრალურ საფუძველთა მოშლა – სსრკ-ს ლიკვიდაცია და სკკპ ს ლიკვიდაცია – გამოიწვია, საქართველოში მისი შედეგი იყო ნომენკლატურის დაბრუნება კრიმინალებთან ერთად, რასაც ლოზუნგად „დემოკრატიული“ გარდაქმნები ჰქონდა.

გამსახურდიასა და მევარდნაძის ჯგუფთა შეჯახებაში, რომელთაგანაც პირველი „ჭეშმარიტად ეროვნულ ინტერესებს“ იმოწმებდა, მეორე კი „ჭეშმარიტად“ დემოკრატიულს, გაიმარჯვა უფრო ორგანიზებულმა და ამორალურმა. თუმცა ამან იმ ჯგუფისადმი კუთვნილობა ტაქტიკის საკითხიც იყო, მამასადამე – საკუთრებისათვის ბრძოლისაც.

მომხდარის თავისებურად დაკავშირებულია ძველი მობატონე ელიტის წინააღმდეგობის სწორედ ამ დუნე და რბილ ხასიათთან, რაც მკვეთრ კონტრასტშია ყველა რევოლუციების პრაქტიკასთან. საქმე ის გახლავთ, რომ ამ შემთხვევაში ვერ ილაპარაკებთ ძველსა და ახალ ელიტაზე. ელიტა მის მთლიანობაში, გარდა ერთეულებისა, ერთია და ყველა ის გრანდიოზული სიმბოლური და ინსტიტუციური ცვლილებები მმართველ წრეთა მინიმალური შეცვლით მოხდა.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ძველი რეჟიმის ერთ-ერთი ბურჯი და სკკპ-ს ერთ-ერთი ლიდერი შევარდნაძე რაღაცა გაუგებრობით დემოკრატი აღმოჩნდა. მან თავისი გარემო მთლიანად თავისი ძველი კადრებით ან მათი შვილებით და ნათესავებით დააკომპლექტა. ამას მის დასაგმობად არ მოგასხენებთ, რადგან ეთიკური შეფასებები აქ უადგილოა. ეს მხოლოდ გასაანალიზებელი ვითარების შედეგი გახლავთ.

უეჭველია, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, ბალტიის გარდა, სოციალური მობილობა უფრო უფრო დიდი არაა და მემკვიდრეობითობა უფრო მცირე არაა, ვიდრე ძველი რეჟიმის „უძრაობის“ პერიოდში იყო. ჩვენ სწორედ ამ თავისებურების გააზრება ვისახავთ მიზნად. მაგრამ მომხდარის აზრი რომ გავიგოთ, უნდა გავერკვეთ ის გამომწვევ ფაქტორებში, იდეოლოგიური და სოციალური პროცესების ჩათვლით.

ყოველ რევოლუციურ აფეთქებას წინ უძღვის ხანგრძლივი იდეოლოგიური პროცესი – ადამიანები თამობენ გაბატონებული, ძველი რეჟიმის მხარდამჭერი და ახალი ვითარებისათვის ადაპტაციის უნარმოკლებული იდეოლოგიის რწმენას. ამ იდეოლოგიის ჰკნობა, ბუნებრივია, იწყება განათლებულ წრეებში, რომლებიც სხვებზე ადრე ხედავენ მისი დოგმების შეუთავსებლობას რეალობასთან. ახალი იდეები გადის ხალხში, რომელშიც მუდამაა სოციალური პროტესტის პოტენციალი, და საბოლოოდ მასში ფორმირდება რევოლუციური იდეოლოგია. მისი შემოქმედნი და სულის ჩამდგმელნი, ჩვეულებრივ, ძველი ელიტის ყველაზე იდეალისტი და სოციალურად ყველაზე მარგინალური წარმომადგენლები არიან ხოლმე, რომელნიც რევოლუციის შემდეგ, ახალ დაწინაურებულებთან ერთად, ახალ ელიტას შეადგენენ ხოლმე. მამასადამე, ყველა რევოლუციური პროცესის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ხოლმე სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის სრული განახლება.

ასეთი პროცესი ყოველთვის რევოლუციას უძღოდა ხოლმე – ნიდერლანდებში იქნებოდა ეს, ინგლისში, საფრანგეთში თუ რუსეთში. ბუნებრივად მიდიოდა იგი „პერესტროიკამდელ“ სსრკ-შიც. მარქსისტული იდეოლოგიის ბოლშევიკურმა ინტერპრეტაციამ, 60-იანი წლებისთვის უკვე მკვდარ დოგმად ქცეულმა, პრაქტიკულმა ყოველივე მიმზიდველობა დაკარგა. მისი პროგნოზები არ მართლდებოდა და ცხოვრების რეალებიმას ეწინააღმდეგებოდა. თუმცა XX ს-ის დამდეგს იგი სავსებით ცოცხალი სულიერი ძალა იყო, 60-იანი წლებისთვის მან სავსებით დაკარგა უნარი ახალი სულიერი პროცესების აბსორბირებისა და საზოგადოება უფრო და უფრო ამჩნევდა მისი შინაარსის წინააღმდეგობას რეალობასთან. ბუნებრივია, რომ ოფიციალური იდეოლოგიის ეს დისკრედიტაცია უფრო იწვევდა ფართო სოციალური წრეების დემორალიზაციას, ვიდრე განათლებული ელიტისას, რომელსაც პირადი ინტერესი აიძულებდა ის ელაპარაკა, რაც არ სწამდა. იგივე ფაქტორი იწვევდა ელიტის ცინიზმს.

ბუნებრივია ისიც, რომ ზოგნი ვერ უძლებდნენ ტოტალურ სიცრუეს, ეთიშებოდნენ იდეოლოგიას, ხელს იღებდნენ კარიერაზე და ბრძოლას უწყებდნენ სახელმწიფოს.

ერთის შეხედვით, სპირალის ახალ ხვეულზე მეორდებოდა ის, რაც წინა რევოლუციებს უძღოდა. ადვილია ანალოგიების გავლება დისიდენტურ ჯგუფებსა და XX საუკუნის დამდეგის სალხოსნურ წრეებს შორის. მაგრამ ეს შედარება კორექტული არაა, თუმცა მისი გზით შეგვიძლია კოლოსალური განსხვავებები დავინახოთ.

ჯერ ერთი, დისიდენტობა რამდენიმე თანრიგით უფრო სუსტი იყო საუკუნის დამდეგის მოძრაობაზე – რაოდენობრივადაც, მორალურადაც, ორგანიზაციულადაც და, რაც მთავარია, იდეურადაც. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ 70-80-იან წლების საზოგადოებამ ვერაფერი შვა ისეთი, რაც შორეულად მაინც მოგვაგონებდა რევოლუციური და რეფორმატორული აზრის აღმავლობას 1905 და 1917 წლების ახლო ხანებში.

დისიდენტობის სისუსტე, უთუდ, უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია „პერესტროიკის“ შემამზადებელი პროცესებისა. იგი პირდაპირ დაკავშირებულია 80-90-იან წლების კატაკლიზმის თავისებურებებთან. რით აიხსნება ეს სისუსტე?

პირველ ყოვლისა, იდეოლოგიური აზრის სისუსტით, ისიც – არა იმდენად სსრკ-ში, რამდენადაც დასავლეთში. დასავლეთის გავლენა უდიდესი იყო, მაგრამ მხოლოდ როგორც კარგი ცხოვრების მაგალითისა, კომუნიზმის კრიტიკისა, თავისუფლების ღირებულების დამკვიდრებისა, მაგრამ არა როგორც რაიმე მთლიანობითი იდეოლოგიისა ამიტომაც დისიდენტობას სერიოზულად არ უცდია არც სახელმწიფო იდეოლოგიის რეფორმირება, არც ისეთი კონტრიდეოლოგიის შექმნა, რომელიც შედარებადი იქნებოდა საუკუნის დამდეგის აზრის მუშაობასთან.

დისიდენტობა იყო მხოლოდ კრიტიკული, გაბატონებული იდეოლოგიისადმი ნეგატიური განწყობილება. მან არ გამოიმუშავა არანაირი ფილოსოფია, მოწყობის არანაირი საკუთარი პროექტი, ისევე როგორც არ გამოიმუშავა მყარი ორგანიზაციული ფორმები, არ შექმნა პარტიები, ბრძოლის რაიმე მკაფიო მეთოდები, მკაფიო სტრატეგია და ტაქტიკა (რაც, რა თქმა უნდა, დაკავშირებული იყო მის მსოფლმხედველობრივ ჩამოუყალიბებლობასთან).

თუ რევოლუციონერთა მიზანია, შემნქან, სახელმწიფოს ორგანიზებული ძალის საპირისპიროდ, თავისი ორგანიზებული ძალა, დისიდენტობის მიზანი იყო ამორფული იდეა, ადამიანურ უფლებათა დაცვისა, თანაც ისე, რომ ეს სსრკ-ში არსებულ სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით ხდებოდა. სხვა სიტყვით: დისიდენტობა ლამობდა (ფიგურალურად რომ ვთქვათ), ბაობაბი საყვავილე ქოთანში გაეხარებინა.

დავსძენთ: თუმცა ფუნქციითა და ფსიქოლოგიით რევოლუციონერები იყვნენ, დისიდენტები რევოლუციონერები არ იყვნენ, რამდენადაც სწორედ ისეთი წყობილების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, რომელიც რევოლუციურ იდეოლოგიაზე იყო დამყარებული. ისინი ვერ მოუწოდებდნენ ხალხს წყობილების ძალადობით დამხობისკენ, ვინაიდან სწორედ ამ გზით დამყარებულ წყობილებას ებრძოდნენ. თავის შთაგონებას ისინი, უფრო, კონტრრევოლუციური აზრიდან სესხულობდნენ, ვიდრე რევოლუციურიდან, რის გამოც ისინი ბოლომდე თანმიმდევარნი ვერ იქნებოდნენ თავისი ფუნქციის რეალიზაციაში, ასევე, არსებული წესრიგის „დამცველნი“ ვერ იქნებოდნენ ნამდვილი „დამცველნი“, რადგან რევოლუციით შექმნილ წყობილებას იცავდნენ, რაც ასევე ქმნიდა წინააღმდეგობას ფუნქციასა და სიმბოლიკას შორის. ფუნქციითა და ფსიქოლოგიით კონტრრევოლუციონერისთვის, რომელიც იძულებულია რევოლუციონერობა იფიცოს, ისევე ძნელია თანმიმდევრული იყოს თავის აზროვნებაში, როგორც იმისთვის, ვინც ფუნქციითა და ფსიქოლოგიით უფრო ახლოსაა რევოლუციონერთან, მაგრამ სალოცავ კერპად კონსერვატორი ჰყავს. აქედან წარმოდგება ჩვენი დამახასიათებელი ის სპეციფიკური მოდუნება, რომელიც განპირობებულია წინააღმდეგობით ადამიანთა ფსიქოლოგიურ მისწრაფებასა და იმ იდეურ სიმბოლიკას შორის, რომელშიც მათ შეუძლიათ თავისი ამ მისწრაფების მითვისება.

მაგრამ ამჯერად მე შეგნებულად გვერდს ავუვლი სპეციფიკური ეროვნული ფსიქოლოგიის ფაქტორს, რომლის მოქმედებას მასობრივი მასშტაბი აქვს, და მის ხშირ გადასვლას პოლიტიკური და ფსიქოლოგიური სფეროდან პირდაპირი ბრძოლის სფეროში, რომელიც არაიშვიათად შეიარაღებულ ხასიათს იძენს.

ეს ეხება არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, არამედ, არანაკლებ, ევროპულებსაც (დიდი ბრიტანეთი – ოლსტერი, ესპანეთი – ჰიპოსკუა, საფრანგეთი – კორსიკა), ამერიკისასაც (კანადა – კვებეკი), აღარაფერი რომ ვთქვათ აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეთნოკონფლიქტებზე.

დისიდენტობის დამასუსტებელი კიდევ ერთი ფაქტორი იყო დასავლეთის მხარდაჭერის გამხრწნელი გავლენა. წარმოვიდგინოთ, როგორ შეიცვლებოდა ლენინის, ტროცკისა და სტალინის ფსიქოლოგია, მათ რევოლუციურ მოღვაწეობას რომ მათთვის ემიგრაციაში მნიშვნელოვანი შემოსავალი მოეტანა!

თავისი შინაგანი ხრწნილებით, სულიერი ღერძის უქონლობით საბჭოთა წყობილებამ დიდი ხანი იყო, რაც დრო მოჭამა. იგი მეფის რუსეთის წყობაზედაც კი უფრო სუსტი იყო ბოლოს. არსებულ იდეოლოგიას ევოლუციის ძალა არ ჰქონდა, რადგან ამას რაღაცა ხარისხის დაინტერესება სჭირდება. არც იდეოლოგია, არც მისი რეფორმირება არავის არ აინტერესებდა. წყობა, ფაქტობრივად, მოკლებული იყო ლეგიტიმურობას. ამგვარად, მისი დაცემა რევოლუციური უნდა ყოფილიყო. მაგრამ არ იყო არც რევოლუციური იდეოლოგია, არც რევოლუციონერები. ამიტომ წყობას და მის ელიტას არაფერი ემუქრებოდა შიგნიდან. არარსებული კონტრელიტისა და მასების მხრიდან, რომლის შემოტევა, ამაორგანიზებელი კონტრელიტის გარეშე.მ საზიფათო არ არის.

10-15 წელიწადში (თუ გავითვალისწინებთ სსრკ-ში მოვლენათა განვითარებას) ვითარება რადიკალურად შეიცვლებოდა. მაგრამ მიაღწევდა კი? ვითარება, როცა ოფიციალური იდეოლოგია მკვდარია, წყობა და მისი ელიტა დელეგიტიმიზირებული, მაგრამ კონტრელიტა არ არსებობს, „უძრაობა“ (დამყაყება) უნდა ეწოდოს. 70 იან წლებში და 80-იანთა დამდეგს საზოგადოებას არავითარი ძალა და არავითარი იმედი არ ჰქონდა. მაგრამ მალე მაინც მდუღარე „რევოლუციური“ პროცესები დაიწყო. რა იყო მათი წყარო?

„პერესტროიკა“, რომელმაც ჩიხიდან გამოსავალი ნახა, ბუნებრივია, შემზადებული იყო წინამავალი განვითარების მიერ, მაგრამ არა მთლად ისე, როგორც მზადდებოდა ხოლმე ლიბერალური და დემოკრატიული რეფორმები წარსულში. ზემოდან მომხდარი რეფორმები, რომლითაც ეს „უცნაური რევოლუცია“ დაიწყო, აუხსნელია „ქვემოდან“, – კონტრელიტისგან და მასებისგან – მოწოლით. მამასადამე, მათ გასაგებად უნდა გავარკვიოთ, რა ხდებოდა „ზემოთ“, ბოლშევიკურ ელიტაში.

ძველი რეჟიმის ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ მისი ელიტის ჩამოყალიბება და მისი ერთგვარ ოლიგარქიად ქცევა ხდებოდა მისი დელიგიტიმაციის პარალელურად. როგორც უკვე აღვნიშნე წერილში „კლასის ფერფლი“ ), წყობა აგებული იყო რევოლუციურ ელიტარისტულ იდეოლოგიაზე, რომელიც არ გულისხმობდა მმართველი ოლიგარქიის არსებობას – ყოველ შემთხვევაში, ისეთისას, რომლის ფული და სტატუსი მემკვიდრეობით გადაიცემოდეს. ასეთი ელიტის დასაბუთებისა და დეგიტიმაციისთვის ბოლშევიკური იდეოლოგია ვერ გამოდგებოდა და ვიდრე იგი ცოცხალი იყო, ხოლო დოგმატურ ბრძოლასა და ბოლშევიკურ ტერორში პარტიული იერარქიის ერთი ფენის მოსპობას მეორისა და მოსდევდა, მემკვიდრეობითი ელიტის შექმნა შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, პარტიულ ფუნქციონერთა მმართველი ფენა, უეჭველია, მონდომებული იყო, რომ თავისი სტატუსი განემტკიცებინა და შვილებისთვის გადაეცა. გვიან სტალინურ ეპოქაში, როცა ყველაზე იდეალისტი რევოლუციური ფენა უკვე განადგურებული იყო და უკვე კონფორმისტულ-კარიერისტული ტიპი ბატონობდა, ეს ტენდენციები მმართველ ზედაფენაში უკვე შესამჩნევი გახდა.

მმართველ წრეთა ამგვარმა მისწრაფებამ წანამძღვრები შეუქმნა ხრუშჩოვისეულ რეფორმებს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ელიტამ ხრუშჩოვს მხარი დაუჭირა, და იქიდანაც, რომ მისი მთავარი მოწინააღმდეგეც, „ბოროტების სიმბოლოდ“ გამოცხადებული ბერია დესტალინიზაციის მომხრე იყო.

უფრო მეტიც: დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლშევიკურ რეჟიმს თავის შენახვა მხოლოდ ტერორით შეეძლო, ეს მისი იმანენტური ბუნება იყო, ხოლო სტალინი – მისი ფუნქციობის იდეალური იარაღი.

ხრუშჩოვის დროს იდეოლოგიის „მარაზმირება“ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. პარალელურად ყალიბდებოდა ელიტა, რომლის წევრებს დახვრეტა კი აღარ ემუქრებოდათ, ქონების კონფისკაციითურთ, არამედ, უარეს შემთხვევაში, ელჩად გამწესება რომელსამე აფრიკულ ქვეყანაში. მაგრამ ელიტის ტრიუმფი ბრეჟნევის დროსღა მოვიდა. ძველმა სისტემამ ადგილი დაუთმო ოლიგარქიას – ამჯერად, საბოლოოდ დიდი მასშტაბით გაიშალა შემდგომი თაობისთვის ფულისა და სტატუსის გადაცემა, რაც ელიტარული წრის საბოლოო კონსტიტუირებას ნიშნავდა.

იდეოლოგიისა და რეჟიმის ფორმალურ პრინციპთა თვალსაზრისით ეს პროცესი არალეგიტიმური იყო. მეტიც: ამ დროს კორუფცია საზოგადოებას თხემით ტერფამდე მოედო. ეს დაკავშირებული იყო უკიდურეს ფაქტობრივ დეზიდეოლოგიზაციასთანაც. შეგვიძლია კატეგორიულად ვთქვათ, რომ ამ დროს უკვე ზედაფენას ისევე სწამდა იდეოლოგია, როგორც დისიდენტებს. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, დისიდენტებისა და მათი მდევნელების რეალური იდეოლოგია ძალიან მცირედ სხვაობდა. საქართველოს მთავარი მილიციონერის, შემდეგ კი მისი კომპარტიის ბელადის შევარდნაძის იდეოლოგია, ბევრი რამით ემთხვეოდა დისიდენტების – გამსახურდიას, ჭანტურიას, ბათიაშვილის, სარიშვილის და სხვათა იდეოლოგიას. ორივეგან იყო ამორფული, ნამდვილ მთლიან იდეოლოგიად არგაფორმებული ნეგატივიზმი ოფიციალური მარქსისტულ-ლენინური დოგმებისადმი, ორიენტაცია დასავლეთზე, სადაც მიმოსვლა სტატუსის არსებითი სიმბოლო გახდა. ელიტისა და ვერჩამოყალიბებული კონტრელიტის განსხვავებები იმდენად იდეური არ იყო, რამდენადაც ფსიქოლოგიური და, გარკვეული ზომით, მორალური. რისკენ ისწრაფოდა ბოლშევიკური ელიტა?

ნებისმიერი მმართველი ელიტა თავისი სტატუსური მდგომარეობის გამტკიცებას ცდილობს. საბჭოთა ელიტამ ამ მხრივ ლენინიდან ბრეჟნევამდე ძალიან ბევრს მიაღწია. მაგრამ ყველა მიღწევა რეჟიმის გამამართლებელი იდეოლოგიის განუხრელი დაცემის პარალელურად ხდებოდა – რეჟიმისა, რომელშიც ეს ელიტა არალეგიტიმურია. ყველა ეს მიღწევა არღვევდა დოგმებს და კორუფციის წესით ხდებოდა.

**ამგვარად, ამ ელიტამ თავი კანონგარეშე დაიყენა. მისი კრიმინალიზაცია მოხდა. ამასთან, მისი კრიმინალური იერარქია ყოველთვის არ**

ემოხველდა ძალაუფლებისეულს. მეტიც: ზწორედ მაშინ დაიწყო ხსრკ-სა და ხკკპ-ის უმაღლეს მოხელეთა შეზრდა კრიმინალურ ელემენტებთან. საქართველოში ეს პროცესი ინტენსიური გახდა 60-იან წლების დამლევიდან, განსაკუთრებით ჩვენი „პრეზიდენტის" მმართველობის დროიდან, როცა იგი (1972) ცეკას სათავეში ჩაუდგა.

ამიტომ ელიტის ლეგალიზაცია პირდაპირ იყო დაკავშირებული მის იდეოლოგიურ დელეგიტიმაციასთან. მმართველი ფენის ობიექტური ამოცანა გახდა მისი ლეგიტიმაცია. ეს პროცესი მიდიოდა როგორც ინდივიდუალურ, ისე ოჯახურ დონეზე.

ეს ხდებოდა, ჯერ ერთი, პარტიულსა და საბჭოთა იერარქიაში უკვე მოპოვებულ სასტატუსო მდგომარეობათა გადაქცევის გზით უფრო ლეგიტიმურ და მყარ იერარქიებად, პირველ ყოვლისა – ინტელიგენტურ, სამეცნიერო სტატუსებად. ლამის მთელი პარტიული ზედაფენა, მინიმუმ, მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ქურდობა და მექრთამეობაც შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მისწრაფება მყარ, განივთებულ, სტატუსურ სიმბოლოებისკენ. (ფული ხომ აფრიკაშიც ფულია!)

კიდევ უფრო აქტიური იყო სტატუსის გადაცემა მეორე და მესამე თაობის ლეგიტიმური იერარქიებისათვის. პარტმუშაკებს არ უნდოდათ, მათი შვილებიც პარტმუშაკები გამხდარიყვნენ. მათ ჰსურდათ, პირველ ყოვლისა, შვილებისთვის განათლება მიეცათ ელიტარულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო შემდეგ „მოეწყოთ" ისინი კარგ, საზღვარგარეთ მოვლინებებთან დაკავშირებულ სამეცნიერო სამუშაოებზე.

პარტიულ-სახელმწიფო ელიტის ეს მისწრაფება მყარი და პრესტიჟული ინტელიგენტური სტატუსებისკენ ბადებდა მის დამოკიდებულობას ინტელიგენტური ელიტისაგან, უკეთ-ერთიანი ელიტის ინტელიგენტური ნაწილისაგან, რომელიც, ბუნებრივია, ყველაზე ცინიკური, გალაღებული და ამორალური იყო.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ სანახევრო ზომები იყო, რომელიც ვერ [illegible] ლეგიტიმაციას ელი[illegible] მის მთლიანობაში. ასეთ ლეგიტიმაციას მას მისცემდა მხოლოდ ახალი იდეური საფუძვლების და ახალი მექანიზმების პოვნას ელიტარული სტატუსის მოპოვებისა და იმავდროულად მისი შენარჩუნებისათვის. პოლიტიკური ძალაუფლებითი ელიტისათვის დღეს მსოფლიოში ლეგიტიმაციის ერთადერთი გზა არსებობს – თავისუფალი არჩევნები. ამიტომ ბოლშევიკური იდეოლოგიისადმი რწმენადაკარგული „წევრებისა და წევრობის კანდიდატებისთვის" საოცნებო გახდა, რომ „დემოკრატიულად არჩეული" პარლამენტარი ან პრეზიდენტი გამხდარიყვნენ. მაგრამ როგორ? როგორ გინდათ მოახდინოთ, იდეოლოგიური და ინსტიტუციური „რევოლუცია" ისე, რომ ხელისუფლებაში დარჩეთ?

არის საფუძველი ვარაუდისათვის, რომ „პერესტროიკის" ფორმა და ვადები საბჭოთა სპეცსამსახურების წიაღში განისაზღვრა, მისი შინაარსი რიგმა შემთხვევითობებმაც განსაზღვრა. მაგრამ მმართველი ფენის ევოლუცია მაინც ამგვარი რეფორმების წანამძღვართა შექმნისკენ მიდიოდა.

ამ ფენას უფრო და უფრო უჭირდა ძველ იდეოლოგიურ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებში ჩატევა. იგი უფრო და უფრო ისწრაფოდა თავისი მდგომარეობის ახალი ლეგიტიმაციისკენ. ამიტომ შევარდნაძეს საქართველოში მხარი დაუჭირა არა მხოლოდ „ინტელიგენციის" უმრავლესობამ (მის ზედაფენას ვერ დააცილებ მმართველ ელიტას მთლიანობაში, რომლის ბირთვსაც, ბუნებრივია, პარტნომენკლატურა შეადგენდა), არამედ პარტაპარატის უმრავლესობამაც.

საზოგადოებაში დაგროვდა დიდძალი უკმაყოფილება და რეფორმათა პროცესში იგი გარეთ ჟონავდა. რუსეთში შეიქმნა „რადიკალური" მოძრაობა, რომელსაც რეფორმები ძალიან ზომიერად მიაჩნდა. იგი დაირაზმა რამდენიმე დისიდენტის – სახაროვის, იაკუნინისა და სხვების – გარშემო, და სტატუსიანი ინტელიგენციის ზოგი მყარმდგომარეობიანი წარმომადგენლის (მატალინი, პოპოვი, ველიხოვი და სხვანი) გარშემო, ვისაც სტატუსის დაკარგვის არ ეშინოდა. მოძრაობის ძირითადი შემადგენლობა იყვნენ ინტელიგენტური და ბიუროკრატიული ქვედაფენები, რომელთაც დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ. ისინი ახალ ლიდერებს აყენებდნენ, რომელთაც სოციალური მობილობის ახალი „ლიფტების" გამოყენება ეწადათ.

საქართველოში კი ინტელიგენციის ნომენკლატურულმა ზედაფენამ თან გაიტაცა „განათლებულთა" ფართო მასა, რომელმაც საოცარი ოპორტუნიზმი გამოიჩინა. მათი პრაქტიკული მოსაზრებები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე პრინციპები და ჩვენი სულელი ინტელიგენცია მოტყუვდა აღთქმული საყოველთაო კეთილდღეობის გასტრონომიული მირაჟით. ამასთან, სოციალური „ლიფტები" მხოლოდ ყველაზე ამორალურთათვის და უპრინციპოთათვის გაიხსნა, ისეთებისთვის, როგორც ქვანია, ბარამიძე, მაჭავარიანი, გოცირიძე და სხვანი.

როცა მოვლენებს „რეაქციულობა-პროგრესიულობის" თვალსზრისით ვიხილავთ, უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ პარტიული ინტელიგენციის უმრავლესობისთვის მარქსისტული იდეოლოგია თითქმის ისევე არ არსებობდა, როგორც „დემოკრატებისთვის", მათ ქმედებას განაპირობებდა მხოლოდ სტატუსის, ძალაუფლების, ფულის შენარჩუნების მოსაზრებები, და არა სახელმწიფო, მით უმეტეს – იდეური მოსაზრებები. ამით იყო განპირობებული მათი ყოფნა ძველ კრიმინალურ ელიტაში. ვბედავ, ვამტკიცო, რომ, თუ ბოლო წლების კატაკლიზმები არ მოხდებოდა, ეს ადამიანები ჯერაც კომკავშირულ და პარტიულ საქმიანობაში იქნებოდნენ. დემოკრატიზაციის თანდათანობითი, ევოლუციური გზა ამ ელიტისთვის – რაც უნდ პარადოქსალურად ჟღერდეს ეს – უფრო სასიფათო იყო, ვიდრე სსრკ-ს დაშლისა და სკკპ-ს გაუქმების „რევოლუციური" გზა.

1991 წლამდე იყო ნამდვილი დაპირისპირება სკკპ-სა და „დემოკრატებს", სსრკ-სა და რესპუბლიკებს შორის, რომელსაც ბიუროკრატიული ზედაფენისთვის მრავალი უხერხულობა მოჰქონდა: მათ უნდა არჩევანი მოეხდინათ ძალის სხვადასხვა ცენტრებს შორის, აერჩი[illegible] რეალური პოლიტიკური ბრძოლისა და ინტენსიური პოლიტიკური სოციალური მობილობის პირობებში მხილებისა და სხვა უსიამოვნებების რისკს შეიცავს. ელიტას უნდა გაეთავისუფლებინა თავი იდეოლოგიის ბორკილებისგან და ამავე დროს სტატუსი შეენახა.

1991 წელმა ვითარება განმუხტა. ყველანი „დემოკრატები" გახდნენ. ხანმოკლე რეალური პარტიული ბრძოლა დამთავრდა. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი პარტიები პარტიები კი არაა, არამედ მსხვილი პოლიტიკური ფიგურების ამალებია. საქართველო, მთელ პოსტსაბჭოთა ტერიტორიასავით, დაუბრუნდა არა პარტიებს, არამედ ნომენკლატურული და ბიუროკრატიული კლანების და ხროვების ბრძოლას გავლენისა და ძალაუფლებისათვის, რასაც ხან მეფე, ხან „გენსეკი", ახლა კი „პრეზიდენტი" ასაზიერებს. ყოველი არჩევნები რეალური პარტიული ბრძოლის არარსებობის პირობებში ფიქცია ხდება.

ამ მხრივ „სისტემისგარე" ოპოზიცია კომუნისტებისა და მემარჯვენე რადიკალების სახით ხელსაყრელია მმართველი ელიტისთვის: ძველი მეთოდების აღდგენის შიშმა შეიძლება ხალხი აიძულოს, ხმა მისცეს დღევანდელ „ესტაბლიშმენტს".

სსრკ-ს დაშლა ნიშნავდა არა მხოლოდ „ცენტრი თუ რესპუბლიკის ელიტა" არჩევანის ანალოგიური პრობლემის მოხსნას, არამედ ახალი უსაზღვრო შესაძლებლობების გაჩენასაც მაღალი სტატუსისა და საჭირო მდგომარეობების მისაღებად – მაგალითად, ახალი საელჩოების, საგენერლო ვაკანსიების გაჩენას და ყველა რესპუბლიკური მაღალი მოხელის სტატუსის ამაღლებას. ელიტამ მის მთლიანობაში თავისი მდგომარეობის ლეგიტიმაცია მიიღო.

თვალსაჩინოა, რომ ელიტის ამ ახალშეძენილ თავდაჯერებულობას წილი უდევს ინტელიგენციის გაჭირვებაში. ადრე თუ თავის არალეგიტიმურობას გრძნობდნენ, ელიტის წევრები ამის გამო ეპირფერებოდნენ სტატუსიან ინტელიგენციას, დღეს მათ იგი არ სჭირდებათ, რადგან მათ სოციალური მობილობის ახალი არხები გაეხსნათ, რამაც წინანდელი სამეცნიერო წრეების სრული დევალვაცია გამოიწვია.

პრივატიზაცია და ბაზარი ამ ელიტას უფრო აშინებდა, ვიდრე სსრკ-სა და სკკპ-ს ლიკვიდაცია, რადგან პრივატიზაციისას ელიტის წევრებს მოუხდებოდათ სულ სხვა, მათთვის უცნობი სასის მოქმედებაზე გადასვლა. ამიტომ ეკონომიკურ ცვლილებებს ისინი მეტ წინააღმდეგობას უწევენ, ვიდრე პოლიტიკურს და, მით უმეტეს, იდეოლოგიურს. ამ უკანასკნელებში რევოლუცია მოხდა, პირველში შესაძლებელი იყო მხოლოდ „რეფორმა".

პრივატიზაცია ელიტის ხელში მხოლოდ მისი გამდიდრების საშუალება გახდა და, ფაქტობრივად, მას დაუსაკუთრა მთელი გაპრივატებული ქონება, რითაც ყოფილი კომუნისტური ელიტა ახალ ბურჟუაზიულ ფენად იქცა.

პრივატიზაცია ელიტის ხელში მხოლოდ მისი გამდიდრების საშუალება გახდა და, ფაქტობრივად, მას დაუსაკუთრა მთელი გაპრივატებული ქონება, რითაც ყოფილი კომუნისტური ელიტა ახალ ბურჟუაზიულ ფენად იქცა.

საბჭოთა საზოგადოების წიაღში განვითარებულმა და დაკონსტიტუირებულმა, მან გაზეთქა თავისი ბოლშევიკური გარსი და დღის სინათლეზე გამოვიდა თავისი კრიმინალური და ფარისევლური ცხვირპირით. მას, პრაქტიკულად, არ დასჭირდა არავისთვის ძალაუფლების გაყოფა, რადგან მოცილე არავინ ჰყავდა: მთელი დისიდენტური „კონტრელიტა", (70-იანელები, 80-იანელები და 90-იანელები), როგორც უკვე ვთქვით, არაკონსტრუქციული იყო. სსრკ-ში ბოლშევიზმის დაცემა ყოფილი კომუნისტური ელიტის საბოლოო ტრიუმფი იყო, სიცრუეზე, კორუფციაზე და უმეცრებაზე დამყარებული საზოგადოების ლპობის პროცესი მან განასრულა.

ჩვენთან კრიმინალურ ელიტასთან ერთად მოსული „დემოკრატია" ისევე მანკიერი და უმეცრულია, როგორც თვით ეს „ელიტა". იგი არ არის მასების აქტივობის შედეგი, არამედ ყოფილი პარტნომენკლატურის კრიმინალური რეჟიმის, ან უკვე ლეგიტიმური, დეკორაციაა.

სალხის მასების აქტივობა არაა დემოკრატია, იგი მხოლოდ მისი არსებობის პირობაა. დემოკრატია არც სახელმწიფო ფორმაა, როგორც ელიტას წარმოუდგენია, არც სოციალური და ეროვნული მოძრაობაა, როგორც ჩვენს „ოპოზიციას" ჰგონია. იგი პოლიტიკური მექანიზმის ტიპია, ხელისუფლების ფუნქციობის ტიპია, რომელიც მინიმალურადაა გაცილებული ხალხს.

მისი ეკონომიკური საფუძველი დღეს ბაზარია. ეს ორნი ქმნიან სიმბიოზს, მაგრამ თუ ბაზარს ძალუძს რაღაც ხნის მანძილზე ვითარდებოდეს პოლიტიკური ავტორიტარიზმის პირობებში, დემოკრატია საბაზრო ეკონომიკის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია.

დემოკრატიული მექანიზმის შექმნა შეუძლებელია მაშინაც, თუ ქვეყანას არა აქვს შემუშავებული დემოკრატიის თავისი, საკუთარი თეორია, რომელიც მისი ეროვნული პოლიტიკური კულტურის ტრადიციებს პასუხობს. იმპორტირებული იდეები უსათუოდ უნდა გადატყდნენ ადგილობრივი, ეროვნული თავისებურებების პრიზმაში, რათა მასა ამა თუ იმ ქმედებებისთვის აღძრან. დემოკრატიული კანონები და კონსტიტუცია ფარატინა ქაღალდიღაა, რომელსაც მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობა აქვს.

ამასთანავე, დემოკრატია სინკრეტული მექანიზმია. იგი არსებობს მხოლოდ ძალაუფლების დინამიკური სისტემისათვის, რომელიც სამნაირ პოლიტიკურ გარანტიას ემყარება: პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფალმოაზრეობის თავისუფალი განვითარების გარანტიას მის როგორც იდეოლოგიურ, ისე ორგანიზაციულ ფორმებში, ყველა სახელმწიფო თანამდებობის არჩევითობას; ნებისმიერი სახელწიფო თვითნებობის წინააღმდეგ ყველა ფორმების ლეგალიზაციას. ამასთან, დემოკრატია დამყარებულია ძალთა ბალანსზე და ძალიან არსებითია, რომ იგი ზნეობის, ზოგადადამიანური მორალის მნიშვნელობას აღიარებს.

საქართველოს დღევანდელი წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული „დემოკრატია" სულაც არაა საზოგადოებაში მომხდარი დემოკრატიული ცვლილებების შედეგი (საზოგადოება რაც იყო უფორმო მასა, იგივეა ახლაც), არამედ საკუთრებაში მომხდარი „ზედაფენური" ცვლილების შედეგია, რომელიც ყოფილ პარტნომენკლატურას ემსახურება, ამიტომ სიტყვა „დემოკრატია" აქ უადგილოა.

რაკი მესაკუთრენი გახდნენ, ყოფილი პარტიული და კრიმინალური ავტორიტეტები (რაც, სხვათა შორის, ერთი და იგივეა) იძულებულნი არიან ქვეყანაში მიმდინარე „დემოკრატიული ცვლილებების" ილუზია შექმნან, რომლებიც, სიტყვით, თითქოს პოლიტიკურსა და დემოკრატიისგან განუყოფელ ეკონომიკურ თავისუფლებებს ქმნიან. მათ თავისი მდგომარეობის დასტაბილება უნდათ და ამიტომ ყველა ღონეს ხმარობენ, რათა უქონელი ფენები პოლიტიკური ცხოვრებიდან გამოითიშონ. ამიტომ საარჩევნო კამპანიებში მოსახლეობის 20-30 პროცენტზე მეტი არ მონაწილეობს. დანარჩენები ფაქტიურად მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებას გაჭირვების და ლუკმა პურზე ზრუნვის გამო. ამით გამოწვეული ყრუ იმედგაცრუება ადამიანებს ამზადებს ასეთი ანტიდემოკრატიული სოფიზმის მისაღებად: „რა მოგვცა დამოუკიდებლობამ და დემოკრატიამ?" უკვე გაჩნდა მაზრები, რომლებიც მორალურსა და სოციალურ კრიზისებს ამზადებენ.

კიდევ კარგი, ისე გადავრჩით, რომ არ მოგვიწია იდეოლოგიზირებულმა სამოქალაქო ომმა ამ დემოკრატიის გამო. მაგრამ ყველაფერს თავისი მეორე მხარე აქვს. სამოქალაქო ომი ჩვენ იმიტომ აგვცდა, რომ უაღრესად დუნე იდეური ცხოვრება გვქონდა, იგი ტრიალებდა ანტიკომუნიზმის გარშემო, რომელსაც, თურმე, კომუნისტური ელიტაც იზიარებდა. ამიტომაც ჩვენს საზოგადოებაში (გვტყავდა კი საზოგადოება?) არ გამოჩნდნენ საკმაოს რაოდენობის პატიოსანი და დარწმუნებული ადამიანები, რომლებიც რევოლუციონერებისადმი კონტრელიტას შექმნიდნენ, და არა დისიდენტთა ამორფულ მასას, რადგან პრაქტიკულად მთელი ჩვენი კორუმპირებული ელიტა „დემოკრატიულად" გადაფორმდა.

შესაძლოა, ჩვენს უცნაურ დემოკრატიას სიმყარის რაღაცა მარაგიც აქვს, მაგრამ ეს სიმყარე პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ კრიმინალურ ელიტას მისი მხრიდან არაფერი ემუქრება. სწორედ ახლა, როცა „სიტყვის თავისუფლება" არსებობს, ჩვენს ოპოზიციონერებს სათქმელი არაფერი აქვთ, არც კონსტრუქციული პროგრამა გააჩნიათ, არც მთლიანი იდეოლოგია, ისევე არ გააჩნიათ, როგორც მმართველ ელიტას.

თქმული როდი ნიშნავს, რომ დემოკრატია ცუდია. იგი დღევანდელი მსოფლიოს ნორმაა, რომლისკენაც ჩვენ შეუძლებელი იყო არ გვესწრაფა და რომელსაც, იმედია, ოდესმე მივაღწევთ. უკან დასახევი გზა არ გვაქვს. ბოლშევიკთა რეტროუტოპია სალხს, ალბათ, ველარ გაიყოლიებს, მაგრამ ყველაზე ძნელი ჯერ კიდევ წინ გვაქვს.

წინ გვაქვს ჭეშმარიტი კონტრელიტის შექმნა, რომელიც დაუპირისპირდება ძველი პარტნომენკლატურელებისა და მათი მთამომავლების გუნდს. წინ გვაქვს ამოცანა, რომ ფორმალური დემოკრატია – კრიმინალური ელიტის ხელისუფლების ეს საფარი – რეალურ დემოკრატიად ვაქციოთ. პირველ ყოვლისა საჭიროა სოციალური მობილობის არხთა გაფართოება, რაც შეაძლებინებს ქვედაფენების შვილებს აღმა იმოძრაონ ინტელიგენტური პროფესიების, კერძო მეწარმეობის, რეალური დემოკრატიული არჩევნების გზით (ასეთი არჩევნები ჩვენ ჯერ არ გვქონია). დღეს ეს არხები ჩახერგილია კორუფციული კრიმინალურ-ოლიგარქიული კავშირების მიერ.

როგორც ვხედავთ, ჩვენმა „უცნაურმა რევოლუციამ" ადამიანებს არ მისცა საშუალება სოციალურ კიბეზე ამსვლელისა პატიოსანი გზით. ამ ურთულესი პოლიტიკური და სოციალური ამოცანის გადაჭრაში არაა დაინტერესებული მმართველი ყოფილი საბჭოთა ელიტა, მისი შვილები და შვილიშვილები, ისინი ყველაფერს იზამენ თავის გადასარჩენად. მაშასადამე, ნამდვილი რევოლუცია ჯერ კიდევ წინაა.

*ვლადიმერ ხვედელიძე*

# ნუ გაგვიკვირდება

## (ცოტა პოლემიკა)

ბატონ ვლ. ხვედელიძის თემა ე.წ. სოვეტოლოგიის თემაა. ის დაკვირვებები და შეფასებები, რასაც ავტორი უხვად გვთავაზობს თავის წერილში, უთუოდ უპირველესი ღირებულებისაა ამ მეცნიერებისათვის, მით უმეტეს, რომ ისინი იმ თბილსა და განათებულ კაბინეტებში კი არ შობილან, მრავალათასი კილომეტრის მიღმა, სადაც სოვეტოლოგია იშვა და ჯერაც ვითარდება – საბედნიეროდ, დღეს მხოლოდ ისტორიული მეცნიერების სახით – არამედ აქ, საქართველოში, ყველაზე რთული და ყველაზე ტრაგიკული მოვლენების ორომტრიალში, რაც კი „სოვეტების" სივრცეს ახსოვს. მასთან შეკამათება ძნელია. მე პირადად საკამათო მხოლოდ ერთი მაქვს: კომუნისტური „ელიტა" და ე.წ. „დისიდენტები", ანუ ის ადამიანები, რომლებიც მას დაუპირისპირდნენ მაშინ, როცა დემოკრატულმა დასავლეთმა უკვე მოიპოვა სსრკ-ს, ასე თუ ისე, კონტროლი, არ იყვნენ ერთი და იმავე მასალისგან გაკეთებულნი: ისინი სულ სხვადასხვა „ანთროპოლოგიური" ტიპისანი იყვნენ. „დისიდენტი", ცხადია, სხვა არის, ვიდრე ნაღდ სიკვდილზე მიმავალი პატრიოტი და დემოკრატი, ვთქვათ, ოციანი, ოცდაათიანი და ორმოციანი წლებისა საქართველოში, მაგრამ იგი ის არ არის, რაც კომუნისტური ჯალათი, ფუნქციონერი ან, უბრალოდ, კონფორმისტი. რუსეთის მიმართ ბატონ ხვედელიძის შეფასება, შესაძლოა, სიმართლეს შეიცავს, მაგრამ საქართველოს მიმართ – არა. ამ განსხვავების მიზეზიც ნათელია: საქართველოში „დისიდენტის" მამოძრავებელი მიზანი რომ სამშობლოს გადარჩენაა, რუსეთში – მხოლოდ „ზემოდან" უკვე სანქცირებული დემოკრატიული გარდაქმნები, რომელთა ცნებაც ყველასთვის ერთნაირად ნათელი არ არის და რომელიც, ამასთანავე (როგორც ზუსტად შენიშნავს ავტორი), სრულ შესატყვისობაშია მოქმედ კანონთან.

ბატონ ხვედელიძის მსჯელობას მინდა ერთი გარემოების ხსენება დავურთო. ავტორი ფართოდ და სიღრმისეულად მსჯელობს თემაზე, რომელსაც – რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, – დასავლეთის სოვეტოლოგია არ ახსენებს ან თითქმის არ ახსენებს, რადგან იგი, უთუოდ, ჯერ კიდევ მოქმედ იარაღს ეხება. სახელდობრ, ავტორი ასაბუთებს, რომ საბჭოთა პარტოკრატია სიხარულით აჰყვა სოციალიზმის დემონტაჟის პროცესს (რადგან თავისი სტატუსისა და ნაქურდალის ლეგალიზაცია და შვილებისთვის გადაცემა უნდოდა) და იგი „ელიტად" დარჩა იმიტომ, რომ მისმა მოპირისპირე მასამ თავის შიგნით ძალა ვერ შექმნა. დავსძენ: ის, რაც მოხდა, სავსებით კანონზომიერია. სსრკ იყო დესპოტია, ანუ იმგვარი დიქტატურა, რომელიც ემყარება არა საზოგადოებაში არსებულ ძალთა ამა თუ იმ კომბინაციას (ტირანიასავით, როგორიც იყო, მაგალითად, ჰიტლერიზმი), არამედ ასეთ ძალთა არარსებობას, არის მხოლოდ ყოვლისშემძლე აპარატი ზემოთ და უფორმო მასა – ქვემოთ. დესპოტიები ათასწლობით ძლებს (რადგან ამ ძალთა გაჩენის მექანიზმი მათში არ არსებობს) და მხოლოდ გარედან დარტყმით ინგრევა. ასე დაინგრა სსრკ-ც (ეკონომიკური დარტყმით). მის „საზოგადოებაში" შინაგანი ძალებით არც იყო და არც გაჩენილა და დასავლეთი, რომელმაც იგი დაანგრია, სულაც არ გაირჯება, რომ ასეთი ძალების შექმნას ხელი შეუწყოს რუსეთში, „საშუალო კლასის" სახით (რაგან ეს კლასი პოტენციურ სამხედრო დიქტატურის შექმნას უნდა აფერხებდეს), მაგრამ არა მომცრო ახალ „დემოკრატიებში", რომლებიც საშიშროების არ წამოადგენენ. რუსეთში ეს კლასი უკვე ჩაისახა კიდეც. საქართველოში კი, სადაც დივერსიული მმართველობა ხორციელდება, იგი არც ჩასახულა და არც ისახება.

დასკვნა ერთია: რეალური ეროვნული ამოცანა ქართველებისთვის დღეს იგივეა, რაც ათეულობით წლის წინათ იყო: ესაა არა მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს შენება მტრის ცეცხლის ქვეშ (რაც მაშინ შეუძლებელი იყო), არამედ ამ შენების წანამძღვრების შექმნა საკუთრივ სახელმწიფოებრივ ფუნქციათა მატარებელი „ჩრდილოვანი" სტრუქტურების (საინფორმაციო-ანალიტიკური, სათავდაცვო, ეკონომიკურ, პოლიტიკური, საგარეო-საურთიერთო, წესრგიმაკონტროლებელი და სხვა) დროულად ორგანიზების სახით

*ნ.ნ.*

# ზოგიერთი უცნობი ფაქტი სტალინის ბიოგრაფიიდან

ჩვენი ცხოვრება რომ პარადოქსებით არის სავსე, ამას ქვემოთ მოტანილი ფაქტიც მოწმობს. ადამიანი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საბჭოური ცხოვრების წესსა და მის უპირველეს დამცველს, ი. სტალინს ებრძოდა, ბოლოს, 70-იანი წლების მიწურულს, ისრაელში გადასახლდა და იქ გამოცემულ თავის წიგნში: "ძლივს, ჩემი წიგნი" ი. სტალინის ბიოგრაფიის ჩვენთვის მეტად საინტერესო დეტალს გვაწვდის.

ეს ადამიანია საბჭოთა დისიდენტურ წრეებში მეტად ცნობილი პიროვნება, პროფესიონალი ექიმი- გიორგი ქართველიშვილი. ქვემოთ მოტანილი ფრაგმენტებიც ისრაელში, რუსულ ენაზე დაბეჭდილი ზემოთ ნახსენები წიგნიდან არის, რომლის ერთსი ეგზემპლარიც ავტორმა საქართველოში გამოაგზავნა.

ახლა, როდესაც ასე თუ ისე, გარკვეულია ჩარჩოები სტალინის ეროვნული კუთვნილებისა, შევეცადოთ შევაღწიოთ მის პიროვნულ საიდუმლოებაში - არა იმიტომ, რომ სახელი გავუტეხოთ ანდა აღვაზევოთ იგი, არამედ იმ მიზნით, რომ შესაძლოა არამყარი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ორიენტირების საფუძველზე, დაწყებული ბავშვობიდან, როდესაც იგი მოკლებული იყო ოჯახურ სითბოსა და ალერსს, მისი ცხოვრების ბოლომდე, რომლის დროსაც მან არ იცოდა ოჯახური ბედნიერება, სიმშვიდე და იდილია, მოვძებნოთ გასაღები ამ უდიდესი ისტორიული გამოცანისა. ერთში შეიძლება ეჭვიც არ შევიტანოთ: თუნდაც რომ სტალინი არ გამხდარიყო უდიდესი იმპერიის მმართველი, იგი ნამდვილად არ დარჩებოდა ადამიანთა მოდგმის ჩვეულებრივ ეგზემპლარად, ვთქვათ, მეეზოვედ, მუშად, რიგით მოსამსახურედ ანდა, ერთ ვინმე შეუმჩნეველ ინტელიგენტად.

მისი სწრაფვა ზევით, იერარქი- [illegible] ელობა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა გამოჰყოფოდა უსახურ მასას. შარი, ის, რომ იყო ურჩი, ყოველთვის იცავდა "მეს", ისწრაფოდა პირველობისაკენ. შეეძლო მეგობრობა, მაგრამ ჩხუბობდა, და განსაკუთრებით კარგად ჭიდაობდა. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეეძლო მეგობრისათვის თავის გადადება: მისი პირველი მცდელობა გამოეცადა თავისი შესაძლებლობები პოეზიაში, არავითარ ეჭვს არ ტოვებს იმისას, რომ იგი შეუსვენებლივ ეძებდა გზებს თავისი ტალანტის გამოსამჟღავნებლად. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ნიჭიერების უტყუარი დასაბუთება, რომლის წყალობითაც იგი ნამდვილად იპოვიდა თავის ადგილს თუ პოეზიაში არა, ადამიანურობის გენიის სხვა სფეროში მაინც. როგორც შემდგომ დროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენეს, სტალინმა თავისი ადგილი იპოვა რევოლუციაში. მთლიანად შესწირა რა თავისი ცხოვრება კომუნისტური დოგმების შესაბამისად სამყაროს შეცვლის საქმეს, უაღრესად საკუთარი ინტერპრეტაციით.

ცხადია, მას ვერ დააკმაყოფილებდა სასულიერო სემინარიაში სწავლა და თეოლოგიური კატეხიზისის გამოზუთხვა. იგი ეძებდა ფართო ჰორიზონტებსა და ახალ იდეებს. მას სული ეხუთებოდა სემინარიის კედლებში და ვერ იტანდა შავ ანაფორებში გამოწყობილ ბერებთან ურთიერთობას.



იგი განზრახ ხელს უშლიდა მათ მეცადინეობისას. ერთ-ერთი მეცადინეობის დროს, როდესაც გაბრუებულმა მღვდელმა აბაშიძემ უბრძანა მას ფეხზე ამდგარიყო და ეპასუხა, თუ რას ხედავდა იგი თავის წინ, სტალინმა თავხედურად უპასუხა: "შავ წერტილს, თქვენო ბრწყინვალებავ!" ანუ არარაობას შავ ანაფორაში. ამის შემდეგ სტალინს სემინარიიდან რიცხავენ და კარგა ხანი მისი კვალი იკარგება.

შემდეგ, სტალინს, - იგი უკვე ახალგაზრდა მამა კაცია, - ხშირად ხედავენ სვანიძეების ოჯახში. იგი ჯიუტად განაგრძობს მარქსისტულ იდეოლოგიაში მომზადებას. მოგვიანებით იგი ქორწინდება სვანიძეების ქალიშვილზე, თავისი მეგობრისა და კეთილმყოფელის დაზე, რომელიც სინდისის ქენჯნის გარეშე გაანადგურა 37 წელს, დიდი ტერორის პერიოდში.

ინტერესმოკლებული არ არის ნევროლოგიის დოცენტის მონაყოლი, რომელიც სტალინს იცნობდა იმ წლებში, როდესაც იგი სვანიძეების ხშირი სტუმარი იყო. თუმცა მე ეს ამბავი მეორე პირიდან მაქვს გაგონილი, მაგრამ ვფიქრობ, მართალი უნდა [illegible]

სვანიძეების ოჯახი იმ დროისათვის თბილისში ცნობილი იყო წიგნებისადმი დიდი სიყვარულით. მათ სახლში უდიდესი ბიბლიოთეკა ჰქონდათ - კლასიკოსების ნაწარმოებები, ფილოსოფოსთა ნაშრომები, პოლიტიკოსთა მონოგრაფიები. რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკაში ჰქონდათ ასევე მეცნიერული სოციალიზმის "კორიფეთა" - მარქსისა და ენგელსის შრომებიც. ახალგაზრდა ჯუღაშვილი მოვიდა მათ ოჯახში და ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ითხოვა. იგი სიხარულით მიიღეს, რადგან განათლებისაკენ სწრაფვა საქართველოში ყოველთვის ითვლებოდა უმაღლეს ეროვნულ მოვალეობად და მოწოდებად. მას საკუთარი კუთხეც კი გამოუყვეს, სადაც სტალინი საათობით იჯდა და მეცადინეობდა.

ამ ამბის მომთხრობი სვანიძეების ახლო ნათესავი იყო. იგი ყმაწვილი ჩამოვიდა სოფლიდან განათლების მისაღებად. ზოგჯერ იგი შეიხედავდა ხოლმე ჯუღაშვილის ოთახში და საუბარს გაუბამდა მას. სტალინი ხუმრობით ეძახდა მას ჩიჩოს. სოსო ჯუღაშვილს ხშირად პატიჟობდნენ სადილზე, მაგრამ მეცადინეობის მოტივებით, იგი უარს ამბობდა. მაშინ დიასახლისი, ახალგაზრდა სოფიო, მას ოთახში მიართმევდა ხოლმე საჭმელს. თანდათან მათ შორის მეგობრობა დამყარდა, რომელიც მალე სიყვარულში გადაიზარდა. "ჩიჩოც" სტალინის მეგობარი გახდა. სოსო ხშირად აგზავნიდა მას კანფეტი "ირისისათვის", რომელიც მას ძალზე უყვარდა. "ჩიჩო" ამ დავალებით კმაყოფილი რჩებოდა, რადგან ყოველ წასვლაზე ხურდა რჩებოდა. ზოგჯერ მთელი კაპიკიც კი, რადგან კანფეტს იგი ყიდულობდა ბაზარზე და არა ახლომდებარე მაღაზიაში, სადაც იგი უფრო ძვირი ღირდა. ერთხელ მან სოსოსგან მიიღო 3 კაპიკი და გაიქცა ბაზარში, სადაც გამყიდველს ვაჭრობა დაუწყო, რათა იაფად ეყიდა კანფეტი. ზუსტად იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი დათანხმდა 2 კაპიკად კანფეტის მიყიდვაზე, მან იგრძნო, რომ ვიღაცამ ძლიერ აუწია ყური. "ჩიჩომ" მიიხედა და სოსო დაინახა. "აზ შე ყალთაბანდო! [illegible] აგვიანებდი! მატყუებდი, ხომ?" - იმ დღიდან სოსო არა თუ რაიმეს ავალებდა მას, არამედ აღარც ელაპარაკებოდა.




ამასობაში, სიყვარული სოფიოსა და სოსოს შორის მტკიცდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს ორივე განუცხადებს ოჯახის უფროსს, რომ ერთმანეთი უყვართ და უნდათ, რომ ცოლ-ქმარი გახდნენ. წინააღმდეგობა არა ყოფილა, თუმცა ჯუღაშვილს არა მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლება არ გააჩნდა, არამედ არავითარი პროფესიაც არა ჰქონდა. სვანიძეები მასში ხედავდნენ ჯიუტ და მუყაით ყმაწვილს და რადგან თვითონაც პროგრესულად და რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი, ახალგაზრდებმა მიიღეს მშობლების ლოცვა-კურთხევა და შეუღლდნენ. მათი სიყვარული იყო ძლიერი და მგრძნობიარე. ოჯახური ბედნიერება - სრული, მაგრამ ბედი თავის ჩვეულ შემოქმედებით წინააღმდეგობას არ იშლიდა: ბედნიერებაში იგი შეიძლება გახდეს ღვარძლიანი და ბოროტი, ხოლო უბედურებისას - კეთილშობილი და კეთილმოსურნე. ოჯახურ ბედნიერებაში, როგორც მომავალმაც დაგვანახა, იოსებ ჯუღაშვილს აშკარად ბედი არ სწყალობდა. სოფიოსაც არ ეწერა შესწრებოდა თავის ქმრის "კორონაციას". თუმცა, გახდებოდა კი - სოსო ჯუღაშვილი - "იოსებ სტალინი", თუკი სოფიო დარჩებოდა მის მეუღლედ ცხოვრების ბოლომდე? ძალზე საეჭვოა! მართალია, დაქორწინებამდეც რევოლუციონერი იყო, მაგრამ ოჯახური ჯაჭვები, ქართული ოჯახური მენტალიტეტი, სიყვარული და მოვალეობა ცოლისა და ბავშვებისადმი ალბათ ხელს შეუშლიდნენ ასე შორს წასულიყო "სამართლიანობის", დიდებისა და პატივის ძებნაში. მაგრამ სტალინს თითქოს უნდა მიეღო პირველი საშინელი დარტყმა ბედისწერისაგან, რათა განთავისუფლებულიყო ჩვეულებრივი ადამიანური ტვირთისაგან - ოჯახური სიმძიმისა და სენტიმენტებისაგან - და ეგრძნო სულიერი სიცარიელე, საიდანაც ბიჭი მიიღო მისმა არაჩვეულებრივმა უნარმა - ზოგჯერ ამაღლებულ - გასულიერებულმა, ზოგჯერაც სატანურ-დემონიურმა.

სოფიო ტიფით დაავადდა და მალე გარდაიცვალა. სოსომ ძალზე მძიმედ განიცადა თავისი მეუღლის სიკვდილი. იგი არაფერს არ ჭამდა, გახდა, მოიხარა, მთელი კვირაობით სახლში არა ჩნდებოდა, და ბოლოს, საერთოდ გაუჩინარდა. მისმა ახ- [illegible] გაიგეს, რომ სასაფლაოს დარაჯმა დაინახა იგი რამდენჯერმე დილით მეუღლის საფლავზე დამხობილი, სახე მიწაში ჰქონდა ჩაფლული და მწარედ ქვითინებდა. იგი მალე მიხვდა, რომ ცხოვრება სინამდვილეში - ეს ოცნების პოზიტივი კი არ არის, არამედ ბრძოლის ნეგატივია, უკეთეს შემთხვევაში, არასრულად გამომჟღავნებული და თუ სტალინი რაიმეთი განსხვავდებოდა სხვა მოკვდავებისაგან, იმით, რომ ცხოვრების გაკვეთილებს მისთვის უკვალოდ არ ჩაუვლიათ. იგი მათ რეალისტის თვალით აანალიზებდა და ამუშავებდა თავისი მოქმედებისა თუ ეფექტიური კონტრმოქმედების მოდელს. ისე რომ, მეორედ ცხოვრებას უკვე აღარ შეეძლო მისთვის კვანტის გამოდება. იგი უკვე ყველაფრისათვის მზად იყო, და თუ მეორედ იგი დაქორწინდა რუსის ქალზე (მართალია, სიყვარულით) არა იმიტომ, რომ "შეცდა", ანდა ამაში გარდუვალი ცხოვრებისეული აუცილებლობა დაინახა, არამედ იმიტომ, რომ პირველი ქორწინება ამაღლებული სიყვარულის აპოგეაში ჩაეფერფლა და ამ მხრივ მან ჯერ კიდევ ვერ მოასწრო საკმაოდ გამოცდილების მიღება და სათანადო ანალიზის გაკეთება; თუმცა ამის საჭიროებაც არ იყო, რადგან ცხოვრებისეულ საკითხებში ქართველ ქალთან მას არავითარი პრობლემები არა ჰქონია. სამაგიეროდ, მეორე ქორწინებამ იგი აიძულა დარწმუნებულიყო თავის მცდარ წარმოდგენებში ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. ოჯახური ცხოვრების იდეალიზაციის გამო და ამასთან შეუქმნა საშიშროება არა მხოლოდ მთელ მის რევოლუციურ საქმიანობას, კარიერასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას, არამედ თავად მის არსებობასაც, და მან ყოყმანის გარეშე, მცირე, თითქმის შეუმჩნეველი პროცედურის დახმარებით ყველაფერ ამას წერტილი დაუსვა. ამ საკითხში იგი მესამე შეცდომის დაშვებას არ აპირებდა და არც დაუშვია.

იბადება კითხვა: რატომ სახელდობრ იგი, სოსო ჯუღაშვილი, პატარა საქართველოდან, სემინარისტი, ისიც გამორიცხული და არა ვინმე ინტელიგენტ-რევოლუციონერი დიდი რუსეთის რომელიმე მსხვილი ცენტრიდან, აღმოჩნდა უდიდესი სახელმწიფოს სათავეში? რა არის ეს - შემთხვევითი მოვლენა თუ აზარტული ბედის კოჭის თამაში? რატომ იყო ლენინი მისით აღფრთოვანებული და მას "ცეცხლოვან კოლხიდელს" უწოდებდა? რატომ დაიახლოვა იგი ასე, რომ სახელდობრ იგი აღმოჩნდა მისი უახლოესი და უშუალო ამხანაგი, შემდეგ სწორედ სტალინი დაასახელა რევოლუციის ბელადად და გენერალური მდივნის პოსტზეც დააწინაურა? ყველაფერ აქედან ცხადად ჩანს, რომ სტალინი იყო არაჩვეულებრივი პიროვნება: გამოჩე- [illegible] ორე და მესამე ხარისხოვანი როლები როდი ეთამაშა რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომის დროს კონტრრევოლუციის განადგურებაში. ეს მან აქცია მოსკოვი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ცენტრად, და თუ ვინმემ შეძლო დაერწმუნებინა ლენინი, რათა მას არ დაეშვა რუსეთის ყოფილი განაპირა მხარეების გამოყოფა, რათა არ გაეშიშვლებინათ და არ დაესუსტებინათ რუსეთი - ეს სხვა არავინ ყოფილა, თუ არა სოსო ჯუღაშვილი, რომელიც იმ დროისათვის უკვე იოსებ სტალინად იქცა.

*თარგმნა და მოამზადა*
*ამბროსი კრიჭკაშვილმა*

რედაქციისაგან: რატომ დაიახლოვა ლენინმა "კობა" პირველი შეხვედრისთანავე. ცნობილია: "კობამ" მას თბილისის ბანკიდან "ექსით" წაღებული დიდი თანხა ჩაუტანა. რაც შეეხება საქართველოს და სხვა ქვეყნების ხელახალ ანექსიას, ეს ლენინისთვისაც სანუკვარი მიზანი იყო.

## ჩინურ-ამერიკული ვაჭრობა მომავალი პოლიტიკის გასაღებია

ჩინური გაზეთის "ჩაინა დეილი" ცნობით, ამერიკული ბიზნესის ლიდერებს "ნერწყვი მოსდით", როცა ჩინეთში მოსალოდნელ მოგებებს წარმოიდგენენ. უახლოეს 5 წელიწადში აშშ-ის ექსპორტი ჩინეთში უნდა გაიზარდოს 13 მილიარდი დოლარით, აქედან 2 მილიარდის ნამატი (3 მილიარდი ნაცვლად 1-ისა) სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოდის, მაგრამ ეს რიცხვები მცირეა, თუ გავიხსენებთ, რომ აშშ-ის დეფიციტი ჩინეთთან ვაჭრობაში 56,9 მილიარდ დოლარს შეადგენს. აშშ-ის ექსპორტი ჩინეთში, რომელიც 1988 წელს 5 მილიარდ დოლარს შეადგენდა, დღეისათვის მხოლოდ 20 მილიარდზეა ასული.

ამერიკული სავაჭრო პალატის პრეზიდენტი დონოჰიუ მოუწოდებს თანამემამულეებს, დიდად არ იდარდონ და მათემატიკას მიმართონ. ჩინეთში თითქმის 1,3 მილიარდი სული ცხოვრობს, დედამიწის მოსახლეობის 20%. ჩინეთი მსოფლიო პროდუქციისა და მომსახურეობის 3%-ს ქმნის. მას სახნავი მიწის მხოლოდ 7% ეკუთვნის. "ამერიკულ-ჩინური სავაჭრო შეთანხმება ამ ბაზარს აღებს ამერიკული ბიზნესისთვის, მუშებისა და ფერმერებისთვის", რამდენადაც ბაჟი ამერიკული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეტანაზე ჩინეთში 50%-ით შემცირდება. განსაკუთრებით იმედიანადაა ამერიკის მაღალტექნოლოგიური ინდუსტრია. 2003 წლისთვის ჩინეთი იქნება პერსონალურ კომპიუტერთა რიგით მესამე ბაზარი, აშშ-სა და იაპონიის შემდეგ. მილიონზე მეტი ჩინელი აპირებს უახლოეს ორ წელიწადში კომპიუტერის შეძენას. ჩინეთში, სადაც პირადი დანაზოგების პროცენტი ტრადიციულად ძალიან მაღალია, ფართო პერსპექტივა აქვს სადაზღვევო კომპანიებსაც.

ჩინური ექსპორტის დიდი უპირატესობა ამერიკულ იმპორტთან ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტია იმისა, რომ უახლოეს წლებში ჩინეთი თავისი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას იმედოვნებს. ეს იმედი კი, უთუოდ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ ჩინეთი უკვე მრავალი წელია ერიდება ყოველგვარ პოლიტიკურ დემარშს შეერთებული შტატების მისამართით.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია და საქართველოს სახალხო ფრონტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი კრიტიკოსის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, ბატონ

ჯანსუღ ღვინჯილიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს მისი ღირსეული შვილის უდროოდ აღსრულების გამო.

ვულოცავ
კახა ესართიას ქალიშვილის, პატარა მარიამის მოვლინებას ამქვეყნად. ღმერთმა გაგიზარდოთ ბედნიერი გოგო!
სერგო ჯანაშია

ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენს მეგობარს და კოლეგას ნუგზარ კოხოლაშვილს სიმამრის გარდაცვალების გამო
გაზეთ „საქართველოს"
რედაქცია

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

www.opentext.org.ge/SAQARTVELO
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი 8(99) 10-32-30

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.